www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 2004 წელი. №231 (780) ფასი 50 თეთრი

ძველებს - მადლობა, ახლებს - გაფრთხილება

ლელა მჭედლიძე

რეგიონებში ცვლილებაა. გუშინ პრეზიდენტმა საზოგადოებას ოთხი ახალი რწმუნებული წარუდგინა. სამეგრელოში - გიგი უგულავა, რომელიც უშიშროების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. **"მანამდე კი,** - პრეზიდენტის აზრით, - **მან სერიოზული გამოცდილება მიიღო იუსტიციის სამინისტროში. არის ძალიან კარგი კადრი, რომელიც, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უაღრესად დიდი პოტენციალის მქონე და სამოქალაქო ომის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული რეგიონი აღორძინდეს".**

"სამეგრელოს ახალი გუბერნატორი უნდა იყოს სამეგრელოს მონა," - ასეთია პრეზიდენტის დავალება.

მცხეთა-მთიანეთში გუბერნატორად გოგა ხაჩიძე დაინიშნა. ბოლო კვირების განმავლობაში იგი რეზერვისტთა ბანაკში იმყოფებოდა. **"ძალიან კარგი, უმწიკვლო რეპუტაცია აქვს და იდეალისტია,"** - ასე ახასიათებს მას პრეზიდენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

პრეზიდენტმა გუშინ სერიოზული საკადრო ცვლილებები განახორციელა.

თბილისის პრობლემების განსხვავებული და ერთნაირი ხედვა

ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და თვითმმართველობის რეფორმასთან ერთად, დღეს განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საქართველოს დედაქალაქის მუნიციპალური რეფორმა, რომელიც უშუალო კავშირშია წინა ორ საკითხთან. ამავე დროს, თბილისის თვითმმართველობა ერთადერთი თემაა, რომლის თაობაზეც უკვე ისმის კონკრეტული მსჯელობები და რომლის რეფორმის პროექტებიც უკვე გამოქვეყნდა. რამდენიმე თვის წინ დედაქალაქის მუნიციპალური რეფორმის საკუთარი პროექტი თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გაახმოვანა. გუშინ კი, თბილისის საკრებულოს სხდომათა დარბაზში "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერებმა დედაქალაქის თვითმმართველობის რეფორმის პროექტის პრეზენტაცია გამართეს. გუშინვე ოპოზიციონერებმა თბილისის მერის ვადამდელი არჩევნების ჩატარებაც მოითხოვეს.

თამარ მჭედლიშვილი

საქართველოს დედაქალაქის მუნიციპალური რეფორმა ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის გარეშეც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და თვითმმართველობაზე ბჭობას აზრი ეკარგება. დედაქალაქის შესახებ კანონი, რომელიც დღემდე არსებობდა, არაოფიციალურად, "უკანონობად" იხსენიებოდა. სწორედ მისი წყალობით დედაქალაქის მმართველობა იმდენად შორს მდგომია მოსახლეობისაგან, რომ ქვეყნის მთავარი ქალაქისთვის მიღებული ბევრი გადაწყვეტილება ხშირად თბილისელებისათვის დიდი ხნის მანძილზე გასაიდუმლოებული რჩებოდა. ქართული პოლიტიკური სპექტრი დიდი ხანია, ამ ვითარების გამოსწორებაზე საუბრობს, მაგრამ დღემდე ამ მიმართულებით არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა.

აქედან გამომდინარე, დედაქალაქის მერისა და ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების ხედვა ნამდვილად ანგარიშგასაწევია, რადგან, როგორც ჩანს, საქართველოს უმთავრესი ქალაქის მუნიციპალური რეფორმა სწორედ ამ ორი პროექტის ერთგვარი სინთეზი იქნება. მით უფრო, რომ საკმაოდ ბევრ საკითხებში ზურაბ ჭიაბერაშვილისა და "მემარჯვენეების" პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა (მაგალითად, დედაქალაქის მერიც და ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც თბილისში რეალური თვიმმართველობის შემოღების აუცილებლობაზე საუბრობენ), თუმცა "მემარჯვენეები" საკითხის ასეთი დაყენების წინააღმდეგნი არიან და პირდაპირ აცხადებენ, რომ მათ კონცეფცია სრულიად დამოუკიდებლად შეიმუშავეს; მეტიც - ეჭვის საბოლოოდ გასაფანტად გუშინ ამ პოლიტიკური გაერიანების ლიდერებმა ისიც კი განაცხადეს, რომ დღეს "თბილისის მერის არჩევნები რომ გამართულიყო, თბილისი ჭიაბერაშვილს არ აირჩევდა".

გაგრძელება A3 გვერდზე

გლეხებს ყურძენი ულპებათ, მთავრობამ კი დაგვიანებით ატეხა განგაში

მთავრობაში განგაშია. კახეთში გლეხებს ყურძენი ულპებათ. ამის გამო გუშინ დილით ვაზისუბნის, შაქრიანის და კალაურის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია მოაწყო და ყვარელი-თელავის საავტომობილო მაგისტრალის ალაზნის ხიდის მონაკვეთი გადაკეტა. მოსახლეობის აღშფოთება ღვინის ქარხნების მესვეურებისკენ იყო მიმართული, რომლებმაც მათგან თეთრი ყურძნის შესყიდვა შეწყვიტეს. მოსახლეობა ეჭვობს, რომ ეს ყურძნის ფასის ხელოვნური შემცირებისთვის ხდება. შედეგად, კახეთის მოსახლეობამ მთავრობას შველა, უფრო კონკრეტულად კი - მათი ყურძნის მისაღებ ფასად შემსყიდველის გამოძებნა სთხოვა.

მაია ურუშაძე

კახელი მევენახეების პრობლემა დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს. გლეხებს მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწი მოსავალი ეკარგებათ. ჩანს, რუსეთთან საავტომობილო მიმოსვლის ჩაკეტვამ პრობლემა კიდევ უფრო გაართულა: გლეხები ყურძნის რუსეთის ბაზარზე გატანასაც ვეღარ ახერხებენ. საქართველოს ღვინის ქარხნებს დღეისათვის მხოლოდ 20 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავება შეუძლიათ, მოსავალმა კი 180 ათას ტონას გადააჭარბა. **"ჩამოვაყალიბოთ "ღვინის ეროვნული ორგანიზაცია", რომელმაც ეს საკითხები უნდა მართოს. ვიმსჯელოთ ერთად და ვეცადოთ, რომ ეს მოსავალი გლეხებს კი არ დააწვეს კისერზე აუნაზღაურებელი ხარჯების სახით, არამედ დროულად იქცეს,"** - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე, რომელსაც, კახეთის რაიონების გამგებლებსა და ღვინის ქარხნის დირექტორებთან ერთად, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში პეტრე ცისკარიშვილი,

გაგრძელება A3 გვერდზე

ჰოლიტიკა

ევროკავშირის "ტრიბუნასთან" საქართველოა

ნიკა ტაბატაძე პარლამენტს ანგარიშს აბარებს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოში შეხვედრების შესახებ.

A2

უცხოეთი

რუსეთი გაერო-ს "ატერორებს"

სერგეი ლავროვი ახალი რეზოლუციის მიღებას მოითხოვს, რომელიც ტერორისტებთან კავშირში მყოფ პირთა დევნას ეხება.

A5

საზოგადოება

ჰიპერმარკეტი სუპერმარკეტი არ გეგონოთ

"ამ ცენტრში 200-მდე ადამიანი დასაქმდება და პროდუქცია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება".

A6

სამართალი

მევლუდ ჭიჭიაშვილს კვლავ ყოფილ მძევალს დაუპირისპირებენ

განსასჯელი ჭიჭიაშვილი, როგორ ჩანს, პროცესის დასრულებამდე დუმილის უფლებას გამოიყენებს.

A7

ამინდი

	29/9	30/9
თბილისი	29	29
ქუთაისი	34	34
ბათუმი	33	35
სოხუმი	32	31
ფოთი	34	33
თელავი	27	27
ზუგდიდი	35	34
გორი	26	27
ახმეტა	28	28
ჭიათურა	31	31
გაგრა	31	29
სამტრედია	34	34

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი 1.8450
ევრო 2.2700
გირვანქა სტერლ. 3.3420
რუბლი 0.0632

1

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამოწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აგზავნის უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ძალიან თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაკის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ხლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 ამბები A3 ჰოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ჰროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

"რევკომი" ისევ იკრიბება

ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, ვახო ბაბუნაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ნიკა რურუა, მამუკა ხერხეულიძე, ირაკლი ჩარკვიანი, ლაშა ბაქრაძე - ნოემბრის რევოლუციის წინა დღეებში ეს ადამიანები ხშირად იკრიბებოდნენ, უმაღლესიდან უმაღლესში დადიოდნენ, სტუდენტებს ესაუბრებოდნენ და სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით თავიანთ აზრს უზიარებდნენ. გუშინ მათ შეკრება კიდევ ერთხელ მოუწიათ. კაცმა რომ თქვას, ისევ რევოლუციური მიზეზით, რადგან განათლების სისტემის ძირეული რეფორმის გარეშე რევოლუციას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

"საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განათლების სისტემაში ძირეული რეფორმა არ მომხდარა. საქართველოში ისევ ის სისტემა არსებობს, რომელიც ერთ დროს საბჭოთა კავშირს უზრდიდა ადამიანებს და დღეს, როდესაც რეალური რეფორმების განხორციელება ხდება შესაძლებელი, მას ვიღაცები ეწინააღმდეგებიან. მე ასე ვიტყოდი, დღეს პრობლემები იმ რუდიმენტული არსებებისგან მოდის, ვისაც იმ სკამების დათმობა არ სურთ, რომელთაც წლების განმავლობაში ასე შეეჩვივნენ. ჩვენ მათგან არც ერთი კომპეტენტური ოპონირება არ მოგვისმენია. საქართველო იღუპება - ეს არის მათი ძირითადი არგუმენტი," - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე რატი ამაღლობელმა.

"მართალია - საქართველო იღუპება, ოღონდ იღუპება საქართველოს ის კორუმპირებული ნაწილი, რომელიც ქრთამის აღებას იყო ძალიან შეჩვეული, დანარჩენები კი პირიქით, გადარჩებიან, - აიტაცა რატი ამაღლობელის სიტყვა ირაკლი ჩარკვიანმა, - **ვთქვათ ერთი-ორი არგუმენტი მაინც, რომელიც იქნებ ჩვენ არ გვესმის, მაგრამ ამ გამოცდილმა და ჭარმაგმა ხალხმა იცის?"**

"მისაღები გამოცდების ახალი, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის წინააღმდეგ შეგნებულად გამოდიან ის ადამიანები, რომელთა სახელებიც წლების განმავლობაში კორუფციას ან საბჭოთა სისტემისადმი სრულ კომფორმიზმს უკავშირდება. მათი წყალობით, საქართველოს ისედაც ღატაკი მოსახლეობა, მიახლოებითი მონაცემებითაც კი, აბიტურიენტების მოსამზადებლად წლიურად 20 მილიონს, ხოლო მისაღებ გამოცდებზე პირდაპირი ქრთამის სახით 10 მილიონს იხდის. რეფორმის შემდეგ, სწორედ სტუდენტი იქნება სახელმწიფოს მიერ განათლებისათვის გამოყოფილი ფულის რეალური პატრონი. უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი სისტემის ამოქმედების შემთხვევაში, რეალურად 2-ჯერ იზრდება თუნდაც უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს თანხები კორუმპირებული ადმინისტრაციების ნაცვლად სტუდენტების რეალურ განათლებას მოხმარდება. უნივერსიტეტის დიდი საბჭოს მრავალი წევრი პატრიოტიზმზე საუბრობს. ჩვენ გვწამს, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი, მართლაც, წესიერი ადამიანია. დღეს ჭუშმარიტად პატრიოტმა და წესიერმა მოქალაქემ მკაფიო არჩევანი უნდა გააკეთოს წარსულსა და მომავალს, კრიმინალსა და პატიოსნებას შორის," - ასეთი იყო გუშინ შეკრებილი ადამიანების მიერ გავრცელებული მიმართვის ძირითადი შინაარსი.

აფხაზეთში ქართული მაუწყებლობა აღდგება

"აფხაზეთის ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში ქართული მაუწყებლობა აღდგება და ქართულ რადიოს მოისმენენ, " - განაცხადა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ.

მისი თქმით, ზუგდიდში შეიქმნება რადიოცენტრი, რომელიც რადიოსიხშირეების გავრცელებას ტექნიკურად უზრუნველყოფს.

"ამ საკითხთან დაკავშირებით, უკვე გვაქვს კომერციული წინადადება. კერძოდ, თუ თანამედროვე ტექნოლოგიებით რადიოცენტრის გამართვა საშუალოდ 15-დან 60 ათასამდე დოლარი ღირს, ამ შემოთავაზების მიხედვით, საქართველოს მთავრობას ამ იდეის განხორციელება სულ 10 ათასი დოლარი დაუჯდება,"- აღნიშნა მაღლაფერიძემ.

ამასთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისიის გადაწყვეტილებით, გალის რაიონის სკოლების დაფინანსების საკითხის შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა.

თავის მხრივ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი პაატა დავითაია მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გალის რაიონის სკოლების დაფინანსება აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას გააღიზიანებს. გარდა ამისა, როგორც დავითაიამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო კომისიის სხდომაზე განაცხადა, რა პროგრამებით მიმდინარეობს სწავლება საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ზონაში, უცნობია, "ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, ვის გადავუხდით ხელფასს". მან მოუწოდა კომისიას, ეს საკითხი დეტალურად შეისწავლოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს გალის რაიონის სკოლების დაფინანსების მიზანშეწონილობა.

ინტერ-პრესი

bp

ეკოლოგია და ეკონომიკა ჰარმონიაში

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენთ, გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ საქართველოში “BP”-ს მესამე

ბიომრავალფეროვნების კონკურსში

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული `BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს თანხას 5,000-20,000 აშშ დოლარის ფარგლებში. საპროექტო წინადადებები უნდა:

- მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
- შეეძლოთ ორმაგი სარგებლობა მოიტანონ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნებისათვის
- მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
- განსაზღვრონ მუშაობისა და წარმატების შეფასების საშუალებები
- ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
- იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ სამუშაო გეგმას, (ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2004 წლის დეკემბრის ბოლოს.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177 ტელ:(995 32) 59 34 00

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება ა.წ. 4 ოქტომბერს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის წვეულებათა დარბაზში 11 სთ-ზე.

სატრანსპორტო და ენერგოდერეფანი - აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობის მთავარი საკითხები

საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია.

ლენა მიქაძე

საქართველოში იმყოფება აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი. დღეს იგი საქართველოს პრეზიდენტს უნდა შეხვდეს. აზერბაიჯანელმა მინისტრმა კი თავისი ვიზიტი წარმატებულად შეფასა ჯერ კიდევ გუშინ - პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან და თავის ქართველ კოლეგასთან სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ. **"ვიზიტი აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტის გაგრძელებაა. საქართველოს და აზერბაიჯანს, ურთიერთობის თვალსაზრისით, პრობლემები არა აქვთ, განსახილველი და ურთიერთსაინტერესო საკითხები კი ბევრია; განსაკუთრებით - ეკონომიკის სფეროში, სადაც სერიოზული პოტენციალი არსებობს,"** - განაცხადა მამედიაროვმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან აზერბაიჯანელმა მინისტრმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენზე ისაუბრა. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ეს ორი პროექტი განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობისაა, თუმცა არანაკლებ საყურადღებოა სხვა ტვირთების გადაზიდვაც და მათი გადაზიდვისთვის სატრანსპორტო კორიდორის შექმნა. მინისტრი ლოგიკურად მიიჩნევს, რომ **"ტრასეკასა და სხვა ამგვარი პროექტების რეალიზებისას საქართველოსა და აზერბაიჯანს ერთიანი პოზიცია ჰქონდეთ და აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი ყველასთვის მიმზიდველი გახდეს."**

შეიძლება თუ არა, რომ საქართველომ გარკვეული დახმარება გაუწიოს აზერბაიჯანს ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაში? ხომ არ იყო საუბარი კონკრეტულად ამ თემაზე ქართველ მაღალჩინოსნებთან შეხვედრისას? - მინისტრის განმარტებიდან ირკვევა რომ ეს თემები არ განხილულა, მაგრამ, მამედიაროვის თქმით, აზერბაიჯანი მზად არის, ამ პროცესში ჩართოს ყველა ის ქვეყანა, რომელიც კონფლიქტის მოწესრიგებაში გარკვეულ დახმარებას შეძლებს.

"ფარენგეიტის" უკუეფექტი მოსკოვში

"თუ თქვენ გვერდით ტერორისტი იმყოფება, ზედმეტი შეკითხვებით არ გააღიზიანოთ იგი. დაე, ილაპარაკოს."

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვი ანტიტერორისტული ოპერაციის რიტმში ცხოვრებას აგრძელებს. რუსული ოფიციოზი, ხელისუფლების რეფორმის პერალელურად, ქვეყანაში მომრავლებულ ტერორისტებს საკუთარი მეთოდებით ებრძვის. ამ მეთოდებში ტრადიციულიც ბევრია და არატრადიციულიც.

ორი დღეა, რაც მოსკოვში მიმდინარე ანტიტერორისტული სპეცოპერაცია მასობრივი კულტურის ელფერითაც შეიღება: კინოგაქირავებაში გამოვიდა ამერიკელი კინორეჟისორის მაიკლ მურის სკანდალური ფილმი "ფარენგეიტი 9\11". მოსკოვის 26 კინოთეატრში საპრემიერო ჩვენებაზე მოსულმა მაყურებელმა პრესაში ამოკითხული რეცენზიებით წინასწარ იცის, რომ ეს არის აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მამხილებელი დოკუმენტური მასალა, რომელსაც მაღალმხატვრულობის ელემენტებიც არ აკლია.

კინოთეატრებში "როლანსა" და "ხუთ ვარსკვლავში", სადაც ფილმის რუსეთში ჩამომტანი სადისტრიბიუტერო ორგანიზაცია "პარადიზის" მთავარი ოფისია, მოსკოველმა სტუდენტობამ მოიყარა თავი. ერთ-ერთმა რუსმა ახალგაზრდამ, ვინც "აშშ-ს პრეზიდენტის მამხილებელი კინომასალის სანახავად იყო მოსული", ჩვენთან საუბარში გულწრფელად აღიარა: ასეთი კინო რუსეთის სინამდვილეზე რომ გადაიღონ, ალბათ, ხუთსაათიანი ფილმი გამოვაო. ბევრი მათგანი რუსეთის ოფიციალური პირების მხილების წინაღმდეგი სულაც არ არის, თუკი ფარენგეიტის რუსული ვარიანტი ასეთივე მაღალპროფესიულ დონეზე იქნება გადაღებული და თუკი ვინმეს, რუსი კინორეჟისორებიდან ეყოფა გამბედაობა, ხელი მოჰკიდოს მსგავსი იდეის ფრთაშესხმას რუსეთის სინამდვილეში.

ტერორისტული აქტების სამწუხარო ქრონოლოგია არ იწვევს რუსი მაყურებლის გაკვირვებას, რადგანაც ხალხი უკვე მორჩილად შეეჩვია აზრს, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ქმედითი იარაღი. ამას ხელისუფლებაც აღიარებს.

და მაინც, "ფარენგეიტის" პრემიერამ ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგო ეფექტი გამოიღო: ფილმის სანახავად მოსული რუსული საზოგადოება დარწმუნდა, რომ ტერორისტული აქტები დიდ დერჟავას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დასაწესებლად, წესების გასამკაცრებლად სჭირდება. რუსეთის ოფიციოზი ამ პრემიერით საზოგადოებას საგულისხმო მესიჯს უგზავნიდა - ამერიკაში მომხდარი ტერაქტები ბუშის მოღვაწეობას უკავშირდებაო. მაგრამ მოსკოველ ინტელექტუალებს "ფარენგეიტის" ნახვის შემდეგ სხვა შეკითხვები გაუჩნდათ: განა ჩვენი ხელისუფლება იგივეს არ იმეორებს, როცა ტერორისტებთან ბრძოლისა და მძევალთა უმსხვერპლოდ გათავისუფლების ნაცვლად, სკოლის მოწაფეებს და დეპუტატებს ტერაქტების დროს მოქცევის წესებს ურიგებს?"

23 სექტემბერს, მოსკოვში, პრესის მუშაკებთან გამოსვლისას, პრეზიდენტი პუტინი დიდხანს არწმუნებდა ჟურნალისტებს, რომ რუსეთი 90-იან წლებში არჩეული გზით მიდის. "ტერაქტების ორგანიზატორთა საბოლოო მიზანი არა მარტო ქვეყნის დესტაბილიზაცია, არამედ რუსეთის ერთობაზე დარტყმა იყო. ამიტომ ქვეყნის ერთიანობას გაძლიერება ესაჭიროება," - განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პარლამენტში დღეს ტერორისტული აქტის შემთხვევაში მოქალაქეთა მოქცევის წესები გამოკიდეს, სადაც შავით თეთრზე წერია: "თუ თქვენ გვერდით ტერორისტი იმყოფება, ზედმეტი შეკითხვებით არ გააღიზიანოთ იგი. დაე, ილაპარაკოს.

ევროკავშირის "ტრიბუნასთან" საქართველოა

გიორგი ასანიშვილი

მთავრობის წარმომადგენლები დეპუტატებს ანგარიშს აბარებენ: ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მიწვეულმა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკა ტაბატაძემ და სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა კანონმდებლებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოში გამართული შეხვედრების შესახებ, რომელიც 14 სექტემბერს შედგა ბრიუსელში.

ნიკა ტაბატაძე პარლამენტს ანგარიშს აბარებს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოში შეხვედრების შესახებ.

ლევან ხარხელიძის ფოტო

საბჭოს სხდომა, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ ტარდება, რეგლამენტის მიხედვით, ერთსაათიანია. მასზე არ განიხილავენ ყველა პრობლემატურ საკითხს. იგი მხოლოდ შემაჯამებელი ხასიათის თავყრილობას წარმოადგენს. ბრიუსელში გამართულ სხდომას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თავმჯდომარეობდა, რომელიც საინტერესო ინიციატივით გამოვიდა; კერძოდ, მან წამოაყენა წინადადება, რომ სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის დაწყებულიყო მჭიდრო თანამშრომლობა ტერორიზმის, ნარკომანიისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კუთხით. თუმცა, ქართველი დიპლომატი ამაოდ დაშვრა: მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ ინიციატივასთან მიერთებაზე ბოლო მომენტში უარი თქვა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საბჭოს სხდომა საქართველო-რუსეთს შორის გართულებული ურთიერთობების ფონზე მიმდინარეობდა და მისი ყურადღების ცენტრში იყო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხი.

ნიკა ტაბატაძის თქმით, ევროკავშირმა მთლიანად დაუჭირა მხარი სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებულ პოზიციას, ხოლო ოფიციალურ თბილისს მისცა რეკომენდაცია, საერთო ენა გამონახოს რუსეთთან. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო დადასტურება, რომ ევროკავშირი ყოველმხრივ დაეხმარება მას კრემლთან ურთიერთობების დარეგულირებაში.

რაც შეეხება კონფლიქტების მოწესრიგებაში თავად ევროკავშირის მონაწილეობას, როგორც ევროპასთან ინტერგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აცხადებს, მიუხედავად საქართველოს სურვილისა, რომ ევროკავშირი უფრო აქტიურად ჩაერთოს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, **"ეს ორგანიზაცია თავად არ არის მზად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებში".**

პარლამენტარის მოსაზრებას სახელმწიფო მინისტრი მთლიანად იზიარებს. **"ევროკავშირი ადასტურებს, რომ საქართველოს მხარს დაუჭერს, მაგრამ კონფლიქტებში მედიატორი ვერ იქნება",** - აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს საუბარი იმ ღონისძიებებსაც შეეხო, რომლებსაც ქვეყნის ხელისუფლება ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებისთვის ახორციელებს.

მოკლედ

ფრანგი ინსტრუქტორები ქართულ სამთო შენაერთს მოამზადებენ

თავდაცვის სამინისტროში საქართველოსა და საფრანგეთის მხარეებს შორის ხელი მოეწერა 2005 წლის ურთიერთთანამშრომლობის გეგმას. ღონისძიებას დაესწრო თბილისში ვიზიტით მყოფი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი მორის ლონი. ქართულ მხარეს წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ლევან ნიკოლეიშვილი. ფრანგული მხარე რამდენიმე წელია, ეხმარება საჩხერის სამთო სასწავლო ცენტრს. მომავალი წლისთვის დაგეგმილია ფრანგი ინსტრუქტორების ჩამოსვლა, რომლებიც მოამზადებენ სამთო ქვედანაყოფს. საჩხერის ბაზაზე შეიქმნება სამედიცინო სამსახური, რომელიც სამედიცინო აპარატურით აღიჭურვება. ასევე მოხდება ქართველი სამედიცინო პერსონალის საფრანგეთში მივლინება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

"საფრანგეთს ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს და ჩემი აქ ჩამოსვლის მიზანია, ქართულ მხარესთან კიდევ უფრო გავაღრმავოთ სამხედრო თანამშრომლობა, რათა საბოლოოდ მოხდეს ქართული სამხედრო ნაწილების მოდერნიზება", - განაცხადა ხელმოწერის ცერემონიაზე საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა მორის ლონმა. **მედია-ნიუსი**.

პრეზიდენტმა მშობლიური ცხრუკვეთი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჭიათურის რაიონს ეწვია. იგი დაესწრო სოფელ სვერის სკოლის 100 წლის იუბილეს. ღონისძიება დაგეგმილი იყო ივლისის თვეში, მაგრამ ცხინვალში განვითარებული მოვლენების გამო, სკოლის იუბილე სექტემბრის ბოლოსთვის გადაიდო. სკოლას ამჟამად სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბადრი ბიწაძის მამა - რევაზ ბიწაძე ხელმძღვანელობს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა მეცნიერ ალექსანდრე წერეთლის სახლ-მუზეუში და თავის მშობლიურ სოფელ ცხრუკვეთზე საუბრისას აღნიშნა, რომ ამ საინტერესო მხარეს ბევრი გამოჩენილი ადამიანი გამოუზრდია; მათ შორის - სახელმწიფო მოღვაწე მიხაკო წერეთელი. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველო აქტიურად არის ჩართული ტერორიზმთან ბრძოლაში და ხელისუფლება მოხარული იქნება, თუ ამ საკითხში საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა გააქტიურდება. ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი რუსეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომლის მიხედვით, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი იმ შემთხვევაში გაუქმდება, თუ ქვეყანა ტერორიზმთან ბრძოლაში აქტიურად ითანამშრომლებს რუსეთთან. "საქართველო დიდი ხანია, ჩართულია ტერორიზმთან ბრძოლაში და ეს დადასტურდა თებერვალში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრისას, გაეროში მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის დროსაც", - დასძინა პრემიერმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი 29 სექტემბერს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში მიემგზავრება. ვიზიტისას გელა ბეჟუაშვილი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს შეხვდება. შეხვედრაზე რამდენიმე საკითხი განიხილება. საუბარი შეეხება ტერორიზმთან ერთობლივად ბრძოლის საკითხებს. ასევე, ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯინბამ განაცხადა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს დაბრუნდება. "ჩვენ უკვე შევეჩვიეთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ის აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში დააბრუნებს. თბილისში უნდა გაიგონ, რომ ამგვარი რამ არ მოხდება, ძალით კი ეს პრობლემა ვერ გადაწყდება", - აღნიშნა ხაჯინბამ "ინტერ-ფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი, ლეიბორისტული პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პრეზიდენტის დონეზე გადაწყვიტა 24 ოქტომბრის მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნების ჩვეული მეთოდით გაყალბება. კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პაატა ჯიბლაძის თქმით, არჩევნების გაყალბება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის, გიორგი არველაძის მიერ იქნა დაგეგმილი და პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო კანცელარიასთან თერჯოლელი "ნაციონალების" საპროტესტო აქცია შეწყდა. ისინი მანამდე თერჯოლის რაიონის გამგებლის ვლადიმერ ზედაშიძისა და იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის დავით მუმლაძის თანამდებობიდან გადადგომასა და პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას მოითხოვდნენ. პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, მან არაფერი იცის იმის თაობაზე, შედგა თუ არა პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა აქციის მონაწილეებთან. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან საღლობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძველებს - მადლობა, ახლებს - გაფრთხილება

პირველი გვერდიდან

მათ პრეზიდენტისგან უკვე მიიღეს გაფრთხილება.

იმერეთში დავით მუმლაძეს შეცვლის შს მინისტრის პირველი მოადგილე გია გეწაძე, რომელსაც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება და ბიზნეს-კონტაქტები აქვს.

დაბოლოს, ცვლილებები მოხდება აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტში, რომლის თავმჯდომარედ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ირაკლი ალასანია ინიშნება. **"აფხაზეთი მათავარი თემაა და ჩვენ გვჭირდება სტრუქტურა, რომელიც დღე და ღამე აფხაზეთის საკითხზე იმუშავებს... ირაკლის მამა, მამია ალასანია ჟიული შარატავასთან ერთად გმირულად დაიღუპა. ალასანია იქნება საქართველოს მთავარი სპიკერი აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. მისი გული აფხაზეთშია და ეს მისთვის ღირსების საკითხია,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე მოუხდა კომენტარი გაეკეთებინა ირაკლი ალასანიასთან შესაძლო ნათესაური კავშირისთვის. **"ჩემი ნათესავებისთვის თანამდებობისკენ გზა დაკეტილია, ირაკლი ალასანიასთვის კი - ღია,"** - ნახევრად ხუმრობით აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მიუხედავად ჩატარებული საკადრო ცვლილებებისა, პრეზიდენტი ყოფილი რწმუნებულების მუშაობით უკმაყოფილო არ არის. როგორც აცხადებს, ამგვარი გადაწყვეტილება მან შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად მიიღო. იმისათვის, რომ **"გატარდეს საკადრო ცვლილებები, რომელიც შექმნის მყარი ეკონომიკური ზრდის საფუძველს, უზრუნველყოფს სტაბილურობას და კორუფციის დაბალი დონის შენარჩუნებას."**

იმერეთის მხარეში თავის ყოფილ რწმუნებულს პრეზიდენტი, სხვა საქმეებთან ერთად, იმასაც უმადლის, რომ **"ბონდო შალიკიანის კლანი ძირფესვიანად ამოთხარა და გაანეიტრალა, ქუთაისში უფასო სასწრაფო გაუშვა."** სამეგრელოში კი ლერი ჭითავამ ბანდიტური დაჯგუფებების ნეიტრალიზება შეძლო, მაგრამ როგორც პრეზიდენტი აცხადებს, ახლა ახალი რწმუნებულების მოქმედების დროა.

ამასთან, პრეზიდენტი ახალ გუბერნატორებსაც აფრთხილებს. იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს ხანში გიგი უგულავამ აფხაზეთის მხრიდან კონტრაბანდის აღკვეთა ვერ მოახერხა და რეგიონში გზები არ დააგო, ხოლო გია გეწაძემ კორუფციასთან საბრძოლველად და რეგიონის ელექტროენერგიით მოსამარაგებლად არ დაიმკლავა ხელები, გოგა ხაჩიძემ კი ლარსიდან და ყაზბეგიდან კონტრაბანდის პრობლემა არ გადაჭრა, თანამდებობებს დატოვებენ.

რა ელით გათავისუფლებულ რწმუნებულებს? - ამ შეკითხვის პასუხად, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **"გადაგდებული არც ერთი მათგანი არ არის და მათ სხვა თანამდებობებზე გადაიყვანს, ქუჩაში არ დატოვებს."**

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემის გამო. **"რაც უფრო ადრე მიხვდებიან აფხაზი ძმები, რომ ამგვარი მცდელობების მიუხედავად, აფხაზეთი იყო, არის და დარჩება საქართველოს განუყოფელი ნაწილი; რაც უფრო ადრე მოვილაპარაკებთ მათთან, ვიცხოვროთ ერთიან ფედერალურ სახელმწიფოში, სადაც აფხაზეთს ფედერალური სუბიექტის უფართოესი უფლებები ექნება, მით უფრო ადრე და მარტივად მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა,"** -აცხადებს სააკაშვილი.

გუშინ პრეზიდენტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი რექტორის კანდიდატურების დაზუსტებაც სთხოვეს ჟურნალისტებმა. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნის საკითხში ჩარევას არ აპირებს. ეს საკითხი თავად უნივერსიტეტმა უნდა გადაწყვიტოს. ამასთან, ქვეყანაში განათლების ახალი, თანამედროვე სისტემის დანერგვაა აუცილებელი.

ბრიფინგზე საკმაო ადგილი დაეთმო საქართველოს საკურორტო რეგიონების აღორძინებას. ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ინვესტორ კომპანია "ბი-პის"-გან გამოყოფილი რამდენიმე მილიონი ლარი ბორჯომის ტყე-პარკის აღდგენას მოხმარდება. ბორჯომში პრეზიდენტს კი მინი დისნეილენდის მოწყობა აქვს გადაწყვეტილი. ქვეყნის მეთაური დარწმუნებულია, რომ ბორჯომში დასასვენებლად ჩასულთა რიცხვი მომავალში ოთხჯერ გაიზრდება. ამას იგი საკუთარი დაკვირვების საფუძველზე აცხადებს. კერძოდ, გზებზე პოლიციის თავნებობის აღკვეთის შემდეგ, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული ტურისტების რიცხვი წელს ორჯერ გაზრდილა.

ქართული ფაქტორი აფხაზეთის არჩევნებში

ანუ რისი ეშინია რუსეთს

ნინო გომართელი

აფხაზეთი ცვლილებების ზღვარზეა. 3 ოქტომბერს აქ დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება, რაც, რიგი ანალიტიკოსების აზრით, "არძინბას რეჟიმის" დასასრული იქნება.

ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის სრულმა გაძარცვამ, სახელისუფლებო სტრუქტურებში გამეფებულმა კორუფციამ, ეკონომიკური დაღმასვლის ქრონიკულმა პროცესმა, მძიმე კრიმინოგენულმა ვითარებამ და ვლადისლავ არძინბას კლანის უსაზღვრო გამდიდრებამ აფხაზეთის საზოგადოებაში საკმაოდ მძლავრი ოპოზიციის ჩამოყალიბება გამოიწვია, რაც ასე აშინებს დღეს სოხუმით დაინტერესებულ სახელმწიფოს - რუსეთს და ხელს აძლევს საქართველოს.

ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში 92/93 წლების ომის ვეტერანთა ორგანიზაცია "ამცახარა" მზად იყო სოხუმის ხელისუფლების ჩამოგდებისთვის. მიმდინარე წლის ზამთარში კი პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაძაბა სოხუმში ცნობილი პოლიტიკოსის, "ამცახარას" აღმასრულებელი მდივნის გარი აიბას მკვლელობამ. ვეტერანთა ორგანიზაცია შეუერთდა კიდევ ერთ გავლენიან მოძრაობას "ერთიანი აფხაზეთი".

წინასაარჩევნო ჭიდილის ფონზე კი "ცეცხლზე ნავთი დაასხა" აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებამ, რომელმაც პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი განუცხადა ოპოზიციური მოძრაობა "აიტაირას" ლიდერს ალექსანდრ ანქვაბს, რომელსაც სერიოზული გავლენა ჰქონდა შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. საბოლოოდ, საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსების პატრონი ანქვაბი მაინც არ ჩამორჩა საპრეზიდენტო რბოლას და გვერდში დაუდგა სხვა კანდიდატს - "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელს სერგეი ბაღაფშს, რომელმაც თავის გარშემო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ოპოზიციონერთა ჯგუფი შემოიკრიბა.

სოხუმის ავტორიტეტული ფიგურები კი მოსახლეობას მოუწოდებენ, არ დაუჭირონ მხარი ბაღაფში-ანქვაბის დუეტს, რადგან "მათ შეუძლიათ აფხაზეთის ინტერესებს უღალატონ".

1970 წელს სერგეი ბაღაფში ქართულ კომკავშირში მუშაობდა. თუ რამდენად შეინარჩუნა მან დღემდე ქართულ ელიტასთან ურთიერთობა, ამაზე მსჯელობა დღეს სოხუმს უჭირს, თუმცა ხაჯიმბას მომხრეები ბაღაფშის ბიოგრაფიის ეპიზოდს ხშირად იყენებენ მისი ანქვაბთან ალიანსში "პროქართული ელემენტის" დასადასტურებლად. ამას გარდა, ალექსანდრ ანქვაბს მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში ქართული მხარისთვის იარაღის ჩაბარებაში ედება ბრალი. ყველაფერი კი ასე მოხდა: ომის პირველ დღეებში აფხაზები გუდაუთაში დაბანაკდნენ, ანქვაბმა არძინბასაგან მიიღო ბრძანება - დარჩენილიყო სოხუმში და ქართველებთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა დროის მოგების მიზნით, რათა აფხაზებს მდინარე გუმისთას ტერიტორიაზე სამხედრო პოზიციები გაემყარებინათ. ანქვაბი შს სამინისტროს შენობაში დარჩა შვიდ შეიარაღებულ თანამშრომელთან ერთად. ამ დროისათვის აფხაზეთის დედაქალაქი მთლიანად დაიკავა ქართულმა მხარემ. ანქვაბმა იარაღის დაყრის ბრძანება გასცა. ქართულმა მხარემ ისინი უვნებელი გაუშვა. დღეს ამ შემთხვევას ხაჯიმბას მომხრეები ხშირად იხსენებენ და ღალატად აფასებენ.

რაც შეეხება არძინბას რჩეულს - პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას, ის არ აძლევს ოპოზიციას გაკრიტიკების საბაბს. მისი ერთადერთი კოზირი კი იმიჯია, როგორც "ადამიანი სპეცსამსახურებიდან", რაც მას ქულებს რუსეთის თვალშიც ჰმატებს.

მოახლოებულ არჩევნებს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ის გარემოება, რომ აფხაზეთი მრავალეროვნულია და ეს ფაქტი არჩევნების შედეგების წინასწარ განსაზღვრას ნამდვილად გამორიცხავს. ამჟამად აფხაზეთში 230 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის არის 60 ათასი გალის რაიონში დაბრუნებული ქართველი დევნილი. არაოფიციალური მონაცემებით, აფხაზების რაოდენობა 64 ათასს შეადგენს, სომხები მათზე მეტნი არიან - 70 ათასი. რუსული მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ორჯერ შემცირდა და ამჟამად 40 ათასს შეადგენს. იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო წინასწარ განსაზღვრა, თუ ვინ რომელ კანდიდატს დაუჭერდა მხარს, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაეყვანა ქართველების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში. გალის რაიონში მყოფთ აქვთ ან ქართული პასპორტი, ან არაფერი, ერთადერთი გამოსავალი კი იქნებოდა მათთვის იმ დოკუმენტების გაცემა, რაც ქართული პირადობის მოწმობის დამადასტურებელი საბუთის შემცვლელი იქნებოდა, რაზეც არავინ წავიდა. ამ პროცესის დაწყება ჯერ მაქსიმალურად გაწელეს, შემდეგ კი განაცხადეს, რომ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე საბუთების გაცემის პროცესის დაწყებას აზრი არ ჰქონდა. სოხუმის ხელისუფლებაში მკაფიოდ მუსირებს მოსაზრება, რომ გალის რაიონში აბსოლუტური მხარდაჭერით სარგებლობენ მხოლოდ ოპოზიციონერები: ბაღაფში და ჯერგენია.

რაც შეეხება პროგნოზებს, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოკითხვა ჩაატარეს და გამოიკვეთა, რომ 47,2 პროცენტით იმარჯვებს სერგეი ბაღაფში, 39,6 პროცენტს იღებს რაულ ხაჯიმბა, 9,1 პროცენტი აქვს სეგრეი შამბას, 3,4 - ანრი ჯერგენიას და 0,7 პროცენტი იაკუბ ლაკობას.

თბილისის პრობლემების განსხვავებული და ერთნაირი ხედვა

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება თავად მემარჯვენეების პროექტს: გუშინ პარლამენტარმა მამუკა კაციტაძემ ზოგადად ისაუბრა ამ რეფორმის აუცილებლობაზე და განაცხადა, რომ **"თვითმმართველობის არსი წარმომადგენლობითობაში, არჩევითობასა და დამოუკიდებლობაშია, ხოლო თვითმმართველობის დანიშნულება ამომრჩეველთან ტერიტორიული სიახლოვე, გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა, ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა და ნებისმიერი ჩვენგანისათვის დროის მინიმალური დანახარჯებია".**

პროექტის თანახმად, თბილისის თვითმმართველობის სტრუქტურა ორი დონით იქნება განსაზღვრული. პირველი დონე უბანია. თბილისი თავისი კულტურული და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, დაიყოფა 33 ადმინისტრაციულ ერთეულად. უბნის ხელისუფლება უბნის მმართველისგან და უბნის სათათბიროსგან იქნება შემდგარი. პირველს მოსახლეობა აირჩევს, ხოლო სათათბირო ორი წლის ვადით, მაჟორიტარული წესით აირჩევა. რაც შეეხება მეორე დონეს, მამუკა კაციტაცის განცხადებით, **"ეს დონე ქალაქი იქნება, რომელსაც რეგიონის სტატუსი და უფლებები უნდა მიენიჭოს."**

მისი თქმით, **"ქონება, რომელიც იმყოფება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე და აუცილებელია მისი ექსკლუზიური ფუნქციების განხორციელებისთვის, თვითმმართველობის საკუთრება უნდა იყოს."** დედაქალაქს ასევე უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად ფართო საბიუჯეტო დაუმოუკიდებლობა.

"მემარჯვენეთა" აზრით, ქალაქის მერის თანამდებობა უნდა იყოს არჩევითი და იგი მერს ოთხი წლით უნდა ირჩევდეს. ამასთან, კონცეფციის მიხედვით, მერს მცირე მთავრობა ეყოლება, ქალაქის პრემიერის ინსტიტუტი კი, რომელიც "მემარჯვენე ოპოზიციის" აზრით, მერის ფუნქციების დუბლირებას ახდენს, გაუქმდება.

როგორც უკვე ვთქვით, დედაქალაქის მმართველობის რეფორმის აუცილებლობაზე თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც საუბრობს. ჯერ კიდევ ორი თვის წინ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა:

"თუ არ მოხდა მუნიციპალური რეფორმა, ერთჯერადი ღონისძიებებით არაფერი გამოვა. თბილისის რუკას რომ დავხედოთ, აშკარაა, რომ იგივე დიდი დიღმის მაცხოვრებლები უბრალო საყოფაცხოვრებო პრობლემის გადასაწყვეტად ვაკე-საბურთალოს გამგეობაში არ უნდა დადიოდნენ. ეს არის ყველაზე მკაფიო და ცუდი მაგალითი იმისა, რაც დღეს გვაქვს. რუკას დავხედავთ თუ არა, გეოგრაფიულად უკვე გამოყოფილია გარკვეული უბნები, რომელიც შეიძლება გახდეს თვითკმარი ერთეულები.

ჩვენ უნდა გადავიდეთ უბნური მუნიციპალიტეტების პრინციპზე. ანუ ჩვენ შეიძლება თბილისი დავყოთ 20-25 მუნიციპალიტეტად. ამავე დროს, გარდა ისტორიული საზღვრებისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობაც და მათი დასახლების სიმჭიდროვეც. ძალიან კარგად არის მოსაფიქრებელი დაყოფის სტრატეგია.

ბოლო არჩევნები გადაწვეტს, რომელმა გუნდმა, რომელმა ადამიანებმა უნდა განსაზღვრონ კონკრეტული უბნის განვითარების გეგმა. რეფორმის პროექტის თანახმად, ქალაქში თვითმმართველობის ორი დონე იქნება - მუნიციპალიტეტები და ქალაქის საკრებულო. აუცილებლად უნდა შევეხოთ არჩევნების საკითხსაც. პირველ დონეზე პარტიული არჩევნები ჩემთვის მიუღებელია. უბანმა მისთვის მისაღები ადამიანები უნდა აირჩიოს. რაც შეეხება მეორე დონეს, ყოველი მუნიციპალიტეტიდან, შესაძლოა, აირჩეს თითო მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში, ანდა გავსაზღვროთ ხუთ-ხუთი მუნიციპალიტეტი და ეს იყოს პროპორციული ოლქი, სადაც ჩატარდება არჩევნები საკრებულოში. ეს ის საკითხია, რომლის ირგვლივაც დისკუსია აუცილებლად გასამართია.

შესაძლოა, ვიფიქროთ იმაზეც, რომ პირველი დონის წარმომადგენლობით ორგანოს საკანონმდებლო ფუნქციები შეზღუდული ჰქონდეს. სტრატეგიულ საკითხებს გადაწყვეტს მერი და მისი აღმასრულებელი აპარატი, რომლის დღევანდელი სახით შენარჩუნება მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მერის აპარატი უნდა იყოს ძალზე მობილური, არ უნდა არსებობდეს დიდი სამსახურები. მისი მთავარი ამოცანა უნდა იყოს იმის კონტროლი, თუ რა ხდება მუნიციპალიტეტში, ინფორმაციის შეკრება და ანალიზი, რომლის შედეგად უნდა წარმოიშვას ახალი ინიციატივები", - ასეთია დღესაც თბილისის მერის პოზიცია.

გლეხებს ყურძენი ულპებათ, მთავრობამ კი დაგვიანებით ატეხა განგაში

პირველი გვერდიდან

მევენახეები მთავრობის დაპირებებს უკმაყოფილოდ ისმენდნენ.

უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე, თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ესწრებოდნენ. **"ეს შეხვედრა არ არის რეაგირება გზების გადაკეტვაზე. უბრალოდ, ჩვენ გვტკივა გლეხების პრობლემები,"** - საგანგებოდ ხაზგასმით აღნიშნა ჟვანიამ.

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ შექმნილ ვითარებაში ლომის წილი პროდუქციის ფალსიფიცირების პრობლემას აქვს; კერძოდ კი, ბაზარი წალეკა აზერბაიჯანიდან 10 თეთრად შემოტანილმა ჰიბრიდული ჯიშის (რომლის გადამუშავებაც იკრძალება როგორც საქართველოს, ისე ევროპული კანონმდებლობით) ყურძენმა და აქვე კუსტარულად, ფხვნილებით დამზადებულმა ღვინომ. ამიტომ კახელი გლეხების მიერ მოყვანილ მოსავალს აღარავინ ყიდულობს.

ჟვანია ფინანსურ პოლიციას ფალსიფიცირებულ საქონელთან შეურიგებელი ბრძოლისკენ მოუწოდებს, ქალაქის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს კი ავალებს, თბილისში გამოძებნოს შესაფერისი ადგილები იმისათვის, რომ რთვლის დროს კახელმა გლეხებმა მუდმივად შეძლონ მოყვანილი მოსავლის რეალიზება. პრემიერ-მინისტრმა მთავრობას საკითხის გადაწყვეტისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, ერთდღიანი ვადა მისცა. საგანგებო შტაბმა, რომელსაც ჯამბულ ბაკურაძე ხელმძღვანელობს, ამ ვადაში უნდა უზრუნველყოს, რომ მთავრობის სხდომაზე დაუყოვნებლივ განიხილონ კონკრეტული წინადადებები პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

მთავრობამ წელს პირველად გამოყო 600 ათასი ლარის ოდენობის სუბსიდია ღვინის ქარხნებისთვის, რომლებმაც გლეხებისგან ყურძენი უნდა შეიძინონ, პროდუქციის რეალიზაციით კი - ვალი გაისტუმრონ. თუმცა, როგორც გაირკვა, ამ სუბსიდიის ათვისების უფლებისათვის ტენდერი ჯერაც არ დასრულებულა. გამარჯვებული 20 ოქტომბერს უნდა გამოვლინდეს. ამ დროისათვის კი ყურძნის მთელი მოსავალი უვარგისი იქნება.

არადა, როგორც შეხვედრაზევე გაირკვა, რამდენიმე ღვინის ქარხანა მზადაა, მთლიანად აითვისოს ეს სუბსიდია და კახელების ყურძენი შეისყიდოს; მაგრამ კახელი გლეხების წარმომადგენლებს ეს თანხა ეცოტავებათ: **"შარშან 900 ათასი ლარის ღირებულების ყურძენი მარტო ვაქირში გაიყიდა. 600 ათასი ლარი საქმეს რას უშველის,"** - აცხადებდნენ შეხვედრაზე დამსწრე ვაქირელი ფერმერები.

თუმცა, პრემიერის თქმით, შესაძლოა, სახელმწიფომ სუბსიდიის სახით კიდევ დამატებით თანხებიც გამოყოს. მანამდე კი მთავრობა პრობლემის მოგვარებაში დახმარებას მეღვინეებს სთხოვს, სანაცვლოდ კი ჰპირდება, რომ ღვინის ფალსიფიკატორებს აქტიურად შეებრძოლება.

"სასაცილო ამბავი"

ნინო გომართელი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ კეხვთან, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ოსური პოლიციის საგუშაგოსთან, რუსმა სამშვიდობოებმა ტომარაში ჩაყრილი დიდი რაოდენობის - 120 კილოგრამი - ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი აღმოაჩინეს.

ეს ფაქტი, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ოფიციალური თბილისის მიმართ გამოთქმული ბრალდების საბაბად იქცა.

ქართული მხარის ვერსია ლოგიკურია - ტროტილი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ იქნა დადებული.

"ეს არის მორიგი პროვოკაცია," - აცხადებს ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი ალეკო კიკნაძე.

ოსური მხარის პოზიცია კი, რომელიც რუსულის იდენტურია, ადვილი გამოსაცნობია - ნაპოვნია სამი ტომარა, რომელთაგან ორში იყო ის მავთულები, რომლებიც მდინარე ღიახვზე იყო გადაჭიმული ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიამდე.

"ამ ტერიტორიაზე საქართველოდან რუსეთში რეგულარულად დადიან ავტობუსები, და მოძრაობს მშვიდობიანი მოსახლეობა. როგორც ჩანს, ქართული მხარის მიერ მზადდებოდა ტერორისტული აქტი, რასაც შემდგომ მოჰყვებოდა ოსური მხარის დადანაშაულება და "წესრიგის დამყარების მიზნით" დამატებითი სამხედრო ძალების შემოყვანა," - აცხადებენ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის ძალოვან სტრუქტურებში.

ამ ყველაფერს კი ერთი საინტერესო გარემოება ემატება: რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა "სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის" გენერალმაიორ სვიატოსლავ ნაბდზოროვის მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი.

როგორც ჩანს, პუტინი მის ქვეშევრდომებსა და მისი ბრძანებების აღმსრულებლებს "დამსახურებას" არ უკარგავს.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების ყოფილ სარდალს, ამჟამად რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის ძირითადი ფაკულტეტის უფროსის მოადგილეს ნაბზდოროვს ჯილდო "ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში დიდი დამსახურებისა და მრავალწლიანი უმწიკვლო სამსახურისთვის" გადაეცა.

ორი სიტყვით

თბილისი. ტექნიკური გაუმართაობისა და არარენტაბელობის გამო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკების ჩართვა 2004-2005 წლების ზამთრის სეზონზე არ იგეგმება. საბითუმო ბაზრის ცნობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკების მუშაობა ეკონომიკურად გაუმართლებელია, ამიტომ თანხების მობილიზება, ძირითადად, "რაო ე-ესის" საკუთრებაში არსებული მეცხრე ენერგობლოკისთვის მოხდება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "თბილსრესის" მესამე, მეოთხე და მერვე ენერგობლოკების რეაბილიტაციისთვის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში არაფერია გათვალისწინებული. თანხას "თბილსრესში" მხოლოდ ავტოტრანსფორმატორის რემონტისთვის ელოდებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაზაფხულიდან სასტუმრო "ივერიის" ნაცვლად ახალი შენობის მშენებლობა დაიწყება. "ივერიის" მფლობელი კომპანიის "სილქ როუდ ჯგუფის" წარმომადგენლის დავით შენგელიას ცნობით, ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების შემდეგ კომპანია განსაზღვრავს, რა აშენდება "ივერიის" ნაცვლად - სასტუმრო თუ საქმიანი ცენტრი. ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების პროექტზე მუშაობა ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება, შემდეგ კი "სილქ როუდ ჯგუფი" შენობის არქიტექტურული კონცეფციის შემუშავებაზე კონკურსს გამოაცხადებს. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, რამდენსართულიანი იქნება "ივერიის" ბაზაზე აშენებული ახალი შენობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბათუმის სასტუმრო "ინტურისტი" აუქციონის წესით ხვალ გაიყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცნობით, მოლოდინი გამართლდა და სასტუმროს შესყიდვით 1-ზე მეტი კომპანია დაინტერესდა. "ინტურისტი" 15 სექტემბერს უნდა გაყიდულიყო, თუმცა, პოტენციური ინვესტორების თხოვნით, ეს პროცესი ორი კვირით გადაიდო. დაინტერესებულმა პირებმა ობიექტის სრულყოფილად შესწავლისათვის დამატებითი დრო ითხოვეს. **ინტერ-პრესი**

ნოღაიდელი არაფრის შეცვლას არ აპირებს

გუშინ, ამერიკაში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ჟურნალისტებს შეხვდა. პრესკონფერენციაზე ნოღაიდელმა რამდენიმე საკითხზე გააკეთა აქცენტი, მათ შორის - ახალ საგადასახადო კოდექსსა და თავის მოსალოდნელ ვიზიტზე. მან აღნიშნა, რომ არ აპირებს, შეღავათი გაუწიოს თავის მოწინააღმდეგეებს. მეტიც, ნოღაიდელი არაფრის შეცვლას არ აპირებს.

დიანა ჩაჩუა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ახალი საგადასახადო კოდექსის ადმინისტრაციულ ნაწილთან დაკავშირებულ შენიშვნებს არ გაითვალისწინებს. ასეთი მკვეთრი განცხადება მინისტრმა გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი განცხადებით, იგი ვერ დაუშვებს, რომ კოდექსი არ იყოს ადმინისტრირებადი და ქვეყანამ ვერ მიიღოს საჭირო შემოსავლები. **"ახალი საგადასახადო კოდექსი რეგიონში ყველაზე ლიბერალურია. მზად ვარ, ყველა ჯგუფთან ვიმუშაო და შენიშვნების დიდი ნაწილი გავითვალისწინო, მაგრამ პრინციპული შენიშვნები, რომლებიც ადმინისტრაციულ ნაწილს ეხება, არ იქნება მიღებული. იყო ბევრი შენიშვნა სხვადასხვა მხრიდან და იყო საუბარი, თუ ვისზე უნდა ყოფილიყო მტკიცებულების ტვირთი. პირდაპირ ვაცხადებ: მე ამ ადამიანთა მოსაზრებები არ მაინტერესებს,"** - განაცხადა ნოღაიდელმა. მათ კი, ვინც კოდექსის ადმინისტრაციული ნაწილის წინააღმდეგ გამოდის, ფინანსთა მინისტრი "არგადამხდელების ლობისტებს" უწოდებს.

ზურაბ ნოღაიდელის ინფორმაციით, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეკონომიკაში 380 მილიონი ლარი რჩება, რომლის ადმინისტრირებაზეც მომავალ წელს სამინისტრო უარს ამბობს.

ამასთან, 29 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური სესია გაიმართება. სწორედ ამ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა დღეს ზურაბ ნოღაიდელი ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ვიზიტისას განსაკუთრებული მნიშვნელობა სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ორმხრივ შეხვედრებს მიენიჭება. **"გასული წლების სესიებისგან განსხვავებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინაშე გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლებითა და სრულად დაფინანსებული სოციალური ვალდებულებებით წარდგება,"** -აცხადებენ სამინისტროში. დაგეგმილია შეხვედრები მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან შიგეო კაცუსთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ჯერომ კრემერსთან. როგორც ცნობილი გახდა, საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში დაგეგმილ შეხვედრებზეც ისაუბრებენ.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მიწვეულია საერთაშორისო კონფერენციაზე

2004 წლის 5-6 ოქტომბერს ქ. მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. კონფერენციაზე დამკვირვებლის სტატუსით მიწვეულია საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახური, უკრაინისა და აშშ-ს შესაბამის სამსახურებთან ერთად. ფინანსური მონიტორინგის სამსახურს კონფერენციაზე წარმოადგენენ სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გეგუჩაძე და მისი მოადგილე ვახტანგ მაჭავარიანი. საერთაშორისო კონფერენციაზე ხელი მოეწერება FATF-ის (ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის) რეგიონალური ტიპის ორგანიზაციის "ევრაზიული ჯგუფი" სადამფუძნებლო დოკუმენტაციას. "ევრაზიული ჯგუფის" ძირითად მიზანს წარმოადგენს ეფექტური ურთიერთქმედებებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა რეგიონალურ დონეზე და ევრაზიული ჯგუფის წევრი-სახელმწიფოების ინტეგრაცია დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში. კონფერენციის ორგანიზატორები არიან: ევროკავშირი, ევროპის საბჭო და რუსეთის ფედერაციის ფინანსური მონიტორინგის ფედერალური სამსახური. გარდა ამისა, 6 ოქტომბერს გაფორმდება თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და ჩეხეთის შესაბამის სამსახურს შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივ ბრძოლას ტერორიზმის, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ამ გზით მიღებული ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პროგრამების განხორციელებისათვის ხელშეწყობასა და ინფორმაციის გაცვლას, ასევე გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის სტაჟირებას.

24 საათი

საქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"ფინანსური ანალიზის საფუძვლები".**

სემინარი გაიმართება თბილისში, ა.წ. 30 სექტემბერს 10:00-ზე სასტუმრო "მარიოტ ქორთიარდში" (თავისუფლების მოედანი N4).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარი არაა განკუთვნილი ფინანსური მენეჯერებისა და ფინანსური განათლების მქონე ხელმძღვანელი პირებისათვის.

სემინარზე დასწრება უფასოა. დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58. ადგილები შეზღუდულია.

მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების და მათი წარმომადგენლობების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას **ლიზინგის** სფეროში, რომლის ფარგლებშიც ხდება **საქართველოში არსებული მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობების მონაცემთა ბაზის შედგენა**.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ლიზინგის კომპონენტი მუშაობს **ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე და რეკომენდაციებს უწევს სალიზინგო კომპანიებსა და მათ კლიენტებს მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენასთან დაკავშირებით**.

ამ მიზნით მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიის შესახებ (კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირი). ჩვენი კოორდინატებია: მსოფლიო ბანკი, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი, 5. ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96. ფაქსი: 91 34 80. ელ ფოსტა: rjaparidze@ifc.org

სს "თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

30 სექტემბერს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:

კეკელიძის, ლარსის, უმიკაშვილის, თერგის, პეტრიაშვილის, ბარნოვის, ხორავას, ზემო ვაკის, რჩეულიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) (BP Exploration (Caspian Sea) Ltd. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- საექსპლოატაციო ცოდნის დემონსტრირება წინა სამუშაო გამოცდილებიდან და/ან სწავლებიდან
- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
- HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ, "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ადმინისტრაციისა და ბინათმოწყობის ასისტენტი

კომპანია ირა" ბი-პის მენეჯმენტის ხელმძღვანელობით აცხადებს კონკურსს ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტის ვაკანსიის დასაკავებლად.

ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტი იქნება კომპანია ბიპის კონტრაქტორი და იმუშავებს ბიპის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ითანამშრომლოს ადმინისტრაციის განყოფილების თანამშრომლებთან რათა დროულად გამოასწოროს და თავიდან აიცილოს ელექტრული, მექანიკური პრობლემები ბიპის ოფისში, ბინებსა და საწყობებში.
- უხელმძღვანელოს სარემონტო და სამშენებლო სამუშაობს, რომლებსაც ბიპი აწარმოებს ოფისში, ბინებსა და საწყობებში
- იხელმძღვანელოს დღიური ინსტრუქტაჟით და მოახსენოს ხელმძღვანელობას ყოველდღიური სამუშაო შედეგები
- ყოველდღიურად აღრიცხოს კომპანიის თანამშრომელ-დამკვეთებისგან შემოსული თხოვნები და მოახსენოს მათი შესრულების ვადები და პროგრესი ხელმძღვანელობას
- დაიცვას ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები და თვალყური ადევნოს კონტრაქტორების საქმიანობას, ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების მიზნით
- უზრუნველყოს ბიპის ოფისში, ბინასა და საწყობებში ბიპის ჯანდაცვის და უსაფრთხოების წესების დაცვა.
- აწარმოოს ზუსტი ჩანაწერები შესრულებულ და შესასრულებელ ყველა სამუშაზე
- დაიცვას ბიპის უსაფრთხოების წესები მანქანის მართვის დროს და მისდიოს ბიპის მიერ დასახულ უსაფრთხოების სტანდარტებს
- შეინახოს ყველა კომუნიკაცია კლიენტებთან და ხელმძღვანელობასთან ბიპის საინფორმაციო სისტემის საშუალებით.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- ადმინისტრაციის სფეროში საკმაო ხნის გამოცდილება
- შესაძლებლობა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს ბიპის კონტრაქტორებს, რათა დაცული იყოს კომპანიის ყველა წესი და პროცედურა
- გამოცდილება მექანიკურ, ელექტრულ და სამშენებლო სფეროში
- სასურველია უმაღლესი განათლება
- ინგლისური და რუსული ენის თავისუფალი ფლობა
- მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ადმინისტრაციის სფეროში
- პრიორიტეტი მიენიჭება ადმინისტრაციის/ბინათმოწყობის სფეროშია ნამუშევარ კანდიდატებს
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

რუსეთი გაერო-ს "ატერორებს"

უშიშროების საბჭო ტერორიზმთან ბრძოლის გამკაცრების შესახებ რეზოლუციის პროექტს განიხილავს

რუსეთის ხელისუფლების მიერ აჰმედ ზაკაევისა და სხვა ძებნილი ჩეჩნების დევნა, ამჯერად, გაეროს უშიშროების საბჭოში "გაიჭედა". მოსკოვი ამ ინსტანციისგან ახალი რეზოლუციის მიღებას მოითხოვს, რომელიც ტერორისტებთან კავშირში მყოფ პირთა დევნას ეხება. რუსეთის გარდა, აღნიშნულ პროექტს ცალსახად მხოლოდ ჩინეთი უჭერს მხარს.

სერგეი ლავროვი ახალი რეზოლუციის მიღებას მოითხოვს, რომელიც ტერორისტებთან კავშირში მყოფ პირთა დევნას ეხება.

რუსეთის დელეგაციამ უშიშროების საბჭოს წევრებს "საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების შესახებ" რეზოლუციის პროექტი გააცნო. ეს სწორედ ის რეზოლუციაა, რომლის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, გასულ კვირას ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შეგახსენებთ, გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას სერგეი ლავროვმა ორგანიზაციას ახალი რეზოლუციის მიღებისაკენ მოუწოდა, რომლის თანახმადაც ტერორისტთა მფარველ ყველა ქვეყანას სანქციები დაემუქრება. მიუხედავად იმისა, რომ ლავროვმა პირდაპირ არ დაასახელა ასეთ ქვეყანათა შორის დიდი ბრიტანეთი და დანია (სადაც აჰმედ ზაკაევი აფარებდა თავს), ან ყატარი (სადაც სიკვდილამდე იმყოფებოდა იჩკერიის ყოფილი პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი), გაეროში შეკრებილი პოლიტიკოსებისთვის ნათელი იყო, რომ რუსეთის პირველი დიპლომატი ამ ქვეყნებსაც გულისხმობდა.

გუშინ ლავროვის ამ ნოვაციამ დოკუმენტის სახე მიიღო, რომლის ტექსტსაც ანალიტიკური სააგენტო "გაზეტა.რუ" აქვეყნებს. დოკუმენტი ძირითად ნაწილში სამ მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს. პირველი, - რუსეთი, როგორც ლავროვი გასულ კვირას აცხადებდა, წინადადებით მიმართავს უშიშროების საბჭოს, რათა გაეროს ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტს დაევალოს "ტერორისტული საქმიანობით დაკავებული ან მასთან კავშირის მქონე პირთა, პირთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების ახალი სიის" შემუშავება.

აქვე საუბარია კიდევ ერთ ინიციატივაზე - უშიშროების საბჭომ შეისწავლოს ამ სიაში მოხვედრილთა წინააღმდეგ შემდეგი სანქციების გამოყენების შესაძლებლობა: ანგარიშების გაყინვა, იარაღით ვაჭრობის აკრძალვა და რაც ყველაზე მთავარია - ადგილსამყოფელის დადგენის შემთხვევაში "დაუყოვნებელი ექსტრადიცია". სანქციების ჩამონათვალში უკანასკნელი ყველაზე დიდ მნიშვნელობას იძენს, ხოლო ტერმინი "დაუყოვნებელი" აშკარა ქვეტექსტს გულისხმობს. მის ქვეშ, სავარაუდოდ, შეიძლება ვიგულისხმოთ გაეროს წევრ სახელმწიფოთა მიმართ მოთხოვნა, რათა მეორე ქვეყანას ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები პირველივე მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი სასამართლო გარჩევის გარეშე, ან გამარტივებული განხილვის შედეგად გადასცენ. ეს პირობა რუსეთისთვის პრინციპული მნიშვნელობისაა, რადგანაც რუსეთის პროკურატურა ქრონიკულად ვერ ახერხებს ამ თუ იმ პირის დანაშაულის დამტკიცებას საზღვარგარეთის სასამართლოებში. მაგალითად, მასხადოვის ემისრების ზაკაევისა და ახმადოვის საქმეების განხილვისას ბრიტანეთისა და აშშ-ს სასამართლოებმა დასაბუთებულად არ მიიჩნიეს რუსეთის ბრალდებები და ორივე ჩეჩენს პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

და ბოლოს, რეზოლუციის პროექტში რუსეთს ტერმინ "ტერორიზმის" ახალი განსაზღვრებაც შემოაქვს (აღსანიშნავია, რომ გაეროს დოკუმენტებში ამ ტერმინის ზუსტი განსაზღვრება სახელმწიფოთა შორის შეუთანხმებლობის გამო არ არსებობს). მოსკოვის აზრით, ტერორიზმია "სამოქალაქო მოსახლეობის დახოცვის ან მძიმე ხასიათის დაზიანებისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება, ან მძევლების აყვანა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას, ან სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციის) იძულებას რაიმე ქმედებისკენ ან ამგვარ ქმედებაზე თავშეკავებისაგან."

უშიშროების საბჭოს წევრებს რუსულ პროექტში თითქმის არაფერი მოეწონათ. "დაუყოვნებელი ექსტრადიციისა" და ტერორისტთა ახალი სიის ხსენებას კი რუსეთის გარდა მხოლოდ ჩინეთი უჭერს მხარს.

წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთს ძალიან გაუჭირდება აღნიშნული პროექტის რეზოლუციად ქცევა. გამოკითხვები ადასტურებს, რომ თითქმის ყველას არარეალურად ეჩვენება ტერორისტთა ახალი სიების შედგენა. ალჟირის წარმომადგენელი გაეროში აბდალა ბაალი იმისაც ამბობს, რომ "(ტერორისტთა) სიის გავრცობა, იგივეა რაც პანდორას ყუთის გახსნა. ყველა, ვინც მოისურვებს, ამ სიაში თავის მტრებს დაამატებს".

იგივე მიზეზით, უშიშროების საბჭოს წევრები ეჭვქვეშ აყენებენ რუსეთის მიერ გაკეთებული "ტერორიზმის" განმარტებას. დღემდე ამ ტერმინის დეფინიცია გაეროს დოკუმენტებში იმის გამო არ არის მოცემული, რომ სხვადასხვა ქვეყანა ყოველთვის ცდილობდა, მისთვის სხვადასხვა მნიშვნელობა მიენიჭებინა: ის, რაც ერთი ქვეყნისთვის ტერორიზმს წარმოადგენს, სხვებისთვის, შესაძლოა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იგივდებოდეს.

რასაკვირველია, ყველაზე დიდი წინააღმდეგობა რუსულ პროექტში დაფიქსირებული "დაუყოვნებელი ექსტრადიციის" მოთხოვნას შეხვდება. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ჯერჯერობით არავის გაუკეთებია, მაგრამ, მანამდე დასავლელმა პოლიტიკოსებმა არაერთხელ აგრძნობინეს რუსეთს (ბოლოს ამგვარი განცხადება ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ გააკეთა), რომ არ დათანხმდებიან ასეთ მოთხოვნაზე, თუ ექსტრადირებულ პირს სამშობლოში სიკვდილით დასჯა ან არასამართლებრივი დევნა ემუქრება. სხვათა შორის, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ლონდონმა აჰმედ ზაკაევის გადაცემაზე სწორედ ამ საბაბით თქვა უარი.

გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის მიერ წარდგენილი პროექტის განხილვა დღეს დაიწყება. საბჭოს მუდმივი წევრებიდან თავის პოზიცია ჯერჯერობით მხოლოდ ჩინეთმა დააფიქსირა, რომლის წარმომადგენელიც გუშინ აცხადებდა, რომ ჩინეთი პროექტში ყველა პუნქტს ეთანხმება. სხვები, ჯერჯერობით, თავს იკავებენ განცხდებებისაგან. თუმცა, გაეროში რუსეთის წარმომადგენელი, ალექსანდრ დენისოვი იმედოვნებს, რომ რეზოლუციას მიმდინარე კვირის ბოლომდე უყრიან კენჭს.

24 საათი

რუსი დემოკრატები "თოფიანი რუსეთის" გადასარჩენად ირაზმებიან

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

"ქვეყანა ანტიკონსტიტუციური გადატრიალების ზღვარზეა. სიტუაციის დრამატიზმს აღრმავებს ის, რომ გადატრიალებას თავად კონსტიტუციის გარანტი ამზადებს". ასეთი განცხადება გაავრცელა მოსკოვში რუსეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "არჩევნების უფლებისათვის".

ორგანიზაციის წევრები ცნობილი რუსი სამართალდამცავები და დემოკრატები არიან. მათ შორისაა რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის ყოფილი პოლიტიკური მრჩეველი, ფონდ "ინდემის" პრეზიდენტი, პოლიტოლოგი გიორგი სატაროვი. სატაროვის აზრით, პუტინის მიერ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში გუბერნატორთა პირდპირი დანიშვნები ფედერალიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგება, ხოლო სახელმწიფო დუმაში პარტიული სიებით არჩევნები სათათბიროში წარმომადგენლობითობის იდეას ანადგურებს. ამგვარად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას არჩევნების შედეგებზე ტოტალური კონტროლის დაწესების უფლება ეძლევა. რუსი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ "პუტინის რეფორმებით პოლიტიკურ კონკურენციაში კრემლის უკანონო ადმინისტრაციული ჩარევა გაძლიერდება".

გიორგი სატაროვის თქმით, **"ბესლანის ტრაგიკული მოვლენები მმართველმა ბიუროკრატიამ ანტიკონსტიტუციური გეგმების შესასრულებლად გამოიყენა, რაც ტერორიზმს ვერ შეაჩერებს. ტერაქტების სერია რუსი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებზე მიტანილ იერიშად იქცა, ამიტომ ეჭვიც არ გვეპარება, რომ რუსეთის ახალი "პერესტროიკის" მიზანი კრემლის ნომენკლატურას შორის საკუთრების გადანაწილებაა, პარტიული ნომენკლატურის მქონე ანტიხალხური ტოტალიტარული სახელმწიფოსაგან ოლიგარქიული ნომენკლატურის მქონე სახელმწიფოს შექმნაა."**

პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მოლოდინში რუსეთის დემოკრატიული ძალები მთელი რიგი ინიციატივებით გამოდიან. რუსი მეწარმეების, სამართალდამცავი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ერთობლივ მიმართვაში, რომელიც ზემოხსენებულმა კოალიციამ გამოაქვეყნა, საუბარია უახლოეს მომავალში მოსკოვში სრულიად რუსეთის სამოქალაქო კონგრესის მოწვევის აუცილებლობაზე. თუ კრემლი რუს დემოკრატებს ასეთი ღონისძიების ჩატარების უფლებას მისცემს, მის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები დადგება: ტერორიზმთან ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება, რუსეთის ხელისუფლების განახლება, ხელისუფლებასა და არჩევნებზე კოტროლის დაწესება.

"24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში გიორგი სატაროვი ამბობს: **"რა გველოდება ხვალ? ვიჯდეთ და ველოდოთ, როდის დასრულდება მოცემული ისტორიული ეპოქა ბუნებრივი წესით? მეცოდება რუსეთი, რომელიც დღეს პირადი კომპლექსებისა და ერთი კაცის შიშების ობიექტია. ჩვენი ცხოვრების გამგებლებად იქცნენ მილიციონერები, უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები, დაპირებისამებრ, წითელსამკლაურიანი სახალხო დრუჟინნიკებიც, ერთ სიტყვით, "თოფიანი კაცები". ხვალ იქნება ახალი არაადამიანური რეფორმები, საშინელი ტერორისტული აქტები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კრემლი მოძებნის ახალ მტრებს, ვინც ცხოვრებას გვიშლიან, ამიტომ მათ უნდა ვეომოთ".**

კოალიციის ცნობილი მიმართვის შემდეგ პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა კანონს რუსეთში სამართალდამცავი ორგანიზაციების დამატებით დაფინანსებაზე და პირადად გამოვიდა მოსკოვში საერთაშორისო სამართალდამცავი ცენტრის შექნის ინიციატივით. რუსეთის სამოქალაქო თავისუფლების ფონდის წევრთა აზრით, პრეზიდენტმა ხალხს თვალში ნაცარი შეაყარა. "პრეზიდენტს რომ მართლა სურდეს, ადამიანების უფლებების დარღვევას ბოლო მოუღოს, წმენდას საკუთარი ადმინისტრაციიდან, სამხედროებიდან და ძალოვანი სტრუქტურებიდან, ჩეჩნეთიდან და მილიციიდან დაიწყებდა," - განაცხადა "ეხო მოსკვის" ღია ეთერში ფონდის მეთაურმა ალექსანდრ პოდრაბინეკმა. რუსი სამართალდამცავები ჩვენს ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც მიაპყრობენ, რომ კრემლის თავისებური ნოვაცია რუსეთში სამართალდამცავი ცენტრის შექმნაზე რუსეთში ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისრის ალვარო ჰილ-რობლესის ვიზიტისთვის არის ჩაფიქრებული.

ერაყიდან ჯარების გაყვანაზე ვაშინგტონში უკვე ღიად საუბრობენ

"PUL OUT" - ეს ნიშნავს ჯარების სრულად გამოყვანას, რის შესახებაც პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციაში დახურულ კარს მიღმა საუბრობენ.

როგორც ბევრი უცხოელი ექსპერტი მიიჩნევს, ერაყელ აჯანყებულებს ომის მოგება არ შეუძლიათ, მაგრამ ბრძოლა მათ უკვე მოიგეს. ვაშინგტონში გამოთქმა "pul out", რაც უკან დახევას, გამოსვლას ნიშნავს, ტაბუს აღარ წარმოადგენს.

რაღა თქმა უნდა, 2 ნოემბრამდე ეს სიტყვები ჯორჯ ბუშის მიერ არ წარმოითქმება. თუმცა, ამის თაობაზე ჯერჯერობით არც ჯონ კერი საუბრობს. მოქმედი პრეზიდენტი აცხადებს, რომ არმია ბაღდადში იმაზე მეტ ხანს არ დარჩება, ვიდრე საჭიროა. დემოკრატი კანდიდატი კი უფრო შორს მიდის: მისი გეგმის თანახმად, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგება (საერთაშორისო დახმარება, ერაყული არმიის შექმნა და ა.შ.), ერაყიდან პირველი ამერიკული ქვედანაყოფების გამოყვანა მომავალი წლის ზაფხულისათვის იქნება შესაძლებელი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამოთქმამ "pul out" უკვე სხვა მნიშვნელობა შეიძინა. ეს ნიშნავს ჯარების სრულად გამოყვანას, რის შესახებაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დახურულ კარს მიღმა საუბრობენ. ანუ, კოალიციის მონაწილეებმა თავიანთ თავზე პასუხიმგებლობა უნდა აიღონ, რომ ერაყის ოკუპაციას საბოლოოდ დაესვას წერტილი და შესაბამისი გრაფიკი შემუშავდეს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ ბარნიე ამის შესახებ ღიად საუბრობს. იგი ერაყიდან კოალიციური ჯარების გამოყვანას ჟაკ შირაკის მიერ "ამერიკული ომის" მიმართ თავისი შეურიგებელი პოზიციის შერბილების წინაპირობად განიხილავს. ამ დღეებში კოლინ პაუელი ერაყის საკითხთან დაკავშირებით ამანში ან კაიროში საერთაშორისო კონფერენციის გამართვის თაობაზე წინადადებით გამოვიდა. სახელმწიფო მდივნის თქმით, აღნიშნული კონფერენცია უახლოეს მომავალში, ანუ სულ რამდენიმე კვირაში უნდა გაიმართოს. რაც შეეხება ფრანგულ მხარეს, ბარნიეს განცხადებით, ფრანგი დიპლომატები კონფერენციაში მონაწილეობას იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ დღის წესრიგში ერაყიდან ჯარების გამოყვანის საკითხიც დადგება. როგორც ფრანგი მინისტრი ამბობს, "ეს ქაოსისაგან თავის დაღწევის, იმ "შავი ხვრელიდან" გამოსვლის ერთადერთი გზაა, რომელშიც ერაყი სულ უფრო ღრმად ეფლობა".

კოლინ პაუელისა და ერაყის პრემიერ-მინისტრის აიად ალავის იდეა ის არის, რომ მოლაპარაკებათა მრგვალ მაგიდასთან ერაყის ყველა მეზობელი (ირანისა და სირიის ჩათვლით) და დიდი რვიანის ლიდერები შეიკრიბონ. შეერთებული შტატები ერაყის საზღვრის კონტროლთან დაკავშირებით დამასკოში დისკუსიებს უკვე აწარმოებს.

საეჭვოა, რომ პარიზის ქედმაღლურმა რეაქციამ ვაშინგტონში აღტაცება გამოიწვიოს, მაგრამ, როგორც ზოგიერთი დასავლელი ექსპერტი მიიჩნევს, წყენების დრო უკვე გავიდა. აღნიშნული საკითხის მიმართ აშშ-ს ფსონი საკმაოდ დიდია და ხელისუფლებაში მყოფ კონსერვატორებს ეს კარგად ესმით.

იგივე შეიძლება ითქვას რებორტ ნოვაკზეც, რომელიც ვაშინგტონში ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული კონსერვატორი ჟურნალისტი გახლავთ. იმავდროულად, ნოვაკი იმ რესპუბლიკელთა რიგებს განეკუთვნება, რომლებიც ომის დაწყების წინ ამ ავანტიურის მიმართ საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი. თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში კონსერვატორებმა თავიანთი უთანხმოებების დავიწყება გადაწყვიტეს, რათა ბუშის წინასაარჩევნო კამპანიას ზიანი არ მიდგომოდა.

ნოვაკი ირწმუნება, რომ მომავალ წელს ერაყიდან ჯარების გამოყვანის აუცილებლობა თეთრი სახლის ბევრ წარმომადგენელს კარგად ესმის. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ნოვაკის ეს განცხადება, იმ დროს, როდესაც ჯონ კერი პირველი ამერიკული ნაწილების სამშობლოში დაბრუნებას უკვე მომდევნო ათი თვის განმავლობაში გეგმავს, გარკვეული პოლიტიკური შეკვეთა იყოს.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც არც თანამდებობრივი ვალდებულებებით და არც წინასაარჩევნო მოსაზრებებიდან გამომდინარე არის შეზღუდული, ჯარების გაყვანაზე უფრო ღიად და დაუფარავად საუბრობენ. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამხედრო ექსპერტი მაიკლ ო'ჰელონი აცხადებს, რომ "აშშ-სთვის ამ გამოუვალი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია - დანიშნოს ერაყიდან ჯარების გაყვანის თარიღი, მაგრამ ერაყში სამხედრო კონტინგენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვოს, თუ ამას ახალი მთავრობა დაჟინებით მოითხოვს".

24 საათი

ერაყელი გამტაცებლები ელექტრონულ ჩიპებს უფრთხიან

გუშინ იტალიურ გაზეთში "CORRIERE DELLA SERA" გამოქვეყნდა სტატია სათაურით "ფრთხილად, მათ ტანსაცმელში, შესაძლოა, მიკროსქემა იყოს", რომელიც რამდენიმე დღის წინ ინტერნეტგვერდების საშუალებით ისლამისტების მიერ გამოქვეყნებულ მიმართვას ეხება.

კარგად გაჩხრიკეთ მძევლები და სასწრაფოდ მოიშორეთ თავიდან მათი ტანისამოსი, რადგან მათში, შესაძლოა, ელექტრონული მიკროსქემები იყოს დამონტაჟებული, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მოულოდნელად გაგშიფრონ - ასეთია გამტაცებელთა წესები, რომლებიც მოცემულია გაფრთხილებაში სათაურით "ძალიან, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი მებრძოლებისთვის". აღნიშნული გაფრთხილება ორი დღის წინ ერაყის "სახალხო ბრძოლისთვის მოძრაობამ" გაავრცელა ერთდროულად სამი ინტერნეტგვერდის მეშვეობით: alqalah.com, islah.net, alezah.com. გზავნილში მითითებულია, რომ "ამერიკელებმა დაურიგეს ელექტრონული ჩიპები უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც აშშ-ს ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობენ და იმ პირებს, რომლებიც ერაყში სხვადასხვა ობიექტზე სამუშაოდ არიან ჩასულნი". გავრცელებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ "ეს ელექტრონული ჩიპები ადამიანის სხეულის სითბოზე მუშაობს და სიგნალს აშშ-ს თანამგზავრს გადასცემს, რათა ხელი შეუშალოს უცხოელების გატაცების ოპერაციის განხორციელებას".

ელექტრონული ჩიპების ამბავი ახალი არაა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამერიკელებმა სამი იტალიელი და ერთი პოლონელი მძევალი გაათავისუფლეს, გავრცელდა ხმები, თითქოს პოლონელს გადამცემი მოწყობილობა ჰქონდა თან. ლიბანში მძევლებთან დაკავშირებული კრიზისის დროს შუამავალი ტერი უაითი ტყვედ აიყვანეს შიიტ ექსტრემისტებთან ურთიერთობის დროს. ერთი ლიბანური გაზეთი წერდა კიდეც, რომ უაითს ელექტრონული მოწყობილობა ჰქონდა თან, რომელსაც გამტაცებლების კვალზე უნდა დაეყენებინა აშშ-ს სპეცქვედანაყოფი.

ბასკური სეპარატისტული დაჯგუფება კვლავ გამოჩნდა ავანსცენაზე

ბასკური სეპარატისტული დაჯგუფება "ეტა" მორატორიუმს წყვეტს. ორშაბათს კვლავ განაცხადეს, რომ აგრძელებენ ესპანეთისგან დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. "ბი-ბი-სი"-სთვის გაგზავნილ ვიდეოკასეტაში სეპარატისტები აცხადებენ, რომ კონფლიქტი დასრულდება მაშინ, როცა ბასკებს თავად შეეძლებათ საკუთარი პოლიტიკური მომავლის განსაზღვრა, ხოლო ქვეყნისთვის თავისუფლების მოპოვება ერთადერთი საშუალებით, შეიარაღებული დაპირისპირებით შეიძლება. მიმართვის დღედ ორშაბათი შემთხვევით არ აურჩევიათ, ამ დღეს ბასკები მებრძოლის დღეს აღნიშნავდნენ.

11 მარტს მადრიდში განხორციელებულ ტერაქტზე პასუხისმგებლობა ესპანეთის ხელისუფლებამ ეტა-ს დააკისრა, თუმცა მოგვიანებით სახელისუფლებო ორგანოებმა პოზიცია შეცვალეს და განახცადეს, რომ ეს ისლამისტ ექსტრემისტთა ნამოქმედარი იყო. აღნიშნული ტერაქტის შემდეგ ესპანურმა და ფრანგულმა პოლიციამ გააორმაგა ძალისხმევა და დაჯგუფების რამდენიმე პირი აიყვანეს კიდეც. მით უფრო, რომ წელს ზაფხულში ბასკმა ექსტრემისტებმა ესპანეთის რამდენიმე კურორტზე მცირემასშტაბიანი თავდასხმა განახორციელეს.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ხოსე ლუის საპატეროს განცხადებით, ბასკთა სეპარატისტული ორგანიზაციის ამჟამინდელი შესუსტების მიუხედავად, იგი კვლავ რჩება საშიშად, სწორედ ამიტომ ხელისუფლება ისევ გააგრძელებს მის დევნას ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში.

ბი-ბი-სი

დახმარება ექსცესების თანხლებით

ზვიად რუაძე,
ეთერ მამულაშვილი

ეკონომიკურად გაჭირვებულ საქართველოს დახმარების ხელი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქვეყანამ გაუწოდა. მაგალითად, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ უკიდურესად გაჭირვებულ 6000 ოჯახს, თითოეულს ასი ლარი დაუწესა. ამ პროექტში კახეთიც მოექცა. სიის შედგენა და თანხის განაწილება, ძირითადად, სოფლის საკრებულოებს დაექვემდებარა, მათზე კონტროლი კი სოციალური დაზღვევის რაიონულ განყოფილებებს დაევალათ.

გურჯაანის რაიონში შვეიცარიელების მიერ გაღებული მოწყალება ოფიციალური დოკუმენტებით რვაასმა ადამიანმა მიიღო. განაწილებას ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ზოგიერთნი, რომლებიც საკრებულოებმა თავდაპირველად სიაში ჩაწერეს, მოგვიანებით უწყისში აღარ აღმოჩნდნენ.

დალი ბეგაშვილი, უკვე რამდენიმე წელია, რაც გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. შვეიცარიელების მიერ გაღებული მოწყალებით, ოჯახს იმედი მიეცა, რომ დიასახლისი ჯანმრთელობას ნაწილობრივ მაინც გაიუმჯობესებდა. ამ საკითხში ბეგაშვილებს დახმარება სოცდაზღვევის გურჯაანის განყოფილების უფროსმა ჯულიეტა მენთეშაშვილმაც აღუთქვა, მაგრამ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

"ჩემი თვალით ვნახე, როგორ ეწერა შვეიცარიელებისთვის გადასაგზავნ თავდაპირველ სიაში ჩემი დისშვილი - გელა ბახუტაშვილი, მაგრამ, როცა თანხის განაწილების დროს საკრებულოში მივედით, იგი სიაში აღარ აღმოჩნდა", - გვითხრა დალი ბეგაშვილის დამ, ქალბატონმა ლენამ. ამის შემდეგ ლენა ბეგაშვილი და მისი დისშვილი საქმის გასარკვევად სოფელ გურჯაანის საკრებულოში სოფლის თავკაცს, ყოფილ "ამღორძინებელს", შოთა ქიტიაშვილს ეწვივნენ. გამგებელმა კი ამ ყველაფერში ბრალი სოცდაზღვევის ხელმძღვანელს დასდო. ბეგაშვილების მსგავსად, სიტუაციაში გარკვევას თანასოფლელების უმრავლესობაც მოითხოვდა, რადგან სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელს დახმარების სიებში საკუთარი ძმა და თანამშრომლის ახლობლები ჰყავდა ჩაწერილი. მომჩივან მოსახლეობას შოთა ქიტიაშვილი ასეთი პასუხით ისტუმრებდა, - მე რა შუაში ვარ, სიები შვეიცარიელებმა შეადგინესო.

ანალოგიური პრობლემები კარდენახელებსაც შეექმნათ. ამ სოფელში მოვლენები იქამდე გამწვავდა, რომ უკმაყოფილო მოსახლეობა სოცდაზღვევის უფროსს მიუცვივდა და კარების აჭედვით დაემუქრა. ამის გამო, რაიონის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დახმარება გურჯაანში განაწილებულიყო, სოფლის საკრებულოს ფუნქცია "სახალხო ბანკმა" იკისრა; ვაზისუბანში კი შვეიცარიელების მოწყალება იმ მამაკაცებზე გაიცა, რომლებიც ცოლებს გასცილდნენ და ოჯახის დიასახლისის ფუნქცია თავად იკისრეს. აღნიშნულის თაობაზე თვით სოფლის საკრებულოს ახლანდელმა თავმჯდომარემ ნოდარ ონაშვილმა გვითხრა. ვაზისუბნელ 55 წლის ლეილა ბროლაშვილს, უკვე რამდენიმე წელია, რაც მეუღლე აღარ ჰყავს და, შვეიცარიელების მიერ ჩამოყალიბებული კატეგორიის მიხედვით, დახმარება მასაც ეკუთვნოდა, მაგრამ მას ამ თანხის აღება, როგორც თავად ამბობს, სისხლის ფასად დაუჯდა: **"მოგეხსენებათ, მარტოხელა დედისთვის ერთი თეთრიც ფულია. შვეიცარიელების დახმარებამ კი უზომოდ გამახარა, იმედი მომეცა. შემდეგ მოხდა ის, რასაც არ ველოდი. ჩემთან მოვიდა სოცდაზღვევის წარმომადგენელი ლაზარიაშვილი და მითხრა, რომ ამ ასი ლარიდან 30 ლარი იქვე უნდა დავტოვო, რადგან სოფელში კიდევ ბევრია ჩემნაირი გაჭირვებული ოჯახი. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია, მაგრამ შემდგომ გავიგე, რომ რასაც ლაზარიაშვილი მთავაზობდა, აბსურდი აღმოჩნდა. ამის შემდეგ მისი თხოვნა არაფრად ჩავაგდე და ჩემთვის განკუთვნილი 100 ლარი სრულად ავიღე"**.

სიების შედგენას და დახმარების განაწილებას თვალყურს "ნაციონალური მოძრაობის" სოფლის აქტივისტებიც ადევნებდნენ. **"თავდაპირველად, როცა საკრებულოში სიები გამოაკრეს, ჩემი თვალით ვნახე, უკიდურესად გაჭირვებული - ვასილ ბერიაშვილის ოჯახიც რომ ეწერა, მაგრამ აღმოჩნდა ისე, რომ მას, ასი ლარის ნაცვლად, ათი მისცეს; თან გააფრთხილეს, - არსად თქვაო"**, - ამბობს "ნაციონალი" ლეილა ონაშვილი.

ამ ბრალდებებს სოფლის საკრებულოში კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ ბერიაშვილების ოჯახს ათი ლარის დახმარება, სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის ადგილობრივი საკრებულოებისთვის გამოყოფილი ტრანსფერიდან მიეცა.

დახმარების განაწილების დროს არანაკლები აყალმაყალი იყო სოფელ ჩუმლაყშიც. თანხის განაწილებისას უმრავლესობას 20-30 ლარს უკავებდნენ, მიზეზად კი დახმარების განაწილების ბოლოს შვეიცარიელების გამასპინძლებას ასახელებდნენ. საბოლოოდ ამ ფაქტს ზოგიერთის თანამდებობა შეეწირა.

მომხდართან დაკავშირებით სოცდაზღვევის ხელმძღვანელმა გურჯაანში ჯულიეტა მენთეშაშვილმა განაცხადა, რომ დახმარების განაწილების თაობაზე შეთანხმება სოფლის საკრებულოებსა და შვეიცარიელებს შორის მოხდა. გურჯაანელები კი ხელს სწორედ მენთეშაშვილისკენ იშვერენ და ამბობენ, - საკრებულოები, როცა თანხას გვიკავებდნენ, ასე ამბობდნენ, -ბრძანება მენთეშაშვილისგან გვაქვსო.

უნდა შეგახსენოთ, რომ პროექტი საქართველოს ორ რეგიონში მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში განხორციელდა, რომელიც მიზნად არსებული სოციალური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას ისახავდა. დახმარება კი მხოლოდ მრავალსულიან ოჯახებზე (სადაც 4 ან 6 არასრულწლოვანია) უნდა განაწილებულიყო; აგრეთვე, პენსიის ასაკს მიახლოებულ ადამიანებზე; მარტოხელა დედებზე, რომლებიც არ იღებენ არანაირ სოციალურ დახმარებას; ოჯახებზე რომლებიც პატრონობდნენ შრომის უნარმოკლებულ ადამიანებს ან ობლებს, რომლებიც არ იღებდნენ დახმარებას.

დასახელებულ კატეგორიებს დამატებით შეზღუდვებიც ერთვოდა, რაც, უშუალოდ, სოფლის გამგეებლებს გადაეცათ.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით "24 საათი" შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობას დაუკავშირდა. **"ჩვენი ორგანიზაცია კონკრეტულ დარღვევებზე პასუხისმგელი ვერ გახდება. ჩვენ მხოლოდ შემსრულებლები ვართ, თუმცა მონიტორინგი და კონტროლი ჩვენს კომპეტენციაში შედის, რასაც, თითქმის, ყოველდღიურად ვაკეთებთ. მინდა, გითხრათ, რომ ჩვენ ასეთი სერიოზული დარღვევების შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ"**, - აღნიშნა ქეთი ლომსაძემ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს საქართველოს წარმომადგენელმა.

ჰიპერმარკეტი სუპერმარკეტი არ გეგონოთ

ნანა ქადაგიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ამ ცენტრში 200-მდე ადამიანი დასაქმდება და პროდუქცია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება".

გუშინ გლდანის მესამე და მეოთხე მიკრორაიონებს შორის თბილისელთათვის ჯერ კიდევ უჩვეულო დასახელების სავაჭრო ცენტრი გაიხსნა - ჰიპერმარკეტი "გლდანი". ეს სუპერმარკეტი ვიცით, მაგრამ ჰიპერმარკეტი რაღაა, ვერ გავიგეთო, - ხუმრობდნენ გლდანელები. როგორც ამ საქმეში ჩახედულებმა განგვიმარტეს, ჰიპერმარკეტი მოცულობით დიდი და გასაყიდი პროდუქციის მრავალფეროვნებით გამორჩეული სავაჭრო ცენტრია, სადაც საამქროები და საცხობებიც კი არის განთავსებული და ადგილზე წარმოებული პროდუქციითაც ვაჭრობენ.

მოკლედ, ასე თუ ისე, ამ ჰიპერმარკეტის გასხნა თბილისისთვის იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა, რომ მის პრეზენტაციას ქალაქის მთავრობა, მერიიან-საქალაქო სამსახურების უფროსებიანად დაესწრო. ულტრათანამედროვე სავაჭრო ცენტრის დათვალიერებისას თბილისის მერმა მომხმარებლებისა და უმუშევარი თანამოქალაქეებისთვის საინტერესო დეტალებზეც გაამახვილა ყურადღება. **"ამ ცენტრში 200-მდე ადამიანი დასაქმდება და პროდუქცია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება"**, - აღნიშნა ჭიაბერაშვილმა. ჰიპერმარკეტის ფასები "დეზერტირების ბაზრის" ფასებს აღემატება. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი ჰიპერმარკეტის სუფთა, კეთიმოწყობილ პავილიონებთან სად მოვა. "გლდანის" დამფუძნებელი დავით კოჭლამაზაშვილი პროდუქციის ხარისხზეც თავს დებს. **"სავაჭრო ცენტრში მაკარონისა და ძეხვის მინიქარხნები და პურის საცხობი ფუნქციონირებს. ეს კი მეტ შანსს გვაძლევს, რომ ხარისხიანი პროდუქციით ვივაჭროთ"**, - აცხადებს ჰიპერმარკეტის ხელმძღვანელი.

როგორც არაოფიციალურად ამბობენ, ამ ულტრათანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრს კოჭლამაზაშვილზე უფრო ცნობილი გვარის მესაკუთრეები ჰყავს - მიხეილ მაჭავარიანი და ირაკლი შიხიაშვილი. **"მთავარია, არაფერი გააფუჭონ, თორემ თუ კარგ რამეს გააკეთებენ, ვისიც უნდა იყოს - გინდ კოჭლამაზაშვილისა და გინდ მაჭავარიანისა. თანაც, ამბობენ, აქ ვაჭრობა ძვირი არ იქნებაო"**, - ამბობენ გლდანელები.

ჰიპერმარკეტის გახსნას გლდანელებისთვის ერთი სიკეთეც მოჰყვა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობამ სავაჭრო ცენტრის მიდამოები დაასუფთავა, მწვანე გაზონები მოაწესრიგა, გარეგანათებაც აღადგინა და მოსახლეობას შადრევნის ამოქმედებასაც შეჰპირდა.

ერთი დრამატული ფურცელი მოზარდების ბიოგრაფიაში

გუშინ ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებას იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და განათლების მინისტრი კახა ლომაია სტუმრობდნენ. მათ, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, მოზარდებს სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები დაურიგეს. ავჭალაში ამჟამად 33 მოზარდი იხდის სასჯელს; უმეტესობას შეწყალების დიდი იმედი აქვს. პირველ ეტაპზე 20 განცხადებიდან პრეზიდენტმა სამის მიმართვა უკვე განიხილა, მეორე ეტაპი ჯერ არ დასრულებულა.

თამარ დვალი

თბილისის 39-ე საღამოს საშუალო სკოლაში 33 მოსწავლე სწავლობს. სხვა სკოლებისაგან განსხვავებით, ეს დაწესებულება ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაშია განთავსებული და მხოლოდ მაღალ კლასებს მოიცავს. 33 ბავშვიდან სამი მკვლელობისთვის იხდის სასჯელს, დანარჩენები კი წვრილმანი ქურდობისთვის არიან დაჭერილები. აქაურებს ქურდობის თავისებური განმარტება აქვთ. როდესაც ჰკითხავ, - თუ რისთვის მოხვდა ამ დაწესებულებაში, გპასუხობენ, რომ მათ "არაფერი მოუპარავთ, უბრალოდ, რაღაც დაუკითხავად აიღეს".

16 წლის მალხაზი ბინის ქურდობისთვის იხდის სასჯელს და 2008 წელს გათავისუფლდება. როგორც თავად ამბობს, ეს საქციელი ამხანაგებთან ერთად დაუფიქრებლად ჩაიდინა. დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ამას აღარ გაიმეორებდა, თუმცა არც ახლაა გვიან და როდესაც გამოვა, უნდა, რომ სხვა გზას დაადგეს. "ერთ გართობად ნამდვილად არ ღირს აქ ჯდომა. როცა გამოვალ, ფეხბურთზე სიარულს დავიწყებ. მინდა, კარგი ფეხბურთელი გამოვიდე", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მალხაზმა.

თითო კლასში ექვსი-შვიდი მოსწავლეა. საკლასო ოთახები საუკეთესოდ არის მოწყობილი. გასულ წელს ამ სკოლის მოსწავლეთაგან ოთხი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა. განათლების მინისტრი კახა ლომაია მოზარდებს დაჰპირდა, რომ მისაღებ გამოცდებზე მათი შეფასება მხოლოდ ცოდნის მიხედვით მოხდება და არა მათი წარსულის. **"მინდა, ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ეს დაწესებულება არ არის ჩიხი, არამედ ეს ერთი დრამატული ფურცელია მათ ბიოგრაფიაში. მათი ცოდნა ზუსტად ისეთივე ობიექტური კრიტერიუმებით იქნება შეფასებული, როგორც სხვების. არავითარი ჩაწყობა, არავითარი ფული არ დასჭირდებათ უმაღლესში მოსაწყობად,** - განაცხადა საკლასო ოთახების დათვალიერებისას განათლების მინისტრმა.

ახალ მთავრობას, შეწყალების მოთხოვნით, 20-მა ბავშვმა მიმართა. აქედან მხოლოდ სამის განცხადება განიხილეს. ბავშვებს პრეზიდენტის შეწყალების დიდი იმედი აქვთ. კოლონიაში სხვადასხვა დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს. აქ ისეთ ბავშვსაც შეხვდებით, რომელმაც ჯართის შეგროვების მიზნით მოიპარა ალუმინი.

იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი მოზარდებს დაჰპირდა, რომ წიგნებთან ერთად სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებითაც მოამარაგებს. ბავშვები ყველაზე მეტად სათამაშო ბურთს ითხოვდნენ, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, პაპუაშვილს არაერთხელ მიუტანია მათთვის. "რკინის ბურთი თუ ვიშოვე სადმე, იმას მოგიტანთ, რადგან ტყავის ბურთი, როგორც ჩანს, თქვენთან დიდხანს ვერ ძლებს", - აღნიშნა მინისტრმა.

ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკაც, სადაც 1600 დასახელების წიგნია. როგორც ბიბლიოთეკის გამგემ მზია ომანაძემ გვითხრა, მკითხველთა უმეტესობას დეტექტიური ჟანრის წიგნები აინტერესებს.

მოზარდებს სურთ, მათ ეზოში პატარა ეკლესია აიგოს. ისინი ეკლესიის მშენებლობაში თავიანთი წვლილის შეტანასაც აპირებენ და მზად არიან, ფიზიკურად იმუშაონ. მინისტრები მოზარდებს ამ საკითხის მოგვარებასაც დაჰპირდნენ.

პრესკონფერენცია დაგირავებული ეკლესიის გამო

როგორც ცნობილია, საპატრიარქომ, თავისი წარუმატებელი ბიზნესის სანაცვლოდ, ერთ-ერთ გერმანულ ბანკში სოფელ ხაშმში მდებარე ღვინის ქარხანა, ჩოლოყაშვილების მამული და მათივე საგვარეულო ეკლესია დააგირავა. პირველად ამის შესახებ საზოგადოებას ჩვენმა გაზეთმა ამცნო. შემდეგ იგივე თემით "რუსთავი 2" დაინტერესდა და საზოგადოებას უკვე ამ აქტის დამადასტურებელი დოკუმენტებიც წარუდგინა. იმავე სიუჟეტში ასეთი გარიგების არსებობა საპატრიარქოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიქაელ ბოტკოველმაც აღიარა. გუშინ ამ თემას რამდენიმე სასულიერო პირის პრესკონფერენცია მიეძღვნა.

ნინო ცინცაძე

გუშინ გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წინამძღვარმა მიქაელ ასათიანმა, მღვდელმა აკაკი ქიქავამ და ნუცუბიძის პლატოზე მშენებარე წმინდა მიქაელის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა დიმიტრი აბაიშვილმა ჟურნალისტები მიიწვიეს და მათ თავიანთი განცხადება გააცნეს. **"ის, რაც გაზეთში დაიბეჭდა და შემდეგ ტელევიზიის საშუალებითაც გამჟღავნდა, ჩვენთვის ტრაგიკული მოვლენა იყო. შეიძლება ადამიანმა ყველაფერი დააგირავოს, მაგრამ ეკლესიის დაგირავება წარმოუდგენელი ამბავია; თანაც - საპატრიარქოს მიერ. ასეთი რამ 21-ე საუკუნის დასაწყისში გავიგე პირველად. მას შემდეგ, რაც ეს პუბლიკაცია გაზეთში დაიბეჭდა, მრევლი სულ მეკითხებოდა, რაში იყო საქმე და როდესაც დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა, რომ შეცდომა იყო დაშვებული, ჩემი ეჭვი საბოლოოდ განმტკიცდა. მე არ მქონდა უფლება, განცხადება არ გამეკეთებინა. ჩემს მრევლს სიმართლე უნდა სცოდნოდა, ტყუილს ხომ არ ვიტყოდი. საპატრიარქოს ამ მოქმედებას აუცილებლად უნდა მიეხედოს, ეს საქმე ზედმიწევნით უნდა იყოს გამოძიებული"**, - თქვა ჩვენთან საუბრისას გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა მიქაელ ასათიანმა. **"უწმინდესი ამბობს, რომ ეკლესია ქვეყნად არსებული პატარა სამოთხეა და შემდეგ უცებ იგებდე, რომ ის დააგირავეს, შოკის მომგვრელია"**, - ასე გამოხატავდნენ თავიანთ აღშფოთებას სხვა სასულიერო პირები.

გუშინ გამართული პრესკონფერენცია პირველი არ იყო, როდესაც სასულიერო პირები, საპატრიარქოს მიერ წარმოებული ფინანსური საქმიანობების გამო, თავიანთ სინანულსა და მწუხარებას გამოხატავდნენ. ამის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 80-იან წლებში ილაშქრებდა აწ გარდაცვლილი ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი. გთავაზობთ პატარა ნაწყვეტს იმ წერილიდან, რომელიც მან 1983 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს მისწერა: **"თქვენი პატრიარქობის დასაწყისიდანვე არეულია საქართველოს ეკლესიის სამეურნეო საქმეები. საქმის ნათელსაყოფად საკმარისია ასეთი მარტივი გაანგარიშებაც კი: 1978 წლის დამლევს, იმ დროს, როდესაც მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი იყო ქორეპისკოპოსად, საპატრიარქოს საქართველოს სახ-ბანკში ანგარიშზე ჰქონდა ორნახევარი მილიონი მანეთი; განვლილ ოთხნახევარ წელიწადში შემოვიდოდა, დაახლოებით, ამდენივე. დღეს ამ თანხიდან აღარაა არაფერი. ქაოსმა ჩაყლაპა ხუთი მილიონი მანეთი და სადღაც ნისლს იქით იხედება მხოლოდ თქვენი საზაფხულო რეზიდენცია მარტყოფში"**.

ყოველი მეათე ქართველი შიდსისგან დამცავი გენის მატარებელია

"საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტს გააჩნია CCR 5 delta 32 მუტანტური გენი, რომელიც განაპირობებს ადამიანის დაცვას იმუნოდეფიციტის ვირუსისაგან," - ამბობს იმუნოლოგი გიორგი კამკამიძე. მან პირველად საქართველოში წარმოადგინა საქართველოს მოსახლეობაში შიდსისგან დამცავი გენის გავრცელების შესწავლის შედეგები.

თამარ ჯაჯანიძე

ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში საგანმანათლებლო ლექციების ციკლი დაიწყო თემით: "21-ე საუკუნის ეპიდემიები". გარდა საგანმანათლებლო ლექციებისა, პერიოდულად გაშუქდება ის სამეცნიერო კვლევებიც, რაც საქართველოში მიმდინარეობს ამ მიმართულებით. საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზატორია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი რეაბილიტაციის ცენტრთან და არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირთან" ერთად.

გუშინ, 28 სექტემბერს გაიმართა ამ ციკლის პირველი ლექცია, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებმა მაია ბუწაშვილმა და გიორგი კამკამიძემ წარმოადგინეს. გიორგი კამკამიძის გამოკვლევა "ინფექციური დაავადებები და გენეტიკა" განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. კვლევაში, რომელიც ჩატარებულია ფრანგ და ამერიკელ მეცნიერებთან ერთად, დაფიქსირებულია, რომ აღნიშნული გენი აღმოჩენილია მხოლოდ თეთრკანიან ადამიანებში და არ გვხვდება შავკანიანებსა და აზიელებში.

"სავარაუდოა, რომ შიდსის ეპიდემია მსოფლიოში მრავალი საუკუნის წინ იყო გავრცელებული ევროპაში. აფრიკის კონტინენტზე კი არ ყოფილა, ამიტომაც დამცავი მუტაცია მათთან არ ჩამოყალიბდა. რუსეთში გენის გავრცელება 20 პროცენტამდე აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესაც ფინეთისა და რუსეთის საზღვარზე ეპიდემია ძალიან მძვინვარებდა, შემდეგ მოხდა ამ ეპიდემიის განადგურება. შესაბამისად, სადაც უფრო მაღალი იყო ეპიდემია, იქ დამცავი გენი მოსახლეობის უფრო დიდ პროცენტს აქვს," - აცხადებს მეცნიერი.

2003 წლის მაისის მონაცემებით, საქართველოში აივ ინფექციით დაავადებულთა სავარაუდო რაოდენობა 2000-ს აღწევს. დაფიქსირებულია სიკვდილის 66 შემთხვევა. პაციენტების უმრავლესობა 21-40 წლის ასაკისაა.

ეს პირველი კვლევებია ამ მიმართულებით და სავარაუდოა, რომ ეს არ არის ერთადერთი გენი, რომელიც გვიცავს ინფექციებისაგან. გარდა შიდსისა, გამოკვლევები დაიწყება c ჰეპატიტზე, რომელიც საქართველოში მზარდი ინფექციაა.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი აცხადებს ტენდერს შემდეგ ვაკანსიებზე

თანამდებობა: მდივანი ასისტენტი
(ორი საშტატო ერთეული)

აუცილებელი კვალიფიკაცია
- უმაღლესი განათლება;
- ინგლისური, და(ან) გერმანული ენის თავისუფლად ფლობა (წერა, კითხვა, ბეჭდვა), (დამატებით სასურველია რუსული ენის ცოდნა);
- ტექსტის კომპიუტერზე აკრეფის და მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გამოვლენილი უნარი;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- მინიმუმ 2 წლის მუშაობის გამოცდილება.

თანამდებობა: პროგრამისტი (ერთი საშტატო ერთეული)

აუცილებელი კვალიფიკაცია
- უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება (პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერის, ინჟინერ-ტექნოლოგის, ბიზნესის ადმინისტრირების, ან სხვა შესაბამისი ხარისხი);
- მართვის საინფორმაციო სისტემების შემუშავების გამოცდილება SQL და პროგრამირების უახლეს ენებზე;
- მონაცემთა ბაზის პლატფორმების (MS SQL Server, Oracle და ა.შ.) ცოდნა;
- საინფორმაციო სისტემების მონაცემთა მოდელირების და მონაცემთა ნაკადის ანალიზის გამოცდილება;
- სისტემური ანალიზის და მონაცემთა ბაზის პროექტირების ცოდნა;
- საპროექტო მეთოდიკის და შესაძლებლობების გამოყენების გამოცდილება;
- Microsoft-ის საოფისე პროდუქციის ცოდნა;
- სოციალური ფონდის მეთოდიკის პრაქტიკული ცოდნა წარმოადგენს უპირატესობას;
- სასურველია ვებ- გვერდის პროექტირების და შექმნის ცოდნა;
- უპირატესობა ენიჭება ინგლისური ენის მცოდნეებს;
- მინიმუმ 2 წლის მუშაობის გამოცდილება.

თანამდებობა: მძღოლი (ერთი საშტატო ერთეული)

აუცილებელი კვალიფიკაცია
- მძღოლად მინიმუმ 5 წლის მუშაობის გამოცდილება;
- ქართულ და რუსულ ენებზე თავისუფლად ლაპარაკი.
- უპირატესობა ენიჭება ინგლისური ენის მცოდნეებს;

დაინტერესებული პირები, განაცხადის ფორმის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოცხადნენ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 39ა, 11-ე სართული
ადმინისტრაციული განყოფილება
ტელ: 23-02-13; 25-04-42; 25-04-43.
ფაქსი: 23-01-03
ელ-ფოსტა: gsif@gsif.ge

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 8 ოქტომბერი.

მევლუდ ჭიჭიაშვილს კვლავ ყოფილ მძევალს დაუვირისპირებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

უზენაესი სასამართლო შოთა ჭიჭიაშვილის 24-ტომიანი საქმის განხილვას განაგრძობს. საქმეში გაერთიანებული 15 ეპიზოდიდან ჯერ მხოლოდ ორ ეპიზოდთან დაკავშირებული მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვა მოხერხდა. 1997 წელს რუსეიშვილების სახლში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმისა და ცოლ-ქმრის - ნათია რუსეიშვილისა და მიხეილ დათიკაშვილის გატაცების საქმესთან დაკავშირებული მოწმე-დაზარალებულების დაკითხვა სასამართლო პროცესზე უკვე დასრულებულად გამოცხადდა. ასევე ამოწურულია 1999 წლის იანვარში, საგარეჯოში, მევლუდ ჭიჭიაშვილის შეიარაღებული ჯგუფის წევრებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების თვითმხილველთა და ამ შეტაკებისას დაზარალებულების დაკითხვაც.

განსასჯელი ჭიჭიაშვილი, როგორ ჩანს, პროცესის დასრულებამდე დუმილის უფლებას გამოიყენებს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სასამართლო პროცესზე შოთა ჭიჭიაშვილის პირისპირ მდგომ მოწმეებსა და დაზარალებულებს, რომელთაც საქმის წინასწარი ძიებისას შოთა ჭიჭიაშვილის საწინააღმდეგო ჩვენებები აქვთ მიცემული, ამჯერად განსასჯელისკენ თითიც კი არ გაუშვერიათ.

თავად ყოფილმა მძევლებმა და მათი ოჯახის წევრებმა, რომლებსაც, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მევლუდ ჭიჭიაშვილთან უშუალო შეხება ჰქონდათ, გატაცებაში მისი მონაწილეობა კატეგორიულად უარყვეს. მევლუდ ჭიჭიაშვილი არც საგარეჯოში მომხდარი ინციდენტის თვითმხილველ მოწმეებს უხსენებიათ სასამართლოში ჩვენების მიცემისას. გუშინდელ პროცესზე სწორედ ამ ინციდენტისას დაზარალებული პოლიციელები უნდა დაკითხულიყვნენ. თუმცა, ისინი პროცესზე არ გამოცხადებულან. როგორც გაირკვა, ერთერთი მათგანი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება. მეორე უმძიმესი სნეულებითაა დაავადებული და ექიმები მისი დაკითხვის უფლებას არ იძლევიან, ჭიჭიაშვილის დაჯგუფების წევრებთან მომხდარი შეტაკებისას დაზარალებული მესამე პოლიციელი კი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილა. შეგახსენებთ, რომ პროცესზე დაიკითხა საგარეჯოში მომხდარი შეტაკებისას დაღუპული პოლიციელის სოსო ქურხულის მამა. შვილის გარდაცვალების მიზეზის გახსენებისას მევლუდ ჭიჭიაშვილი არც მას უხსენებია.

ერთი სიტყვით, ორ ეპიზოდთან დაკავშირებული მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვა უკვე დასრულებულია. როგორც გუშინ გადაწყდა, მომდევნო პროცესზე, რომელიც ერთი კვირის შემდეგ გაიმართება, სასამართლო საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი მესამე ეპიზოდის განხილვას დაიწყებს. მომდევნო პროცესზე დასაკითხად დაბარებულ მოწმეებსა და დაზარალებულებს კვლავ გატაცების საქმეზე მოუწევთ კითხვებზე პასუხის გაცემა. საუბარია 1999 წლის ზაფხულში ჭიჭიაშვილისა და მისი ბანდის მიერ ჩადენილ ახალ დანაშაულზე. საბრალდებო დასკვნის მიხედით, ჭიჭიაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა ცნობილი კასპელი ბიზნესმენის, რუსეთში ნავთობბიზნესში აქტიურად მომუშავე ნუგზარ წიკლაურის (გვარი გადაკეთებული აქვს) მამა - ფირუზ ხოშაბაევი მოიტაცეს. მოტაცების უზრუნველსაყოფად ჯერ ჭიჭიაშვილის საყვარელი მარკის ავტომანქანა "ნივა" გაიტაცეს და გაემართნენ დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთში, სადაც ხოშაბაევს აგარაკი ჰქონდა და იქ ხშირად ჩადიოდა. დამნაშავეებმა ტყეს შეაფარეს თავი, სანამ შეიტყობდნენ, რომ მსხვერპლი თანმხლებლებთან ერთად მოდიოდა. შემდეგ ისინი უკვე ხოშაბაევის სააგარაკო სახლში შევიდნენ და ჩასაფრდნენ. სახლში შესულ ხოშაბაევსა და მასთან ერთად მყოფ სამ პირს თავს დაესხნენ, გაკოჭეს, ხოშაბაევი თან წაიყვანეს, დანარჩენები კი სააბაზანოში ჩაკეტეს. ჯერ - მძევლის მანქანით, მერე - გატაცებული "ნივით", ბოლოს კი ფეხით მიაღწიეს პანკისის ხეობამდე, სადაც გატაცებულთან ერთად - სხვადასხვა ოჯახებს, შემდეგ პანკისში, "ბაწარას ნაკრძალში", ტყეში სპეციალურად გატაცებულ მძევალთათვის აშენებულ ქოხს აფარებდნენ თავს. ამასთანავე პერიოდულად ტელეფონით უკავშირდებოდნენ გატაცებულის შვილს და გამოსასყიდს — ჯერ 7, მერე კი 5 მილიონ დოლარს სთხოვდნენ. საბრალდებო დასკვნის მიხედვითვე, გამტაცებლებმა მხოლოდ 3 თვისა და 10 დღის შემდეგ გაათავისუფლეს ხოშაბაევი, როცა მისმა შვილმა გამოსასყიდი — 200 ათასი დოლარი გადაიხადა.

მოკლედ, ამჯერად სასამართლოს დარბაზის გალიაში მყოფი შოთა ჭიჭიაშვილის თანდასწრებით ჩვენების მიცემა ყოფილ მძევალს - ხოშაბაევს, მის ვაჟს და მათ ახლობლებს მოუწევთ. ხოშაბაევის გატაცების ეპიზოდთან დაკავშირებით ათამდე მოწმე და დაზარალებული დაიკითხება. ჩვენების მიცემისას ისინიც კატეგორიულად გამორიცხავენ თუ არა ცნობილი კრიმინალის მონაწილეობას გატაცებაში, წინასწარ ძნელი სათქმელია. განსასჯელი ჭიჭიაშვილი კი, როგორ ჩანს, პროცესის დასრულებამდე დუმილის უფლებას გამოიყენებს.

ბათუმში სახალხო დამცველის წარმომადგენლობა გაიხსნება

ბათუმში ორდღიანი ვოიაჟის შემდეგ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გუშინ სპეციალური ბრიფინგი გამართა. მისი განცხადებით, აჭარაში სახალხო დამცველის წარმომადგენლობა ორ კვირაში გაიხსნება, მის ხელმძღვანელს კი იმ დროისთვის კონკურსის წესით შეარჩევენ. სუბარმა მოუწოდა მსურველებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკურსში და განცხადებები თბილისში, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, მაჩაბლის N11-ში წარადგინონ.

რაც შეეხება ბათუმში ვიზიტს, როგორც სუბარმა აღნიშნა, პატიმრებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა სამი ფაქტი, რომელზეც ის აუცილებლად მოახდენს რეაგირებას. კერძოდ, სახალხო დამცველის მონაცემებით, დაფიქსირდა პროცესუალური დარღვევები აჭარის ინვესტიციების ყოფილი მინისტრის ვლადიმერ ფანგანის, კობა დავითაშვილის პარტიის კოორდინატორის ჯუმბერ თავართქილაძისა და ავიაკომპანია "აჭარის" დირექტორის ნინო ალფაიძის დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით.

გუშინვე აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ლევან ვარშალომიძესთან ერთად სოზარ სუბარმა მოინახულა შენობა, სადაც ორ კვირაში სახალხო დამცველის წარმომადგენლობა ამოქმედდება. როგორც აღინიშნა, სახალხო დამცველის ოფისი ყოფილი მრეწველობის სამინისტროს შენობაში იმოქმედებს.

ინტერ-პრესი

ბიზნესმენი ბაკურიძე უკვე მესამედ გაათავისუფლეს

გუშინწინ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გაათავისუფლეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მეპატრონე თემურ ბაკურიძე.

ბაკურიძე ფინანსურმა პოლიციამ ორი დღის წინათ საკუთარ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით დააკავა. ამ ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, ბაკურიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა არ შეეფარდა.

გათავისუფლებულის ადვოკატის მარიკა ფხალაძის განმარტებით, იმისათვის, რომ კრიმინალი არსებობდეს, აუცილებელია ამ ქმედებას მოჰყვეს მნიშვნელოვანი ზიანი. მოცემულ შემთხვევაში თემურ ბაკურიძეს ხელწერილი ჰქონდა დაწერილი პროკურატურაში, რომელშიც მითითებული იყო, რომ იგი ლიცენზიის მოპოვებამდე შეაჩერებდა თავისი საწარმოს საქმიანობას. ბიზნესმენმა მართლაც შეაჩერა საქმიანობა; უბრალოდ, იგი აპირებდა იმ პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც ნაშთის სახით არსებობდა. ამ ქმედებას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზიანი. გარდა ამისა, ადვოკატისვე განცხადებით, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიის უქონლობის გამო მეწარმეს შეიძლება 400-დან 500 ლარამდე ჯარიმა დაეკისროს, ბაკურიძის დაკავება და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა კი უკანონო იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბაკურიძე "ვარდების რევოლუციის" შემდეგ უკვე სამჯერ დააკავეს და გუშინწინ უკვე მესამედ გაათავისუფლეს. ადვოკატ ფხალაძის განცხადებით, მეორედ მისი გათავისუფლება აჭარის განვითარების ფონდში 350 ათასი ლარის გადარიცხვის სანაცვლოდ მოხდა.

აჭარის ფინანსურმა პოლიციამ შპს "ბაკურიძე და კომპანიის" დირექტორი თემურ ბაკურიძე უკანასკნელად 26 სექტემბერს დააკავა. მის მიმართ საქმე უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მუხლით იყო აღძრული. ამავე მუხლით ბაკურიძის წინააღმდეგ საქმე ამა წლის 23 აგვისტოსაც აღიძრა, ის საქმე ჯერ კიდევ გამოძიების პროცესში იყო, როცა ბიზნესმენი მეორედ ამხილეს დანაშაულში.

24 საათი

ჰოლ ხლებნიკოვის მკვლელობა გახსნილად გამოცხადდა

ამერიკელი ჟურნალისტის მკვლელობაში "ჩეჩნურ კვალს" "ყურით მოათრევენ"

რუსმა სამართალდამცველებმა რუსი ეროვნების ამერიკელი ჟურნალისტის მკვლელობის ვერსიებიდან, რომლებიც მსხვილ ბიზნესმენებთან, ვლადიმერ პუტინის მეგობრებთან და რუსეთის სპეცსამსახურებთან ჟურნალისტის დაპირისპირებას უკავშირდებოდა, ჩეჩნური კვალის დადასტურება არჩიეს და გუშინწინ ჟურნალ "ფორბსის" რუსული რედაქციის ხელმძღვანელის მკვლელობაც გახსნილად გამოცხადდა - მოსკოვში დაპატიმრებულ ორ ჩეჩენს ხლებნიკოვის მკვლელობის იარაღი აღმოუჩინეს.

როგორც ცნობილია, რუსული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი პოლ ხლებნიკოვი 9 ივლისს, საღამოს მოსკოვში, ჟურნალ "ფორბსის" რუსული ვერსიის რედაქციის შენობიდან გამოსვლისას დაცხრილეს. მან რამდენიმე ჭრილობა მიიღო და ქალაქის მე-20 კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მკვლელობას რუსეთის გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო იძიებს.

გუშინწინ კი ჩეჩენი ეროვნების ორი მამაკაცი (ისინი ამჟამად უკვე ხლებნიკოვის მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილნი) შემთხვევით, ადამიანის გატაცების ბრალდებით დააკავეს. გატაცებული ორი პიროვნების გათავისუფლებაში ისინი გამოსასყიდს ითხოვდნენ და მილიციას ჩაუვარდნენ ხელში. მკვლელობის იარაღიც მოგვიანებით იპოვეს. დაკავებულების ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილი სამი იარაღის პირველადი ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთით - სტეჩკინის ცხრა მილიმეტრიანი პისტოლეტით თუ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ ა-99-ით - პოლ ხლებნიკოვს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. თავად დაკავებულები ამერიკელი ჟურნალისტის მკვლელობასთან კავშირს უარყოფენ. მკვლელობის გახსნას ეჭვით უყურებენ ჟურნალისტებიც.

ჟურნალ "ფორბსის" რუსული ვერსიის გამომცემელმა ლეონიდ ბერშიდსკიმ რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ხლებნიკოვის მკვლელობის გახსნის შესახებ არაფერი სმენია. **"ამ საქმეში ჩეჩნური კვალის არსებობის შესახებ ჩვენც გვსმენია. ეს ვერსია იქიდან წამოვიდა, რომ ხლებნიკოვმა ერთ-ერთი საველე მეთაურის ინტერვიუს სახით დაწერა წიგნი ჩეჩნეთსა და ტერორიზმზე. თუმცა, ეს ვერსია სერიოზულად არასოდეს აღგვიქვამს"**, - განაცხადა ბერშიდსკიმ.

ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგ პანფილოვიც მიიჩნევს, რომ ხლებნიკოვის მკვლელობაში ჩეჩნების კავშირი ძალზე საეჭვოა.

"ჩეჩნურ კვალზე საუბარი მხოლოდ პოლ ხლებნიკოვის წიგნიდან გამომდინარე შეიძლება, მაგრამ ვეჭვობ, რომ ეს სიმართლესთან ახლოს იყოს. თითქმის გამორიცხულად მიმაჩნია, ჩეჩნებს სურდეთ, ამ სახით ყურადღება მიექციონ, - ამბობს პანფილოვი, - **მაინც მგონია, რომ აქ რაღაც დამთხვევას ან მიზანმიმართულ კამპანიას უნდა ჰქონდეს ადგილი. ვფიქრობ, რომ სამართალდამცველი ორგანოები ამ შემთხვევაში "ჩეჩნური კვალის", ასე ვთქვათ, "ყურით მოთრევას" ცდილობენ"**.

რუსეთის პრესაში ხლებნიკოვის მკვლელობის ბევრი ვერსია იყო წამოყენებული. გამოქვეყნებულია ყველა ამ ვერსიის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები. ჟურნალისტთა უმრავლესობა მკვლელობას ჟურნალში ასი ყველაზე მდიდარი რუსის სიის გამოქვეყნებას უკავშირებდა. თუმცა ზოგიერთი მკვლელობის სავარაუდო მიზეზად ხლებნიკოვის მიერ ჩეჩენთა ყოფილი მეთაურის ხოჟ-ახმედ ნუხაევისგან აღებულ ინტერვიუს ასახელებდა, რომელიც ჟურნალისტმა შარშან წიგნად გამოსცა. რუსული გაზეთები, კერძოდ, "კომერსანტი", "იზვესტია" და "ვრემია ნოვოსტეი" მიიჩნევდნენ, რომ წიგნს - "საუბრები ბარბაროსთან" - შეეძლო, ნუხაევის თანამებრძოლთა და ჩეჩენ სეპარატისტთა სხვა ლიდერების უარყოფითი რეაქცია გამოეწვია. იყო ვერსია ხლებნიკოვის პუტინის გარემოცვასთან, ასევე ბორის ბერეზოვსკისთან დაპირისპირების გამო შურისძიების შესახებ.

თავად გამოძიება პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის კონკრეტულ მოტივზე, ჯერჯერობით, არ საუბრობს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის პაემნის ოთახში 68 წლის ქალბატონი, ფლორა მ. გაჩხრიკეს, რომელსაც აღმოაჩნდა მოთეთრო ფერის ფხვნილი და 60 ცალი თეთრი ფერის აბი. ფლორა მ.-ს ეს ნივთიერებები თავისი შვილისთვის, ზვიად მ.-სთვის უნდა გადაეცა, რომელიც ამ საპყრობილეშია მოთავსებული. შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ცნობით, მოთეთრო ფერის ფხვნილი ბეპრენორფინს შეიცავს, ხოლო აბები არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას ატარებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა საზოგადოებისთვის სკანდალურად ცნობილი პატიმრის ირაკლი კერესელიძის საქმეს განიხილავს, რომელიც გაქცევის მცდელობისთვის არის მსჯავრდებული. ირაკლი კერესელიძე 1995 წლიდან პატიმარია. იგი მსჯავრდებულია ორი ადამიანის მკვლელობაში. კერესელიძემ განაჩენის გამოტანიდან ოთხი წლის შემდეგ ამ დანაშაულის ჩამდენად მაშინდელი კულტურის ყოფილი მინისტრი ვალერი ასათიანი დაასახელა, რის გამოც კერესელიძეს და ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" გადაცემა "60 წუთს" უზენაესმა სასამართლომ ბოდიშის მოხდა და ასათიანისათვის 50 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. ირაკლი კერესელიძე ამჯერად 2002 წლის 29 მარტს საბადრაგო მანქანიდან გაქცევის მცდელობაში არის მსჯავრდებული. თბილისის საოლქო სასამართლომ წლეულს, 23 მარტს, კერესელიძეს სასჯელზე 3 წელი დაუმატა, რითაც პატიმრობის ვადა 15 წლამდე გაეზარდა. კერესელიძე აცხადებს, რომ მისი გაქცევა პროვოცირებული იყო და იგი დამნაშავე არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ზუგდიდის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სოფელ ზედა ეწერში მცხოვრები, 26 წლის კახა ქობალია, რომელიც ეჭვმიტანილია იმავე სოფელში ავტომანქანა "ვაზ-2107"-ის მძღოლზე, სოფელ ჩხორიაში მცხოვრებ, 35 წლის ხათუნა კვარაცხელიაზე თავდასხმაში, მისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და 500 ლარის გატაცებაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები, 23 წლის ქურდული ტრადიციების მიმდევარი ოთარ ფელანგია, რომლისგანაც ამოიღეს 6.6 გრამი მარიხუანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დმანისის რაიონის პოლიციამ დააკავა სოფელ ბეჩაკლოში მცხოვრები, 20 წლის ინდიგამ გოჯაევი, რომლისგანაც ამოიღეს ხელყუმბარა "ფ-1" დეტონატორით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა დააკავეს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში მცხოვრები, ნასამართლევი, 26 წლის გიორგი ბუთიაშვილი, რომელიც ეჭვმიტანილია 22 აგვისტოს, ვახო იუსუპოვთან ერთად, შპს "საქკავშირმშენის" საამქროს გაქურდვაში. **მედია-ნიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი .....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

ორი კიუტი

მე ვარ ლაშა კიუტი, ვცხოვრობ ზუგდიდში. ჩემი ამბავი ეხება 1991-92 წლებს, როდესაც ცნობილი ამბები ხდებოდა.

მაშინ დავამთავრე სკოლა და გადავწყვიტე, ერთი წელი დამესვენა, არსად ჩამებარებინა. გავემგზავრე რუსეთში ახლო ნათესავებთან. იმ დროს საქართველოში ომი მიმდინარეობდა ე.წ. "ზვიადისტებსა" და სხვა "ისტებს" შორის. ამის პარალელურად, ომი იყო აფხაზეთშიც.

გადავწყვიტე, შორს ვყოფილიყავი ამ ყველაფრისგან. ამიტომ რუსეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში კარგა ხანს ვიცხოვრე ნათესავებთან. ბოლოს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება მომინდა, რომ მეპოვა ჩემი საქმე და ადგილი ცხოვრებაში.

დავიქირავე ოთახი, რომელშიც იდგა ორი საწოლი, რადგან ჩემ გარდა იმ ოთახში სხვა მდგმურიც ცხოვრობდა.

დილიდან საღამოს ხუთ საათამდე ვსწავლობდი, დავდიოდი კულინარიულ კურსებზე, ხოლო ხუთი საათის შემდეგ ვმუშაობდი პატარა რესტორნის სამზარეულოში. სახლში ღამის თორმეტ საათზე ძალიან დაღლილი ვბრუნდებოდი და დილამდე მკვდარივით მეძინა.

სახლში ყოფნის რამდენიმე საათის მანძილზე აღარ მქონდა საშუალება არც ოთახის დალაგების და არც მეზობლის გაცნობის.

ასე გავიდა ერთი თვე. წარმოიდგინეთ, ვცხოვრობ ვიღაცასთან ერთად ერთ ოთახში და ამდენი ხანია არათუ ვიცნობ, არც კი მინახავს იგი?!

ბოლოს ძალიან მომინდა, გამეცნო ჩემი მეზობელი. ეტყობა, მასაც გაუჩნდა ასეთი სურვილი და ერთხელაც სახლში გვიან დაბრუნებულს ჩემს საწოლთან პატარა ბარათი დამხვდა: "ვინ ხარ, მინდა გაგიცნო".

იმ დღეებში რაღაც ცუდ გუნებაზე ვიყავი, ამიტომ ბარათი დავხიე და გადავყარე.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ის ბიჭი, ჩემი მეზობელი, მუშაობდა ღამე, ზუსტად არ ვიცი - ან კაზინოში, ან ღამის ბარში. ერთი სიტყვით, მთელი ღამე არ იყო შინ. მე კი მთელი დღე ვიყავი გასული; ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როცა მე სახლში ვიყავი, ის მუშაობდა და როცა მე ვმუშაობდი, ის სახლში იყო.

ერთხელაც მის საწოლთან პატარა საფულე შევნიშნე, ცნობისმოყვარეობამ მძლია, ავიღე იგი და მასში ვიპოვე ფოტოსურათი და მოწმობა ვინმე ლევან კიუტის სახელზე. ფოტოზე გამოსახულ ადამიანს ნამდვილად არ ვიცნობდი. ძალიან დავინტერესდი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, გვარად მეც კიუტი ვარ.

ამჯერად მე თავად დავუწერე მეზობელს ბარათი: "ძალიან მინდა ვიცოდე, ვინ არის კიუტი?"

იმავე ღამეს დამხვდა პასუხი: "მოდი, ერთმანეთს კვირას შევხვდეთ".

ძლივს დავეთხოვე სამუშაოდან და წავედი სახლში. ოთახში მელოდა ადამიანი ფოტოსურათით ხელში.

- მე ლევან კიუტი ვარ,- გამეცნო იგი.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ის ჩემი მოგვარე გამოდგა, ისიც იმავე მიზეზით მოხვდა რუსეთში, ისიც ომს გამოექცა.. ოღონდ, მე ქართველი ვარ, ის კი - აფხაზი.

რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი

აღნიშნული ორი დღიური ქართულ-აფხაზურ ერთობლივ დისკზეა ჩაწერილი, რომლის პრეზენტაციაც წინა კვირას შედგა.

მოვუსმინოთ ერთმანეთს

ლელა მარგიანი

ჯონათან კოენი "რადიოდღიურების" პრეზენტაციაზე.

2 წელია, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" ძალისხმევით ქართული და აფხაზური რადიოსადგურების ეთერში გადის რადიოდღიურები - "ცხოვრებისეული ისტორიები", რომლებშიც ადამიანები იგონებენ აფხაზეთში გატარებულ ცხოვრებას, იქაურ მეგობრებსა და ნათესავებს. ამ ხნის მანძილზე ქართველი და აფხაზი ჟურნალისტების დახმარებით 500-ზე მეტი დღიური ჩაიწერა და გადაიცა კავკასიის, რუსეთის და BBC რადიოსადგურებით.

24 სექტემბერს, თბილისში, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში შედგა ერთობლივი აფხაზურ-ქართული დისკის პრეზენტაცია. დისკში შესულია ათ-ათი საუკეთესო ქართული და აფხაზური დღიური.

პრეზენტაციას სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში, ბატონი მაკლარენ ოფ მაკლარენი, რომელმაც აღნიშნა, რომ ვერავითარი შედეგი ვერ იქნება მიღწეული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში, თუ ხალხი არ შერიგდება. ამისთვის კი, პირველ ყოვლისა, საჭიროა, ადამიანებს ესმოდეთ ერთმანეთის ხმა. რადიოდღიურების პროექტი კი სწორედ მათ, ჩვეულებრივ ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, მოუსმინონ ერთმანეთს, ჰქონდეთ საკუთარი ხმა.

ელჩის შემდეგ სიტყვა ითხოვა "შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამის მენეჯერმა, ჯონათან კოენმა. მან აღნიშნა, რომ უკვე შვიდი წელია, თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან კონფლიქტების მოგვარების საქმეში მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. კონფლიქტის მქონე ქვეყნებში მათი ორგანიზაცია ეძებს შერიგების რესურსებს, ხოლო კონფლიქტის არსებობისას ხალხების შერიგების ერთ-ერთ რესურსად მათ სწორედ აუდიოდღიურების პროექტი მიაჩნიათ.

"იმედი მაქვს, რომ პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები", რომელიც უკვე ორი წელია, გადის საქართველოში, თავის წვლილს შეიტანს კონფლიქტის მოგვარებაში," - დასძინა კოენმა.

პრეზენტაციას ესწრებოდა პროექტის ინგლისელი კოორდინატორი ქალბატონი ელენე კუკიც: "აუდიოდღიური არა მხოლოდ უმდიდრესი სოციალური არქივია, არამედ ესაა ერთმანეთის გაცნობის უნიკალური შესაძლებლობა, რათა გავიგოთ, თუ როგორ და რა განწყობებით ცხოვრობდნენ ქართული და აფხაზური საზოგადოებები მესამე ათასწლეულის დასაწყისში. აუდიოდღიურების საშუალებით მოთხრობილი ისტორიებით მსმენელი ხვდება, რომ ადამიანებს, თუნდაც კონფლიქტის მონაწილეებს, გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ეს თავიდან შეიძლება ეგონოთ. ასეთი პროექტები ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ნგრევას, ისინი ძალაუნებურად ცვლიან ადამიანებს. როდესაც დავიწყეთ პროექტი, იგი უნდა ყოფილიყო პარალელური, მაგრამ აფხაზეთში გვითხრეს, რომ მხოლოდ დამოუკიდებლად მიიღებდნენ მონაწილეობას. ჩვენ დავთანხმდით. მერე მათ გაუჩნდათ სურვილი, გაცნობოდნენ ქართველ ჟურნალისტებს, მოესმინათ ქართული დღიურები. მერე გვქონდა შეხვედრები მოსკოვში, როსტოვში, სადაც ქართველმა და აფხაზმა ჟურნალისტებმა ერთობლივი მუშაობისთვის სპეციალური სიგელიც კი დაიმსახურეს. ამჯერად, კი ერთობლივი ქართულ-აფხაზური დღიურების დისკი გამოვეცით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ჟურნალისტები უახლოვდებიან ერთმანეთს, ჩვენ გვჯერა, რომ თანდათან ერთმანეთს საზოგადოების წარმომადგენლებიც დაუახლოვდებიან. ჩვენი მიზანიც სწორედ ამაშია. ამიტომაც ვაფართოებთ არეალს და მალე ჩვენი პროექტი მთელს სამხრეთ კავკასიაზე გავრცელდება".

პროექტის conciliation resources მხარდამჭერი

აფხაზთა ანექსიის გზა

ბესლანში დატრიალებული ჯოჯოხეთი ჭეშმარიტად მეორედ მოსვლის დასაწყისის ნიშანია - ბესლანში ღმერთებს ესროლეს, მომავლის იმედსა და რწმენას ესროლეს, ბავშვებს, კაცობრიობის მომავალს ესროლეს. ბესლანი ადამის მოდგმის მარადიული ტკივილია, გოდებაა, ბესლანში ბოროტმა სძლია კეთილს. ძმებო ოსებო! თქვენი გაუსაძლისი მწუხარება ჩვენი ტკივილი და უბედურებაა. ასეთ მძიმე წუთებში ამაოა ნუგეშის ცემა, როცა ოსეთიდან ხმა გვესმის "დიდი ტირილისა და გოდებისა, დედები დასტირიან თავიანთ შვილებს და არ სურთ თავი ინუგეშონ, ვინაიდან აღარ არიან ისინი" (მათე 3,18). მოდით, ძმებო, ბესლანში, იქ სადაც ანგელოზებს ესროლეს, გოდების დიდი ტაძარი აღვმართოთ, გარს შემოვარტყათ იმდენი სვეტი, რამდენი სიცოცხლეც მოკლეს სატანის მოდგმის ნაშიერებმა. მჯერა, ამ ტაძარში მოვლენ, მუხლს მოიყრიან და ილოცებენ ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ციური სასუფეველი დაგემკვიდროთ თქვენ, ჩვენო ანგელოზებო! ამინ!

დავით დოლბაძე
დოქტორ, თსუ-ს სოხუმის ფილიალის სამოქალაქო კათედრის გამგე, აფხაზეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის დარბაზის პრეზიდენტის ხელმძღვანელი

რუსეთი საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის) ანექსიის გზას დაადგა.

იმპერიის აღდგენა რუსეთში პუტინის ხელისუფლების ძალისხმევით ქვეყნის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა. ეს იდეოლოგია რუსეთის რეაქციულ წრეებში საბჭოთა იმპერიის (როგორც რუსეთის ძველი იმპერიის სამართალმემკვიდრის) დაშლის პირველივე დღეებში შემუშავდა - ხალხისა და ხელისუფლებისაგან დაფარულად; დაფარულად, რადგან, ჯერ ერთი, დიდი რუსი ხალხი იმპერიას სამუდამოდ განერიდა და მისი აღდგენის მცდელობასაც კი ბოროტებად მიიჩნევდა იმ დროისათვის და, მეორეც, იმპერიის აღდგენაზე ხმამაღალი განაცხადი არსებობის საფუძვლებს გამოაცლიდა დემოკრატიის გზაზე ახლად შემდგარ რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოს. იყო მესამე გარემოებაც: ბორის ელცინი რუსეთმა და მსოფლიომ აღიარეს, როგორც რუსეთის სახელმწიფოში დემოკრატიული გარდაქმნების სულისჩამდგმელი და რაკი იმპერია და დემოკრატია ერთმანეთის გამომრიცხველი ცნებებია, ბორის ელცინი თითქოს აშკარად გაემიჯნა იმპერიას!!!

თუმცა მან დსთ-ს სახით წანამძღვრები შეუქმნა იმპერიის აღდგენას; რაც შეეხება ვლადიმირ პუტინს, მას მსოფლიო იცნობდა, როგორც გონიერ, პრაგმატიკოსსა და დემოკრატს, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ გაუძლო იმპერიის აღდგენის იდეოლოგთა შემოტევას და, როგორც ეს ბოლო მოვლენებმა გვიჩვენეს, მან კაპიტულაცია მოახდინა რეაქციული ძალების წინაშე და რუსეთში დაიწყო დემოკრატიაზე იერიშის მიტანა.

აქამდე ფარულად მიმდინარე პროცესები საქვეყნოდ გაცხადდა. ჭეშმარიტი და მარადიულია უფლის შეგონება, რომელიც გვასწავლის, რომ არ არსებობს დაფარული, რომელიც ცხადი არ გახდეს, არც საიდუმლო - არ გამჟღავდეს და არ გაცხადდეს (ლუკა 9,17). დღეს რუსეთი ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის ქვეშ უკვე მოიაზრებს რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ უზარმაზარ სივრცეს (და არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიას). სწორედ ასე და მხოლოდ ამიტომ პუტინის ხელისუფლებაში რუსეთის იმპერიის აღდგენა ქვეყნის პოლიტიკური კურსის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა... ამრიგად, იმპერია მოკვდა... იმპერიული იდეოლოგია გადარჩა და მოქმედებს, რაც უფლებას უტოვებს რუსეთს, წაართვას დამოუკიდებლობის უფლება დაშლილი იმპერიის სივრცეში აღმოცენებულ სახელმწიფოებს - იგი მოქმედებს მგლის ლოგიკით, რომელიც აგებულია პრინციპზე - "ძლიერი ყოველთვის მართალია".

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება (და არამც და არამც დიდი გონიერი რუსი ერი) ბოლომდე ვერ აცნობიერებს, თუ რა დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს იმპერიის არამც თუ აღდგენას, არამედ მცდელობასაც კი. ეს შედეგები სავალალო იქნება თვით რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოსათვის, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი უგუნური პოლიტიკის შედეგად რუსეთი მიიღებს იმდენ "ჩეჩნეთს", რამდენი ეთნიკური ავტონომიაცაა რუსეთის შიგნით, ხოლო ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოთა იმპერიაში ძალდატანებით შერეკვის მცდელობა აუცილებლად გამოიწვევს ამ სივრცეში ხალხების, სახელმწიფოების საბედისწერო დაპირისპირებებს, პერმანენტულ სამოქალაქო ომებს და ათას სხვა უბედურებას, რაც საფრთხეს შეუქმნის მსოფლიო მართლწესრიგის, და მესამე მსოფლიო ომის პროვოცირებას გამოიწვევს. ასეთი პოლიტიკა თვით რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლას გამოიწვევს (გთხოვთ, გაიხსენოთ დამოუკიდებლობის აღლუმი 90-იანი წლების რუსეთში). მთელი მსოფლიო, მათ შორის - საქართველოც, ცნობს და პატივს სცემს რუსეთის ტერიტორიალურ მთლიანობას და მის დამოუკიდებლობას. ამიტომ რუსეთის დაშლა უბედურებას მოუტანს თვით რუსებს, ქართველებს და სხვა მეზობელ ხალხებს. უფალმა დაიფაროს რუსეთი და მთელი მსოფლიო ასეთი პერსპექტივისაგან.

რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით საქართველოს პირველი ადგილი განეკუთვნება, რაც სამი ფაქტორითაა განპირობებული: პირველი - საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით სამართლიანად ითვლება კავკასიის გასაღებად (ბჭეკარად), მეორე - საქართველოს იმავდროულად ევროპის აზიასთან დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენს - ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, აბრეშუმის გზა, ენერგოქსელის გამტარი გზები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და პირიქით, ხომ საქართველოზე გადის.

რაც შეეხება მესამე ფაქტორს, ის რუსეთისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა: კავკასიაში (უფრო ზუსტად, საქართველოში) ახალი ტიპის ლიდერი გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის სახით, რომელიც დემოკრატიულ ფასეულობებზეა აღზრდილი და ორიენტირებული. იგი ერთხმად აირჩია ერმა პრეზიდენტად და მან მოკლე ხანში ქვეყნის აღორძინებისათვის ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე წინა ხელისუფლებამ თორმეტი წლის განმავლობაში, რითაც დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მის ხელში ხომ საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი გახდა; მაგრამ ეს არაა ყველაფერი: მიხეილ სააკაშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, შეუდგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზას, რაშიც მას მხარს უჭერენ ქვეყნის შიგნით და გარეთ. სწორედ ამის გამო არ მოსწონს ის რუსეთს, რომელსაც სურდა საქართველოში ჰყოლოდა რუსეთის ყურმოჭრილი მონა. მიხეილ სააკაშვილი კი "კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა რუსეთისთვის. ამიტომ რუსეთი ნებისმიერი საშუალებით ცდილობს, სახელი გაუტეხოს მას. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ხმები გაისმა რუსეთის დუმაში სააკაშვილის წინააღმდეგ, ის სიძულვილი და ბოღმა, რომელსაც მის წინააღმდეგ ანთხევენ რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები. სწორედ ამიტომ და ამ ფაქტორთა ზეგავლენით რუსეთმა პირდაპირი იერიში მიიტანა საქართველოზე და ცდილობს მის დაჩოქებას. ნურას უკაცრავად, ქართველი ხალხი აუცილებლად აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დაიცავს ერის ღირსებას, პრეზიდენტის და ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ახლა ვნახოთ, რა გზებითა და მეთოდებით ცდილობს რუსეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამანადგურებელ ხელყოფას: პირველი - რუსეთი საქართველოს მიმართ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას ადგას, იგი მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის დაცვის აუცილებლობას, ხოლო სინამდვილეში აქტიურად უჭერს მხარს და მფარველობს სეპარატისტულ რეჟიმებს აფხაზეთსა და ოსეთში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რუსეთის დამოკიდებულება აფხაზეთის აგრესიული სეპარატისტული რეჟიმისადმი. დავიწყოთ იმით, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა 90-იანი წლების დასაწყისში პროვოცირება გაუკეთეს სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში, ხოლო შემდგომ საქართველოს შეუსიეს ჩეჩნები, კაზაკები, ადიღეელები და სხვა ჯურის დაქირავებული კაცისმკვლელთა ბანდები, ხოლო მოგვიანებით ამ ბინძურ საქმეში თვით რუსეთის რეგულარული და შეიარაღებული ძალები ჩაერთვნენ. ერთი სიტყვით, რუსეთმა დააფინანსა კბილებამდე შეიარაღება კაცისმკვლელი ბანდიტები (ძირითადად, რუსეთის მოქალაქეები) და პირდაპირ მათი ხელით საქართველოს ტერიტორიის - აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა. უფრო მეტიც, აფხაზეთში რუსეთის უშუალო ხელშეწყობით განხორციელდა ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნოწმენდა, რის შედეგადაც ათი ათასი ქართველი ფიზიკურად გაანადგურეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ხოლო ცოცხლად დარჩენილი სამასი ათასზე მეტი ქართველი გამოდევნეს აფხაზეთიდან. ყოველივე ამით რუსეთი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გენოციდისა და ეთნოწმენდის მონაწილე გახდა. არავის აქვს უფლება, დავიწყოს ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელი რუსეთი მუსულმანების გვერდით იბრძოდა და მუსრს ავლებდა ერთმორწმუნე ქართველებს. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ რუსეთი აფხაზეთში კონფლიქტის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და უშუალო მონაწილეა, საქართველოს ყოფილი მოღალატე ხელისუფლების მხარდაჭერით მშვიდობისმყოფელად (მომრიგე-მოსამართლედ) მოგვევლინა, რის შემდეგაც რუსეთის ჯარს, რომელმაც აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა, მშვიდობისმყოფელის მანტია გადააცვეს, ხოლო საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე ფსოუდან მდინარე ენგურზე იქნა გადმოტანილი. თავისთავად ცხადია, რომ ეს ოკუპანტი ჯარი აფხაზ სეპარატისტებს დაუჭერდა მხარს, რაც სინამდვილეში მოხდა და ამის შედეგად აფხაზმა სეპარატისტებმა გულარხეინად განაგრძეს ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდა, რომელიც იმავე რუსების ხელშეწყობით დღესაც გრძელდება. რუსეთმა ესეც არ იკმარა და აფხაზეთის ჩვენგან ჩამოშორების გზას დაადგა. ეს არის აფხაზთა ანექსიის გზა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს სხვადასხვა ხერხებით:

- რუსეთმა დაიწყო აფხაზეთის მოქალაქეებისათვის რუსული პასპორტების დარიგება და მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რათა საშუალება ჰქონდეს, აფხაზეთი გამოაცხადოს რუსეთის ინტერესების სფეროში მოქცეულ სივრცედ რუსეთის მოქალაქეების დაცვის საბაბით.

- დსთ-ს 1995-96 წლების დადგენილების საწინააღმდეგოდ რუსეთი მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ამყარებს აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან. უკვე აღადგინა სარკინიგზო ტრანსპორტის მიმოსვლა მოსკოვსა და სოხუმს შორის. მზად არის აღადგინოს საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მიმოსვლა აფხაზეთთან.

- რუსეთის მოქალაქეები, მათ შორის სახელმწიფო მაღალი მოხელეები იძენენ საკუთრებას (სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, სასტუმროებს და ა.შ.) აფხაზეთში.

- აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველების სახლებში არხეინად ცხოვრობენ ჩეჩნები, რუსები, კაზაკები, აფხაზეთის სოფლებიდან სპეციალურად ჩამოყვანილი აფხაზები. ბოლო ორივე შემთხვევა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა - წინასწარ შეცნობილი ნაქურდალი ნივთების შესყიდვა და სხვის საცხოვრებელ სადგომში კანონსაწინააღმდეგო შეჭრა.

ასეთივე მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონში, სადაც რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები დგანან, რომლებიც "მშვიდობიანად" ეხმარებიან ოს სეპარატისტებს ქართული მოსახლეობის დარბევა-აწიოკებაში, ქართული სოფლების დაბომბვაში, ქართველების მოტაცებაში, კონტრაბანდისტების შემოდინებაში, მაგრამ ეს ყველაფერი როდია! როკის გვირაბიდან, რომელსაც სეპარატისტები და სამშვიდობოები ერთობლივად იცავენ, საქართველოში დაქირავებული კაცისმკვლელები თავისუფლად შემოდიან "ოსი" ძმების დასახმარებლად, რათა ამ რეგიონიდან გამოდევნონ ქართველები (ეთნოწმენდა), რის შემდეგაც რუსეთი რუსულ პასპორტებს დაურიგებს დარჩენილ მოსახლეობას, რუსეთის მოქალაქეებად აღიარებს მათ და რეგიონს (ისე, როგორც აფხაზეთს) რუსეთის ინტერესების სფეროში მოაქცევს.

რუსეთი ვალდებულია, დაიცვას რუსეთის მოქალაქეები ყველგან - ოსეთშიც, აფხაზეთშიც. ეს ხომ ამ რეგიონთა ანექსიის მზაკვრული, ვერაგული ხერხია.

ახლა გავიხსენოთ, რა მოჰყვა ჩეჩნეთში სეპარატისტულ მოძრაობას? რუსეთმა სავსებით სამართლიანად გამოიყენა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ჩეჩენ სეპარატისტებს;

ახლა ის ვიკითხოთ, რატომ ართმევს რუსეთი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლის უფლებას ქართველებს საქართველოში?! თურმე ნუ იტყვით - რუსების შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში კანონიერია, რაშიც მას მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველოც თანადგომას უცხადებს, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც სეპარატისტული რეჟიმები აკონტროლებენ, რუსეთის მოსაზრებით - "უკანონო შეიარაღებული ფორმირებებია"!

გავიხსენოთ ცხინვალის რეგიონის გარშემო რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში ატეხილი აურზაური, როცა ქართველი შეიარაღებული ძალები იქ შევიდნენ ქართული მოსახლეობის დასაცავად და რუსეთიდან როკის გვირაბით შემოსული დაქირავებული კაცისმკვლელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მოდით, უფრო მეტად გავერკვეთ ამ საკითხში. ჩეჩნეთში რუსეთის შეიარაღებული ძალები კანონიერად ითვლებიან, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალის რეგიონში, საქართველოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებებია(!), ამიტომ მას უფლება არა აქვს, დაიცვას ქართული მოსახლეობა და შეებრძოლოს ამ რეგიონში რუსეთიდან შემოსულ დაქირავებულ კაცისმკვლელებს, რადგან რუსეთი რუსეთიდან შემოჭრილ ბანდიტებს (კაზაკებს, რუსებს) ამ რეგიონში კანონიერ შეიარაღებულ ფორმირებად მიიჩნევს(!), ეს ხომ გაუგონარი ცინიზმი და მკრეხელობაა კანონიერების და ადამიანურობის წინაშე. ასეთი "ლოგიკით" ცდილობენ რუსები "კონფლიქტების დარეგულირებას" აფხაზეთში, ოსეთში. რუსეთის მხრიდან ასეთი გაუკუღმართებული ლოგიკის ამოქმედების პირდაპირი შედეგია აღნიშნულ რეგიონებში კონფლიქტების დაკონსერვება, რამეთუ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აგრესიული სეპარატისტული რეჟიმის ლიდერები თავხედურად აცხადებენ უარს საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგზე. ვნახოთ, სადამდე იმუშავებს რუსების ეს "რკინის ლოგიკა".

ცხადია, რომ რუსეთის ხელისუფლების (და არამც და არამც რუსი ხალხის) მიმართ ნდობა ქართველმა ხალხმა დიდი ხანია, დაკარგა (სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ და სახელმწიფო მასმედიამ თვით რუს ხალხშიც დაკარგეს ნდობა). რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, ამ ტრაგედიაში "ქართული კვალი" ნებისმიერი საშუალებით "აღმოეჩინა", დაეფიქსირებინა, რაც საშუალებას მისცემდა მას საქართველო და მისი პრეზიდენტი საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში დაედანაშაულებინა. ეს გაუგონარი ვერაგული განზრახვა რუსეთს ჩაეფშუა. მოდით, ისიც გავიხსენოთ, როგორ ცდილობდნენ რუსი სამხედროები, რომ საქართველოსათვის დაებრალებინათ აფხაზეთსა და ოსეთში ქართული პოზიციების დაბომბვები - აქაოდა, ქართველებმა თავიანთი თვითმფრინავები გადაღებეს და დაბომბეს ქალაქი სოხუმი, ხოლო ცხინვალის რეგიონში ქართულ სოფლებს ჭრუვებს... თვით ქართველები უშენდნენო!

ეს ხომ სინდისგარეცხილი კაცის ნაბოდვარია?!

რუსეთი საქართველოს ადანაშაულებს მიღწეულ შეთანხმებათა დარღვევაში (თუმცა ამას ვერაფრით ასაბუთებენ). ჩვენ კი ამ მიმართებით რუსეთის ხელისუფალთ შევახსენებთ, რომ სეპარატისტებმა ერთიმეორის მიყოლებით დაარღვიეს შეთანხმებები:

1992 წელს მოსკოვში უმაღლეს დონეზე 3 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმება, რის შემდეგად მოხდა ჩეჩნების, აფხაზების, რუსების შეტევა გაგრაზე, გაგრის დაცემა და ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილის ფიზიკური განადგურება, როცა ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ გაგრის სტადიონზე.

სეპარატისტებმა რუსეთის აშკარა მხარდაჭერით დაარღვიეს 1993 წლის 27 ივლისს მიღწეული შეთანხმება და იმავე წლის 16 სექტემბერს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შემუშავებული გეგმის შესაბამისად წამოიწყეს (რუსეთის რეგულარული არმიის მონაწილეობით) სოხუმზე შეტევა, რასაც მოჰყვა 27 სექტემბერს სოხუმის დაცემა და ქართველთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, გენოციდი და ეთნოწმენდა. ვის მიერ? პასუხი მთელი მსოფლიოსათვის ნათელია - რუსეთის მიერ?! სეპარატისტთა მიერ ბევრი შეთანხმებაა დარღვეული, რასაც ისინი ვერ გაბედავდნენ რუსეთის მხარდაჭერა რომ არა.

დაბოლოს, რუსეთის ხელისუფლება კატეგორიული ფორმით ეწინააღმდეგება საქართველოში კონფლიქტების მოსაგვარებლად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. რატომ არ სურს რუსეთს ასეთი კონფერენციის მოწვევა?

პასუხი ნათელია, ასეთი კონფერენცია (თუ იგი მოწვეული იქნა) უეჭველად დაადგენს, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია; ამდენად, იგი ამ კონფლიქტში მხარეა. ამიტომ მას არ შეიძლება, ეკისრებოდეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ფუნქცია, როგორც კონფლიქტის შედეგით დაინტერესებულ მხარეს. ამის გამო რუსეთის შეიარაღებული ძალები დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ კონფლიქტის ზონიდან და მათ საერთაშორისო ძალები ჩაენაცვლონ.

აუცილებელია, დაჩქარდეს კონფლიქტის მოწესრიგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საფუძველზე.

SALVE ვოეზიის მოყვარულებს

B2

ერთი სალამო ქართულ-ამერიკულ თეატრში

B3

„ეს ენა მაგრად უნდა შავინახოთ"

ფერეიდნელმა ქართველებმა, როგორც იქნა, ნახეს ის მიწა, რომლის ხატებასაც მთელი ოთხი საუკუნე სათუთად ინახავდნენ.

B7

ნომრის სტუმარი

უპგ - ექიმების დირსებისთვის

მაია ჭალაბანიძე

ამ დაწესებულებას ადრე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი ერქვა. ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში დღესაც მდგარ უძველეს მაგიდასთან ყოველთვის ქართული მედიცინის კორიფეები ისხდნენ. საბჭოთა კავშირის დანგრევას, რა თქმა უნდა, ამ საკავშირო დაქვემდებარების უწყების ნგრევაც მოჰყვა, სათანადო ახალი სტრუქტურა კი აღარ შეიქმნა. ინსტიტუტი სამედიცინო აკადემიად გადაკეთდა და სულ ერთი თვეა, რაც მის ხელმძღვანელად გია მენაბდე დაინიშნა. აკადემიამ თავის თავზე აიღო მსოფლიოში აპრობირებული და აუცილებელი უწყვეტი პროფესიული განათლების (უპგ) ახალი კონცეფციის შექმნა, რომლის პრეზენტაციაც საექიმო საზოგადოებას 10 ოქტომბერს ელის. სხვათა შორის, ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა წინა ხელისუფლების დროს არსებული ანალოგიური პროგრამის დახურვა გრიბოედოვის თეატრში შეკრებილ ექიმებს საზეიმოდ ამცნო. მაგრამ ეს არ იყო უარი უწყვეტ პროფესიულ განათლებაზე. ეს იყო უარი პროგრამის იმ დეგრადირებულ და ფორმალობად ქცეულ ფორმაზე, რომელიც ექიმის ჯიბეს ურტყამდა და არც პაციენტის დაცვა იყო სადმე გათვალისწინებული. ახალი პროექტის ავტორები (მათ შორის, ჩვენი დღევანდელი სტუმარი) აცხადებენ, რომ თვისობრივად ახალ კონცეფციაზე მუშაობენ და ეს კონცეფცია არც მეტი, არც ნაკლები - ექიმთა მენტალობის შეცვლაზეა გათვლილი.

ვახო ბესელიას ფოტო

თუ განათლების და პროფესიული განვითარების უწყვეტობა ვერ მოვახერხეთ, პაციენტიც უპატრონოდ რჩება და ექიმებიც დიდ ხანს ვერ დაიბრუნებენ ღირსეული პროფესიონალების სახელს.

- ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი თავის დროზე ექიმთა გადამზადების უძლიერესი კერა იყო. მთელ მსოფლიოშია აღიარებული, რომ ექიმმა მუდმივად უნდა განაახლოს თავისი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები, რადგან ჩვენი პროფესია ცვეთადია. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს საკუთარი კლინიკა ჰქონდა *(მეცხრე საავადმყოფოდ წოდებული. ეს სახელი ამ საავადმყოფოსთვის ტროლეიბუსის მძღოლებს შეურქმევიათ, რადგან აქ ამ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ბოლო გაჩერება ყოფილა. ქალაქში სულ 8 საავადმყოფო არსებობდა, ამიტომაც გაჩერებას მეცხრე საავადმყოფო დაერქვა)*, რომელიც აკადემიას ჩამოშორდა და დამოუკიდებელი ერთეული გახდა. მუდმივი გადამზადების სისტემას ძალიან წაადგება, თუ აკადემიას ეს კლინიკა დაუბრუნდება, რადგან აქ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ძირითადი კათედრები იყო განთავსებული. ყველა პროფესიას, განსაკუთრებით ექიმის პროფესიას, მუდმივი და უწყვეტი განახლება ესაჭიროება. ყოველ დღე მიწევს ერთი და იგივე რუტინული საქმის კეთება, რაც მეხმარება ჩემი პროფესიული ჩვევების შენარჩუნებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაში. მეორე მხრივ, ყოველთვის რჩება გარკვეული არე, სადაც ჩემი პროფესიული აქტიურობა შედარებით დაბალია და შესაბამისად, ამ მიმართულებით ჩემი პროფესიული ჩვევები ერთგვარ დეგრადაციას განიცდის. ამიტომ აუცილებელია ამ ჩვევების მუდმივი განახლება და გაუმჯობესება. სწორედ ეს არის უწყვეტი სამედიცინო განათლების და პროფესიული განვითარების პრინციპიც.

- ანალოგიური პროგრამა წინა ხელისუფლებამაც განახორციელა. ექიმები ჩიოდნენ, რომ ამ პროცესს მხოლოდ მათი დრო და ფული მიჰქონდა და არავითარი ცოდნა არ მოჰქონდა. თქვენ რას გვთავაზობთ?

- წინა კონცეფციას ბევრი ნაკლოვანებებიც ჰქონდა და დადებითი მხარეებიც. ყველაზე დიდი ნაკლი სწორედ ის იყო, რომ დიდ ფინანსურ პრობლემად დააწვა ექიმს. გარდა ამისა, არ იყო გათვალისწინებული რეგიონული ხელმისაწვდომობის პრინციპი. ამიტომ სემინარზე დასასწრებად ექიმი თავის საქმეს წყდებოდა და თბილისში ჩამოდიოდა. ახალი კონცეფციით ექიმი გარკვეულწილად თავისუფლდება სწავლების გადასახადიდან (თუმცა, თანაგადახდის ზოგიერთი ფორმა რჩება) და, რაც ყველაზე მთავარია, დაცული იქნება რეგიონული ხელმისაწვდომობის პრინციპი - უწყვეტი პროფესიული განათლება ექიმთა ფართო ფენებისთვის იქნება ხელმისაწვდომი და კონცენტრირებული არ იქნება მხოლოდ თბილისში.

- რა დამცავი მექანიზმები დევს პროექტში იმისთვის, რომ ეს პროგრამაც კრედიტქულების დაგროვების ფორმალურ პროცესად არ იქცეს?

- ასეთი ბევრი მექანიზმია. უწყვეტი პროფესიული განვითარება რამდენიმე სეგმენტს მოიცავს და გვინდა, რომ ეს სამედიცინო საზოგადოებისთვის საჯარო განხილვის საგანი გახდეს. ამ ახალი პროექტით უპგ-ის სხვადასხვა ფორმები იქნება გათვალისწინებული, რომლებიც შეიძლება სამ დიდ ჯგუფში გავაერთიანოთ: (ა) უწყვეტი სამედიცინო განათლება, (ბ) უწყვეტი პროფესიული საქმიანობა და (გ) პროფესიული რეაბილიტაცია. ამათგან უკანასკნელი საჭირო ხდება მაშინ, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ექიმს ხანგრძლივად არ უწევს პრაქტიკული კლინიკური საქმიანობა.

თავის მხრივ, უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმების ნაწილი შეიძლება უშუალოდ დაწესებულებაში განხროციელდეს და ამ აქტივობებში მონაწილეობას ადასტურებს დაწესებულებაში არსებული ორგანო - საბჭო, რომელიც დაწესებულების ექიმებით იქნება წარმოდგენილი. იგივე საბჭო ან სხვა ანალოგიური შიდა ორგანო შეიძლება აფასებდეს ექიმის პროფესიული საქმიანობის ინტენსიურობას და მის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

- სად იგულისხმება პაციენტი?

- უპგ-ის სისტემის წარმატებული ფუნქციონირების შედეგი მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაა, რაც პაციენტის ინტერესებშია. დიპლომის აღების დღიდან ექიმი წარმატებულ სამედიცინო პრაქტიკას ესწრაფვის. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას სისტემა, რათა ეს გზა ყველამ გაიაროს და პირი წარმატებულ ექიმად ჩამოყალიბდეს. წარმატებული ექიმის ცნება გულისხმობს სათანადო პროფესიული კომპეტენციის მქონე ექიმს, რომელიც თავის ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობას საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად წარმართავს. ცხადია, დამეთანხმებით, ყოველივე ზემოთ მოხსენიებული, უპირველეს ყოვლისა, პაციენტისათვის არის სასიკეთო.

- რაც შეეხება სერტიფიცირებას და რესერტიფიცირებას...

- სახელმწიფოს პრეროგატივაა, დოკუმენტურად დაადასტუროს ექიმის ვარგისიანობა. ეს არის გარანტია, რომ პაციენტთან მხოლოდ სათანადო პროფესიული კომპეტენციის ექიმს ექნება შეხება. ამიტომაც სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭება პაციენტზე ზრუნვის მნიშვნელოვანი „იარაღია". რეზიდენტურის გავლისა და სერტიფიკატის აღების შემდეგ ექიმი უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში ერთვება და ეს პროცესი მთელი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში გრძელდება.

- რას გულისხმობს რეზიდენტურაში მზადება?

- რეზიდენტურა პროფესიული მზადების ძირითადი ეტაპია. კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" რეზიდენტურა სამედიცინო საქმიანობის შემადგენლად მოიაზრება. მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით აშშ-ში, სამედიცინო მომსახურების დიდ ნაწილს სწორედ რეზიდენტები ასრულებენ. თუმცა, ამ დროს რეზიდენტი არ არის სრულად დამოუკიდებელი და მის საქმიანობას ზედამხედველობას პროფესიონალი უწევს. მზადების პროცესში რეზიდენტი პრაქტიკული საქმიანობის გზით ეუფლება სპეციალობას და პროფესიონალად ყალიბდება.

- რეზიდენტურაში ექიმების მზადება შეზღუდულია და მსურველთა რიცხვი კი დიდი...

- მართალს ბრძანებთ, მაგრამ გასათვალისწინებელია სახელმწიფოს და საზოგადოების საჭიროება და შესაძლებლობაც. ამავე დროს, ახალგაზრდა შეიძლება, რეზიდენტურაში ვერ მოხვდეს, მაგრამ მას მიეცეს მზადების ალტერნატიულ ფორმებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამისათვის იქმნება ე.წ. „მოდულების" სისტემა, რომლის საშუალებითაც ექიმს სარეზიდენტო პროგრამის გავლის შესაძლებლობა მიეცემა.

- რა ეტაპებს მოიცავს ექიმის პროფესიონალად ჩამოყალიბება?

- ექიმის პროფესიონალად ჩამოყალიბება უწყვეტი პროცესია. ამ პროცესის საბოლოო მიზანი კი წარმატებული ექიმის ჩამოყალიბებაა, რომელიც ავადმყოფზე უნდა იყოს ორიენტირებული. პირველი ეტაპი დიპლომამდელი უმაღლესი განათლებაა, რასაც უნიფიცირებული შეფასება უნდა მოჰყვეს. აღნიშნულის მერე დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადება (რეზიდენტურა) იწყება. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კურსდამთავრებული დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას ექიმი სპეციალისტის სტატუსით იწყებს. პროცესის ბოლო ეტაპი, რომელიც მთელი საექიმო საქმიანობის მანძილზე გრძელდება - უწყვეტი პროფესიული განვითარებაა.

თქვენი ყურადღება უწყვეტი პროფესიული განვითარების ერთერთ ფორმაზე - ე.წ. პროფესიულ რეაბილიტაციაზე მინდა გავამახვილო, რაც აუცილებელია იმ ექიმებისთვის, რომლებიც წყდებიან პრაქტიკულ საქმიანობას. კარგ მაგალითს მოვიყვან - საზღვარგარეთის ქვეყნებში შვებულებიდან რომ ჩამოდიან, რაც უნდა გამოცდილი ექიმი იყოს, ფორმის აღსადგენად რამდენიმე ხნის განმავლობაში რეაბილიტაციას გადიან და პრაქტიკულ ჩვევებს აღიდგენენ. ეს ძალდატანებით არ ხდება და ამ პროექტის ფილოსოფიაც ეს არის - ექიმმა თავად უნდა გაიაზროს აღნიშნულის მნიშვნელობა.

- ექიმის მენტალობის შეცვლის იმედიც გაქვთ?

- რა თქმა უნდა. წარმატებული ექიმი რომ გახდე, ეს თავად უნდა გინდოდეს. ვფიქრობ, მაღალი რანგის პროფესიონალად ჩამოყალიბებას ექიმი ღირსების საქმედ უნდა თვლიდეს. თუმცა, გარკვეულ ბერკეტებს სახელმწიფო და საზოგადოებაც უნდა ფლობდეს, რადგან, როგორც მრავალჯერ დადასტურებულა, მხოლოდ ინდივიდის პროფესიული კეთილსინდისიერების იმედზე ყოფნა გაუმართლებელია. ექიმმა უნდა გაიაზროს, რომ უპგ-ში მონაწილეობა საექიმო საქმიანობის შემადგენელია და არა ქულების დაგროვების მექანიზმი. ექიმის პროფესიონალიზმის შენარჩუნება და გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ექიმის ყოველდღიურ კლინიკურ საქმიანობასთან. გარდა იმისა, რომ ექიმი მუდმივად უნდა იღებდეს და ამუშავებდეს უახლეს ინფორმაციას, ის ინტენსიურ კლინიკურ საქმიანობას უნდა ეწეოდეს. ზოგ ქვეყანაში თუ ექიმი სათანადო რაოდენობით პაციენტებს არ სინჯავს და გარკვეულ მანიპულაციებს ხშირად არ ატარებს, მას ექიმი-სპეციალისტის სერტიფიკატს (ლიცენზიას) ჩამოართმევენ. ჩვენი კონცეფციის მიხედვით, ექიმის უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეობა სრულად ყოველ ხუთ წელიწადში შეფასდება, რაც ე.წ. სერტიფიცირების პროცესთან იქნება დაკავშირებული.

- ანუ ექიმის უწყვეტი პროფესიული განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება?

- დიახ. ეს არის უწყვეტი საექიმო საქმიანობა - ავადმყოფთან მუშაობა და არა მხოლოდ ლექციები. თუ ექიმი აქტიურად მუშაობს, საკუთარი დაწესებულება ამას დაადასტურებს (ეს უფასოა), მაგრამ თუ ვერ მუშაობს, პროფესიული რეაბილიტაციის გავლა მოუწევს, რაც მისთვის ფასიანი იქნება.

- ვინ დააფინანსებს ექიმის მონაწილეობას უწყვეტი პროფესიული განვითარების სხვა ფორმებში, მაგალითად, სემინარებში, კონფერენციებში?

- ექიმის სწავლება შეიძლება დააფინანსოს იმ დაწესებულებამ, სადაც ექიმი მუშაობს, თუ ამ დაწესებულების ხელმძღვანელობას უნდა, რომ პროფესიონალები ჰყავდეს. სახელმწიფო თანაგადახდაც იქნება. ამგვარ პროგრამებს საერთაშორისო ორგანიზაციებიც აფინანსებენ. ამ პროექტების ფარგლებში პროფესიონალთა ჯგუფი შეიძლება ჩავიდეს ყველა რეგიონში და საქმიანობისგან მოუწყვეტლად ადგილობრივი ექიმები სწავლებისა და მზადების პროგრამებში ჩართოს.

- ვინ შეაფასებს ექიმთა პროფესიულ დონეს?

- პროფესიულ აქტიურობას კოლექტივი შეაფასებს. შემდეგ დოკუმენტურად წარუდგენს ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულ საბჭოს, რომელიც წარმოდგენილი იქნება წამყვანი პრაქტიკოსი ექიმებით, პროფესიული ასოციაციებით, საზოგადოების წარმომადგენლებით და არასამთავრობო ორგანიზაციებით, ვინც პაციენტების დაცვის საკითხებით არის დაინტერესებული.

- რა განასხვავებს უპგ-ს ქართულ მოდელს სხვა მოდელებისგან?

- ცხადია, საზოგადოებას სრულიად ახალს ვერაფერს შევთავაზებთ, რადგან ამ სფეროში განვითარებულ ქვეყნებს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ და მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავენ უპგ სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უპგ სისტემაში მონაწილეობა ექიმისთვის მარტივი და ხელმისაწვდომი იყოს. ექიმებს შეეძლებათ უპგ-ს გარკვეულ ფორმებში მონაწილეობა უშუალოდ სამუშაო ადგილზე, რაც გაუადვილებს მათ პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებას, შესაბამისი ქულების დაგროვებას.

მეორე მხრივ, კონფერენციები და სემინარები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარდება. დაცული იქნება რეგიონული ხელმისაწვდომობის პრინციპი - ჩავალთ და ვასწავლით, მათ შორის, პრაქტიკულ ჩვევებსაც. ეს მხოლოდ სამედიცინო აკადემიის პრეროგატივა არ არის და შეიძლება ყველა წარმატებულმა სამედიცინო დაწესებულებამ აკეთოს. მაგალითად, ჯო ენის ცენტრში წარმატებული ოპერაციები კეთდება, ახალი მეთოდებიც ბევრია. მათ შეუძლიათ, წარმოადგინონ აკრედიტებული პროგრამები და დამოუკიდებლად განახორციელონ ისინი.

- რა ბედი ეწევა იმ საავადმყოფოებს და სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ ფენებზეა გათვლილი, შეეძლებათ მათ ასეთი პროგრამების ჩატარება?

- სათანადო სამედიცინო მომსახურების ხარისხი ნებისმიერ კლინიკაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამიტომ უპგ-ში ყველა დაწესებულების ექიმი უნდა იყოს ჩართული. რაც შეეხება უპგ პროგრამების განხორციელებას, ეს დაწესებულებები შეიძლება ჩართული იყოს ამ პროცესში, თუ კი მათ ამისი სურვილი და შესაძლებლობა გააჩნიათ. შესაძლებლობაში ვგულისხმობ სათანადო კვალიფიკაციის პროფესიონალების არსებობას და გამოცდილებას. თვითონ ექიმებისთვის საუნივერსიტეტო კლინიკებში გატარებული უპგ შეიძლება საერთოდ უფასო იყოს.

რაც შეეხება, პროფესორებს - აკადემიური ხარისხი არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად კარგი ექიმია. ვისაც საექიმო საქმიანობა სურს, უწყვეტობა ყველამ უნდა დაიცვას. თუმცა, აკადემიური ხარისხის მქონე ექიმების უპგ-ში მონაწილეობა შეიძლება ინტენსიურ კლინიკურ საქმიანობასთან ერთად, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობით (სამეცნიერო პუბლიკაციები, სწავლება და სხვა) იყოს გამოხატული.

- თქვენს ინსტიტუტს სახელი შეეცვალა, შინაარსი?

- აკადემია დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების ერთადერთი კერა იყო. დღეს ის ერთ-ერთი ძირითადი კერაა. მას ექიმებთან მუშაობის თითქმის საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციებს საფუძველი კორიფეებმა ჩაუყარეს. ჩვენთან ახლა რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ხდება კათედრების ოპტიმიზაცია. უნდა შეიცვალოს საქმიანობის ძველი სტილი და თითოეულმა კათედრამ საკუთარი პროგრამა უნდა შექმნას, რომლის რეალიზაციის უნარი მას რეალურად შესწევს. უნდა განახლდეს კადრებიც. მოკლედ, ახალი სისხლი უნდა გადაისხას.

ჩვენი ახალი გუნდის პრეროგატივა და მიზანია, დამკვიდრდეს ის, რაც ქვეყანას სჭირდება. რეზიდენტურა და უწყვეტი პროფესიული განვითარება აუცილებლობაა და ქვეყანა, რომელიც ამაზე იკამათებს, აუცილებლად მოსწყდება ცივილურ სამყაროს.

- როგორ მიიღებს ამას სამედიცინო საზოგადოება, რა რეაქციას ელით?

- ვფიქრობთ, სისტემა ისე იქნება მისადაგებული, ერთი მხრივ, პაციენტისა და საზოგადოების, ხოლო მეორე მხრივ - ექიმების საჭიროებებთან, რომ წინააღმდეგობას არ ველით. თუმცა, ჩვენს კონცეფციაში ცვლილებების შეტანისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა ყოველთვის იქნება. თუ არაკონსტრუქციული წინააღმდეგობა იქნება, სიმართლე გითხრათ, შეიძლება ადამიანმა ყველაფერზე აიყაროს გული. უპგ პაციენტის დასაცავი და ექიმის ღირსების შენარჩუნების ერთადერთი გზაა - გვაქვს დაბალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკმაოდ სუსტი საგანმანათლებლო სისტემა და თუ განათლების და პროფესიული განვითარების უწყვეტობა ვერ მოვახერხეთ, პაციენტიც უპატრონოდ რჩება და ექიმებიც დიდ ხანს ვერ დაიბრუნებენ ღირსეული პროფესიონალების სახელს.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
პრემიერა
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე. რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ

ქართული ფოლკლორის თეატრი
“ნაბადი”
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
დას: 20:00 სთ

გამოფენები

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენა

ძველი გალერეა
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ქარვასლა
პროექტი “სამშაბათი გასულია”
შვეიცარიელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

პოლ კალჰუნის (აშშ) და მისი მოწაფეების ფოტონამუშევართა გამოფენა "ხელოვნება დაუცველთათვის"

ლია ბაგრატიონის ნამუშევართა პერსონალური გაომფენა (კერამიკა)

სურათების ეროვნული გალერეა
“თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში”

კინოთეატრები

ამირანი
“შრეკი 2”
ფასი: 6-8 ლარი
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

“ბორნის იდენტიფიკაცია”
ფასი: 9 ლარი
დას: 20:00; 22:00 სთ.

რუსთაველი
“გარფილდი”
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

“ნამდვილი მამაკაცი”
დას: 18:0 სთ.

“მე, რობოტი”
დას: 20:00; 22:00 სთ

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

როგორ მოვიპოვოთ მილიონი

ოპერის თეატრში მეურვეთა საბჭო იქმნება

მადი სერებრიაკოვა

ბოგიჭა ბუხაიძის ფოტო

ოპერის მეურვეთა საბჭოს პირველ შეხვედრაზე.

"ხელოვნებას ფული არ შემოაქვს, ხელოვნება ფულს ხარჯავს, სამაგიეროდ იგი ზრდის ადამიანებს, საზოგადოებას" - აღნიშნა ცნობილმა ქართველმა ბალერინამ, ამჟამად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელმა, ნინო ანანიაშვილმა გუშინ გამართულ თეატრის მეურვეთა საბჭოს პირველ შეხვედრაზე. ეს შეხვედრა მეურვეთა საბჭოს არაფორმალურ პრეზენტაციას წარმოადგენდა. საბჭოს საქართველოს პირველი ლედი - სანდრა რულოვსი უხელმძღვანელებს. მასთან ერთად საბჭოს მუშაობას კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე, საელჩოების, ბიზნესწრეების და რა თქმა უნდა, თავად თეატრის წარმომადგენლები გაუძღვებიან. მეურვეთა საბჭოს ფუნქციას რაც შეეხება, როგორც მინისტრმა გაბაშვილმა აღნიშნა, საბჭოს წევრები ერთგვარი “ფანდრაიზერები” იქნებიან, რომლებიც თეატრს უამრავი არაშემოქმედებითი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებიან.

მეურვეთა საბჭო მსოფლიოს ბევრ წამყვან თეატრთან არსებობს. ეს პრაქტიკა საქართველოში პირველად სწორედ ოპერის თეატრში დაინერგება. **“მთელ მსოფლიოში ოპერის თეატრის მეურვეთა საბჭოს წევრობა საპატიო საქმეა და ძალზედ პრესტიჟულად ითვლება. საბჭოში ის ადამიანები უნდა შევიდნენ, ვისაც ამის მორალური უფლება ექნება”** – აღნიშნა თეატრის ახალმა ხელმძღვანელმა დავით საყვარელიძემ. საბჭო არ ჩაერევა თეატრის შემოქმედებით გეგმებში, სამაგიეროდ მათი განხორციელების გზების ძიებაზე იზრუნებს. მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და ბიზნესის წარმომადგენლები. ნებისმიერი ქვეყნისთვის ოპერა ძალზედ ძვირადღირებული ფუფუნებაა, ამიტომ მის შენახვა-პატრონობაზე კომპლექსური ზრუნვაა საჭირო. მეურვეთა საბჭო სწორედ იმ მიზნით იქმნება, რომ პრობლემათა და ამოცანათა კოორდინირება მოახდინოს და თეატრის დასს მშვიდობიანი შემოქმედებითი ცხოვრების საშუალება მისცეს.

დღეს, საოპერო თეატრს უამრავი პრობლემა აქვს. მათი უმეტესობა საბოლოოდ ერთ ყველაზე დიდსა და გადაუჭრელ პრობლემამდე - ფინანსებამდე დადის. სწორედ ფინანსური რესურსების სიმცირეს უკავშირდება თეატრში ღირსეული კადრების დეფიციტი, ახალი დადგმების სიმცირე და უხარისხობა და ა.შ. იმისთვის რომ კარგი მსახიობი მოიწვიო, მას კარგი სპექტაკლი უნდა შესთავაზო. კარგი სპექტაკლის მომზადებას ძლიერი დასი, ორკესტრი, გუნდი, კორდებალეტი სჭირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ დეკორაციაზე, განათებასა და კოსტიუმებზე. ამჟამად თეატრის ტექნიკური შესაძლებლობებიც ძალზედ შეზღუდულია. მეურვეთა საბჭოს სხდომას ანდრეი ლუკიანოვი ესწრებოდა, რომელიც მრავალი წამყვანი თეატრის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე ზრუნავს: **“თეატრის ახლანდელი ტექნიკური საშუალებები 70-იან წლებში დამონტაჟდა. რა თქმა უნდა, დღეს ისინი ვეღარ პასუხობენ მოთხოვნილებებს. ამ ყველაფრის შეცვლა ადვილი არ არის. საჭიროა შეიქმნას სერიოზული პროგრამა იმიტომ, რომ ერთი ნაწილის გამოცვლით პრობლემა არ მოიხსნება. ყველაფერი სისტემურად უნდა შეიცვალოს.”**

ოპერის თეატრის სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფაზე მეურვეთა საბჭოს კიდევ ერთი წევრი, ლევან დვალი იზრუნებს. თეატრის ტერიტორიასა და მიმდებარე სკვერის იერ-სახეზე კი ქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე იღებს პასუხისმგებლობას. კულტურის მინისტრმა თეატრის ხელმძღვანელობას არაერთგვაროვნი დახმარება აღუთქვა. პირველ რიგში, მომავალი წლიდან ოთხჯერ გაიზრდება საბიუჯეტო დაფინანსება. სამინისტრო დაეხმარება სადადგმო ხარჯების ანაზღაურებაშიც. ნინო ანანიაშვილმა მინისტრისა და მმართველობითი სტრუქტურების წარმომადგენლების მიმართ დიდი მადლიერება გამოთქვა, რადგან ჯერჯერობით ისინი ყველა დანაპირებს პირნათლად ასრულებენ და მათი დახმარებით ნოემბერში სრულფასოვანი საბალეტო პრემიერა იგეგმება.

თეატრის შემოქმედებითი გეგმების განსახორციელებლად განსაკუთრებულ იმედებს უცხო ქვეყნების საელჩოებსა და ორგანიზაციებზე ამყარებენ. მეურვეთა საბჭოს წევრად მიწვეულები არიან იტალიის, ამერიკისა და საფრანგეთის ელჩები და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, გოეთეს ინსტიტუტისა და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლები. როგორც ნინო ანანიაშვილმა და დავით საყვარელიძემ აღნიშნეს, მათ უცხოელი დირიჟორების, შემსრულებლების, კონცერტმეისტერების, ქორეოგრაფებისა და სხვა სპეციალისტების მოწვევა აქვთ დაგეგმილი. ამ საქმეში მათ სწორედ უცხოური ორგანიზაციებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების იმედი აქვთ.

მეურვეთა საბჭოში ჩაერთვება ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელიც. დავით საყვარელიძემ ეკონომიკის მინისტრს მიმართა თხოვნით, რათა მას საბჭოს წევრად “ერთი წესიერი ადამიანი” გამოეგზავნა. ასევე მეურვეთა წრეს შეუერთდებიან საზოგადოების წარმომადგენლები და თეატრის დასის წევრებიც. მათ შორისაა მწერალი ლაშა ბუღაძე, მომღერალი რეზო ლაგვილავა. ბიზნეს-წრეებს კი გუშინ ბანკი “რესპუბლიკა”-ს ხელმძღვანელი ლაშა პაპაშვილი წარმოადგენდა.

მეურვეთა საბჭოს ხელმძღვანელი სანდრა რულოვსი პირველივე სხდომაზე აქტიურად შეუდგა საკუთარი მოვალეობების შესრულებას. დანარჩენ მეურვეებსა და თეატრის ხელმძღვანელობას მან გუშინდელი და ყველა მომდევნო სხდომის საგულდაგულო შეფასება და ძირითადი დაპირებების დაფიქსირება მოსთხოვა, რათა მომავალ სხდომაზე ისინი დაწვრილებით განიხილონ და კონკრეტულ შედეგებზეც იმსჯელონ: **“მინდა საბჭო ძალიან მოქმედი იყოს და არ დარჩეს მხოლოდ ოცნებებისა და აზრთა გაზიარების ადგილად.. მე ვესწრები სპექტაკლებს და რეპეტიციასაც დიდი სიამოვნებით დავესწრები.”** პირველი ლედის საქმიანი პათოსი მხირულად აიტაცეს თეატრის ხელმძღვანელებმა და მას ორკესტრში ადგილიც შესთავაზეს. პირველი ლედის უარი მხოლოდ იმ ფაქტმა განაპირობა, რომ საკუთარი ფლეიტა მას კონსერვატორიისთვის გადაუცია საჩუქრად. ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი, მან ყველა წევრის ელექტრონული ფოსტის მისამართი ჩაიწერა და, ალბათ, სამომავლო გეგმებზე ვირტუალურ დისკუსიას მოაწყობს.

მათ, ვისაც მეურვეთა საბჭოში ჯერჯერობით ადგილი არ მოეძებნა, გიორგი გაბაშვილმა კიდევ ერთი ორგანიზაციის “ოპერის თეატრის მეგობართა წრის” შესახებ აუწყა. “მეგობართა წრეც” უახლოეს მომავალში დაფუძნდება. მას ეყოლება თავისი “ოქროს” და “ვერცხლის” და იქნებ – “პლატინის” წევრებიც, რომლებიც თავიანთი ინვესტიციების მიხედვით შესაბამის დაფასებასა და ყურადღებას დაიმსახურებენ თეატრის მხრიდან.

მეურვეთა საბჭოს თავმჯდომარე მომავალ სხდომას უახლოეს ხანში დანიშნავს. მანამდე კი თითოეულ წევრს საშინაო დავალებად, თეატრის დასახმარებლად საკუთარი რესურსებისა და იდეების მობილიზება ეძლევათ.

SALVE პოეზიის მოყვარულებს

თამარ სუხიშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

“გმირი ვიყავი რადგანაც ლექსის, არა მოწმე და არა ავტორი, ავამღვრიე და ფსკერამდე შევსვი დინება მშვიდი, ჩუმი და მდორე...”

დათო მაღრაძე

“რაც რამე ხდება ამ ახალ წიგნში
ყველა ამბავი იცოდე მე ვარ,
მქონდა ცხოვრების აცდენის შიში,
რომელიც ყველა კრებულში შევა“.

- ვკითხულობთ მოსაწვევში, ეს ნაწყვეტია დათო მაღრაძის ლექსიდან “გრიფით საიდუმლო”. ამ მოსაწვევს კი დათო მაღრაძის პოეზიის თაყვანისმცემლები დღეს უკვე სამახსოვროდ შეინახავენ, “გრიფით საიდუმლო” ავტორის ხელნაწერია ავტორისეული ავტოგრაფით.

გუშინ კინომსახიობთა თეატრში დათო მაღრაძის პოეზიის საღამო გაიმართა, უფრო სწორად, ლექსების საღამო. ასე დაარქვეს და ჩვენც ასე მოვიხსენიებთ. ლექსების დიდი ნაწილი დათო მაღრაძემ კრებულიდან - “პოეტს+” წაგვიკითხა. ეს კრებული საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრმა და ლიტერატურულმა კაფემ 2003 წელს გამოსცა. თუმცა, ძველი ლექსებიც მოვისმინეთ და სულ ახლებიც.

“მადლობა ყველას, ვინც დღეს ლექსისთვის მოიცალა, რადგან სადაც ლექსი არ იწერება, იქ საჩივრები იწერება ხოლმე...” - ხუმრობს დათო მაღრაძე და საღამოც იწყება.

პირველი ლექსით პოეტი რეჟისორ ელდარ შენგელაიას ეხმიანება, მისი ფილმის იმ ეპიზოდს, ბიძია-ბაბუა და ერთაოზი რომ მიფრინავენ. მერე კი დარბაზიდან ელდარ შენგელაია ეხმიანება დათო მაღრაძეს, რომელსაც საღამოს ორგანიზატორმა სტუდენტებმა სხვა საჩუქრებთან ერთად საკუთარი პორტრეტიც გადასცეს: “ცხვირი ჰგავს? – ჰგავს”. ასე ხუმრობა-ხუმრობაში ლექსების საღამოც იშლება: “კარნავალი”, “თბილისური რაფსოდია”, “ამარკორდი ფიქრის გორაზე, სალამი ყველას და ტონინო გუერას” და მრავალი სხვა. ასე ხუმრობა-ხუმრობაში სევდაც შემოდის: “ძველი სახლის ჭერი კედელს დაშორდა... ნანგრევებში მოყვა ჩემი ბავშვობა...”, “წვიმის შემდეგ ხომ წვიმაც ჩაივლის...” დათო მაღრაძე, როგორც ყოველთვის, პოლიტიკურ მოვლენებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. დარბაზში ტევა აღარ არის. ფოიედან ე.წ. დამატებითი სკამები შემოაქვთ. ჩემს ზურგს უკან ახალგაზრდები სხედან და დროდადრო მესმის, როგორ გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთიმეორეს: ეს ლექსი ვიცი, შენ გახსოვს?

გუშინდელ საღამოზე დათო მაღრაძემ ბევრი რამ გაიხსენა და ჩვენც გაგვახსენა. გაიხსენა ძველი მეგობრებიც, მათ შორის მხატვარი ვატი დავითაშვილი, რომლის ნახატების რეტროსპექტივაც იქვე მოეწყო ეკრანზე პროეცირებული სლაიდების მეშვეობით “ჩაკრულოს” ძველი ვერსიის ფონზე.

SALVE – “სალამი” ეწერა იმ სახლის სადარბაზოში, სადაც დათო მაღრაძე ბავშვობაში ცხოვრობდა. მის ერთ ახალ ლექსსაც SALVE ჰქვია. როგორც თავად პოეტმა გაგვიმხილა, ახალ კრებულსაც ამ სახელს დაარქმევს. SALVE მის ბოლოდროინდელ განწყობას გამოხატავს, განწყობა კი ასეთია:

“ეს ქალაქი არ ყოფილა გავლით,
ვინც შეეხო, ექცა ბედისწერად”.

„როლექსით” მაჯაზე

ვახო ბასილაძის ფოტო

დავით ლორთქიფანიძე.

დღეს პარიზში “როლექსი” მეცნიერებს დააჯილდოებს. დღეს საღამოს გახდება ცნობილი, მიიჩნევს თუ არა საერთაშორისო ჟიური ქართველი მეცნიერის, დავით ლორთქიფანიძის “მომავლის მუზეუმს” ხუთიდან ერთ პროექტად, რომელსაც კაცობრიობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. “როლექსის” ჯილდოებს ხომ სწორედ ამ ნიშნით გადასცემენ საუკეთესო პროექტების ავტორებს.

“24 საათი” აპრილში წერდა, რომ ქართველი მეცნიერი, ცნობილი პალეანთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე მოხვდა კონკურსის საუკეთესო ოცდახუთეულში, საიდანაც დღეს ხუთ მეცნიერს გამოარჩევენ. რიგით მეთერთმეტე “როლექსის” დაჯილდოების ცერემონიალი - “როლექსის” ჯილდო ინიციატივებისათვის”, პარიზში დღეს საღამოს 9 საათზე დაიწყება.

წლევანდელ კონკურსზე 117 ქვეყნიდან 1703-მა ადამიანმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. მათ შორის საუკეთესოებს საერთაშორისო ჟიური გამოარჩევს. ჟიურის ხელმძღვანელობს Rolex S.A.-ის აღმასრულებელი დირექტორი პატრიკ ჰეინიგერი. წევრებს შორის კი არიან: ფრანგი პალეოანთროპოლოგი და პრეისტორიკოსი; აშშ-ში WWF-ის ფონდის პრეზიდენტი; ბუენოს აირესის უნივერსიტეტის პრეზიდენტი; იაპონელი ასტრონავტი; ბრიტანელი ფილანტროპი და ა.შ. “24 საათი” კონკურსის შედეგებისა და დეტალების შესახებ მასალას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

დიზაინი მიუნხენიდან

“გოეთეს ინსტიტუტი” გრაფიკული დიზაინის მოყვარულებს ელის. ამ უკანასკნელთ ზანდუკელის ქუჩაზე თანამედროვე დიზაინის სახელოვანი ოსტატების – პიერ მენდელისა და კლაუს ობერერის ცნობილი პლაკატების ექსპოზიციის ნახვის შესაძლებლობა 18 ოქტომბრამდე ექნებათ. ექსპოზიციის სახელწოდებაა Lr art pour lr art.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გერმანული პლაკატები გოეთეს ინსტიტუტში.

გრაფიკული დიზაინის სტუდია “მენდელი & ობერერი” 1961 წელს მიუნხენში დაარსდა. სტუდიის ძირითადი სამუშაო სფეროებია: ახალი სარეკლამო კონცეფციების შექმნა, პლაკატების, წიგნისა და შესაფუთი მასალის გაფორმება, არქიტექტურული გრაფიკა. სტუდიაში ფუნქციები მარტივადაა განაწილებული: პიერ მენდელი კონცეფციასა და ვიზუალურ მხარეზე მუშაობს, კლაუს ობერერი კი – რეალიზაციასა და ორგანიზაციაზე. ამ წარმატებული ტანდემის შექმნამდე ორივე გრაფიკოსი დამოუკიდებლად მოღვაწეობდა.

პიერ მენდელი 1929 წელს ქალაქ ესენში დაიბადა. 1934 წელს ემიგრირებული მენდელი 1947 წლამდე ცხოვრობდა და სწავლობდა საფრანგეთში. 1947 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში. 1953 წელს პიერ მენდელი საფრანგეთში ბრუნდება და ხუთი წლიწადი ოჯახის კუთვნილ ქსოვილების ქარხანაში მუშაობს. 1958 წელს ბაზელის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს გრაფიკულ დიზაინს არმინ ჰოფმანთან. 1960 წელს მიხეილ ენგელმანთან ხანმოკლე მუშაობისას კლაუს ობერერს გაიცნობს და მასთან ერთად 1961 წელს აარსებს სტუდიას "მენდელ & ობერერს" მიუნხენში. პიერ მენდელი Alliance Graphique Internationale-ს წევრია. რაც შეეხება კლაუს ობერერს, ის ბაზელიდანაა (1937 წელს დაიბადა). 1955-დან 1959 წლამდე გრაფიკულ დიზაინს ბაზელის სამხატვრო აკადემიაში არმინ ჰოფმანთან სწავლობდა. მიუნხენში, მიხეილ ენგელმანთან ორწლიანმა თანამშრომლობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა – გაიცნო პიერ მენდელი და მასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სტუდიას, რომელიც ათწლეულებია უკვე გრაფიკული დიზაინის საუკეთესო ნიმუშებს ქმნის. გუშინ “გოეთეს ინსტიტუტში” გერმანელი გრაფიკოსების პლაკატების გამოფენა ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე გაიხსნა.

24 საათი

„ძაღლ იყოს..."

ერთი საღამო ქართულ-ამერიკულ თეატრში

ლია თოფურია
ვაშინგტონიდან

ქართულ-ამერიკული სპექტაკლი.

24 სექტემბრის თბილ, წყნარ საღამოს ვაშინგტონის ერთ ლამაზ რაიონში, როსლინში, როსლინ-სპექტრუმის სცენაზე ნამდვილი ქარიშხალი ბობოქრობდა. ეს იყო "კლასიკა-სინეტიკ თეატრის" ქართულ-ამერიკული დასის დადგმა "სტუმარ-მასპინძელი". მოუთმენლობისაგან, თეატრში მეტისმეტად ადრე მივედით. ხუმრობა ხომ არ იყო – ამერიკაში ვაჟა-ფშაველა უნდა გვენახა. სინათლე რომ ქრებოდა, ჩემმა დამ წამჩურჩულა: "ნეტავ, როგორ თარგმნეს "ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა?" რა თქმა უნდა, პოემის სიუჟეტი თარგმნილია სადა, გასაგები ენით, საერთოდ, ტექსტი ნაკლებად, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში გამოიყენება. სამაგიეროდ, პანტომიმა, შესანიშნავი მუსიკა, ბრწყინვალე ქორეოგრაფია, შემსრულებელთა ცეცხლოვანი ტემპერამენტი – და ფრიად შთამბეჭდავი სანახაობა მივიღეთ. სცენაზეც და დარბაზშიც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები იყვნენ. სპექტაკლის დასასრულს გამართული, საკმაოდ ხანგრძლივი ოვაცია შემდეგ უკვე, სცენიდან ჩამოსულ მსახიობთა და მაყურებელთა შორის გაცნობით, მისალმებით, მილოცვებითა და ხვევნა-კოცნით გრძელდებოდა...

თეატრი სინეტიკი მრავალფეროვანი თეატრალური ელემენტების შერწყმით შეიქმნა. როგორც თეატრის მთავარი რეჟისორი პაატა წიქურიშვილი ამბობს, "თეატრი ცდილობს დაამკვიდროს ნოვატორული ფორმა თეატრალურ ხელოვნებაში – ეს არის დრამატული თეატრისა და პანტომიმის შერწყმა. რაც შეეხება "სტუმარ-მასპინძელს", ვაჟას ეს შედევრი შემთხვევით არ ამირჩევია. საქართველოდან ემიგრირებულმა, 11 სექტემბრის მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ, იდეოლოგიების დაპირისპირების და ტერორიზმის თარეშის ეპოქაში აქტუალურად მეჩვენა ჩვენს კლასიკაში ასახული, ტოლერანტობის, ადამიანური თანადგომის, რელიგიური განსხვავების მიუხედავად ურთიერთთავგანწირვის პრეცედენტი."

ვაჟას პოემის მიხედვით პიესა დაწერა რონალდ რიდმა, რეჟისორია პაატა წიქურიშვილი, ქორეოგრაფი – ირინა წიქურიშვილი, მხატვარი – გიორგი ალექსი-მესხიშვილი, მუსიკალური გაფორმება – ვატო კახიძის. ძალიან სერიოზული ნამუშევარია აღაზას ტრაგიკული სახე (ირინა წიქურიშვილი) და ზვიადაური (ირაკლი კავსაძე). ჯოყოლას როლში გრეგ მარცულო (ამ როლის მეორე შემსრულებელი პაატა წიქურიშვილია) ძალიან შთამბეჭდავია და ნამდვილი კავკასიური ტემპერამენტით ასრულებს. კახი კავსაძის (მუსა) გამოჩენას დარბაზი ტაშით შეეგება. ჩვენთვის ასე ნაცნობი ხმით წარმოთქმული, ვაჟას სიტყვები ინგლისურ ენაზე საოცარი მოსასმენი იყო. დანარჩენი შემსრულებლები არიან: მულა – არმანდ სინდონი, ზვიადაურის ცოლი – ქეთრინ გასტა, ჯოყოლას შვილი – ირინა კავსაძე და სხვები.

სპექტაკლის შემდეგ ბატონ კახი კავსაძეს და მის ვაჟიშვილს ირაკლი კავსაძეს ვხვდები, მალე შვილიშვილიც გვიერთდება. დიახ, ამ სპექტაკლში კავსაძეების სამი თაობა მონაწილეობს. ირაკლი დაღლილობისგან ფეხზე ძლივს დგას, ორიოდე სიტყვით გასაუბრების შემდეგ, - ხვალ ასეთი ორი სპექტაკლი მაქვსო, - ბოდიშის მოხდით გვემშვიდობება. ბატონ კახისთან ერთად დაცარიელებული დარბაზის (მხოლოდ "შინაურები" დარჩნენ) სკამებზე მოვკალათდით. იგი მისთვის ჩვეული ენერგიულობით და ხალისით გვესაუბრება. სულ არ ეტყობა, რომ ცოტა ხნის წინ სცენაზე იდგა. "ჯერ ნიუ იორკში ვითამაშე ამ სპექტაკლში, მერე გავფრინდი თბილისში. სხვათა შორის, იქ ყველა მეკითხებოდა: ამერიკელებმა როგორ გაიგეს ვაჟა-ფშაველაო. ამაზე მუდამ მეცინება. ეს ნაწარმოები ხომ პიროვნების ღირსებას, მის ხელშეუხებლობას ეხება. ღირსება ჩვენში, რაც თავი მახსოვს, მუდამ გათელილი იყო. ამერიკელებმა კი ეს დიდი ხანია, გაიგეს. ასე რომ, ეს ნაწარმოებიც შესანიშნავად აღიქვეს და გულთან მიიტანეს. როდესაც "სტუმარ-მასპინძელი" საქართველოში იდგმება, ყოველთვის სიტყვა, ლექსი დომინირებს. აქ კი სხვა ხერხებით ითქვა სათქმელი. რაც შეეხება ამერიკელებს, ესენი ისე გულწრფელად გამოხატავენ აღტაცებას, ისე ბავშვურად უშუალოები, კონტაქტურები არიან, რომ მათთან მუშაობა ძალიან ადვილია. პუბლიკაც ძალიან კარგად იღებს და აფასებს ყველაფერს. რომ გითხრათ, მე ჩემი ამერიკული კარიერის გაკეთებას ვაპირებ-მეთქი, ეს მეტისმეტი იქნება. აი, პაატამ "შერეკილები" რომ დადგა, უნდოდა, მე მეთამაშა "ბიძია-ბაბუა". უნდა გამოგიტყდეთ, არც ერთ როლზე განსაკუთრებულად არასოდეს მიოცნებია. ვთამაშობ, რასაც მაძლევენ. ახლა, დარდით რომ მოვკვდე, რატომ არ ვარ იაპონიის იმპერატორი-მეთქი, სწორი იქნება? მაგრამ, თავის დროზე, სანამ ფილმს გადაიღებდნენ, სცენარი რომ წავიკითხე, ეს პერსონაჟი რაღაც განსაკუთრებულად მომეწონა. შემდეგ კი ისე ფანტასტიკურად ითამაშა ვასილ ჩხაიძემ და ისე გაახმოვანა ეროსი მანჯგალაძემ, ამაზე მეტის წარმოდგენაც შეუძლებელია. ჩემთვის ვფიქრობდი, თუ ოდესმე სცენაზე დაიდგმება და მე შემომთავაზებენ, დიდი სიამოვნებით ვითამაშებ-მეთქი. და ახლა პაატამ მომმართა ამ წინადადებით. მაგრამ მე ისეთი განცდები მქონდა გადატანილი "სტუმარ-მასპინძლის" ტექსტთან, ინგლისურ გამოთქმებთან დაკავშირებით, არა ბატონო.... თანაც, ამ დაზეპირებულ სიტყვებს ჩემთვის ინფორმაცია არ მოაქვს. მაგალითად, რომ ვამბობ: "მე შენს სისხლს დავლევ!", ზუსტად ვიცი, რა ინტონაციით უნდა ვთქვა, ამ "ბლად"-ს კი ჩემთვის სრულიად სხვა ინფორმაცია მოაქვს. ტექსტის გრძნობა ძალიან მნიშვნელოვანია.

მერე, აქ ხომ ასეა – 30-40 წარმოდგენა და მორჩა, სპექტაკლი აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში კი უპრეცედენტო რამ მოხდა - მთელი თვით გააგრძელეს ვადა. მოკლედ, ძალიან დავიღალე. თანაც, თბილისში, გიორგი შენგელაიას ახალ ფილმში გადაღებები დაწყებული გვაქვს..."

კიდევ დიდხანს ვსაუბრობთ თეატრის პერსპექტივებსა თუ პრობლემებზე. ეს თეატრი შეწირულობებით არსებობს. კახი კავსაძემ, ვატო კახიძემ, გია ყანჩელმა, გოგი მესხიშვილმა სპექტაკლისთვის უფასოდ იმუშავეს.

სპექტაკლს აშშ-ში შესანიშნავი პრესა ჰქონდა:

"ვაშინგტონ პოსტი" – სუნთქვისშემკვრელი...

"ნიუ იორკ ტაიმსი" – ჭეშმარიტი ხელოვნება...

"ნიუ იორკ მეგეზინ" – ცეკვის და დრამის განსაცვიფრებელი შერწყმა...

"ვაშინგტონ პოსტი" – ყველაზე მთავარი, რისთვისაც თეატრში მიდიხარ...

"ნიუ იორკ ტაიმსი" – ცეკვის და დრამის ელეგანტური ნაზავი...

სპექტაკლში მონაწილეობდა ნიუ იორკის საერთაშორისო ფესტივალში და დაჯილდოდა საუკეთესო სცენოგრაფიისათვის. პიესამ, რეჟისურამ, ქორეოგრაფიამ და დიზაინმა ჰელენ ჰაისის პრემია მიიღო.

ამ ინტერნაციონალურ დასს დადგმული აქვს ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა", რომლის ორიგინალურ გადაწყვეტას ფართო რეზონანსი მოჰყვა; აგრეთვე, შექსპირის "ჰამლეტი", გაბრიაძის "შერეკილები". 2005 წლისთვის დაგეგმილია "ბოჰემა", "იასონი და არგონავტები", საბავშვო სპექტაკლები, თოთების თეატრი და მრავალი სხვა, რაც ერთი წერილის ჩარჩოებში არ ეტევა. იქნებ, ქართველ მაყურებელსაც მიეცეს ამ უაღრესად საინტერესო დასის სპექტაკლების ნახვის შესაძლებლობა, თუ, რა თქმა უნდა, მონდომება იქნება და ღვთის წყალობა.

ლუდის ერთგულებით რასიზმისა და სექსიზმის წინააღმდეგ

სკინჰედების ისტორიიდან

ირმა კახურაძვილი

სკინჰედების საყვარელ გასართობად კვლავაც ჩხუბი რჩებოდა, დანარჩენ დროს ისინი პაბებში ატარებდნენ, ცეკვავდნენ შავი კონტინენტიდან ინტეგრირებულ მუსიკა სკაზე, იცმევდნენ უსაყელო ქურთუკებს, ჯინსებს, რომლებსაც მოდაში შემოსული "პადტიაჟკებიც" დაემატა.

ისინი ჩვეულებრივი ახალგაზრდები იყვნენ - მუშაობდნენ პორტში, საამქროებში, ანდა უსაქმურობდნენ. წვიმისგან ჩამუქებული ვიწრო ქუჩები და უფმური ქარხნული საყვირის ხმა - ეს იყო მათი ცხოვრების ერთფეროვანი სურათი.

ლეგენდის მიხედვით, ერთ მშვენიერ დღეს მეზღვაურებთან მორიგი შეხლა-შემოხლის მოლოდინში "ჩვეულებრივი ახალგაზრდები" პაბში შეიკრიბნენ. ერთმანეთის ცემა-ტყეპა აქ ერთადერთი გასართობი იყო. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ - ჩხუბი უმნიშვნელო მიზეზმა გამოიწვია და ბიჭებიც კარგად გაილახნენ. გაბრაზებულ გულზე ქურთუკებს საყელოები შემოახიეს, მარვლები ჩაივიწროვეს, თმა გადაიპარსეს და მუშური ტიპის ფეხსაცმელში გამოეწყვნენ. თითქოს ამით უმტკიცებდნენ ყველას, რომ სამომავლოდ უფრო აგრესიულები და დაუნდობლები იქნებოდნენ. ახალი, სკინჰედებად (თავგადაპარსულები) წოდებული იმიჯი, სხვა მუშებმაც აიტაცეს.

იმ დროისათვის ლონდონში უამრავი სამუშაოს მაძიებელი ჩადიოდა, მათ შორის იამაიკელებიც, რომელთა უმრავლესობა სამსახურს ვერ პოულობდა და სოციალური დახმარების იმედად, დროს ქუჩებში ხეტიალით კლავდა. იამაიკელები საკუთარ თავს უხუშებს უწოდებდნენ. მათ არც თეთრკანიანი ახალგაზრდები ემტერებოდნენ, პირიქით, სიამოვნებით უსმენდნენ იამაიკურ მუსიკას, ეწეოდნენ მარიხუანას, თუმცა, ისევე როგორც ადრე, ლუდის ერთგულნი რჩებოდნენ.

პოლიტიკური შეხედულებებიც ჭრელი ჰქონდათ. იამაიკელები ხშირად საუბრობდნენ შავკანიანთა "ძმობაზე" და მათ პრობლემებზე, ზოგიერთი თეთრკანიანი კი მემარჯვენე პარტიებს უთანაგრძნობდა. რასიზმი და შოვინიზმი ხსენებაშიც კი არ იყო. თეთრი და შავკანიანი სკინჰედები ერთობლივად ესხმოდნენ თავს საშუალო კლასის უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს, რომლებიც უმეტესწილად როკერ-რასისტებისგან შედგებოდნენ (როკერ-რასისტები მემარჯვენე პარტიების მიტინგებზე წესრიგს ამყარებდნენ).

60-იანი წლების დასაწყისში სკინჰედები შოვინიზმისა და რასიზმის ტალღამ აიტაცა, თუმცა სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თავდაპირველად მათი მოძრაობა სწორედ ინტერნაციონალური პროლეტარიზმზე იყო დამყარებული. სკინჰედების საყვარელ გასართობად კვლავაც ჩხუბი რჩებოდა, დანარჩენ დროს ისინი პაბებში ატარებდნენ, ცეკვავდნენ შავი კონტინენტიდან ინტეგრირებულ მუსიკა სკაზე, იცმევდნენ უსაყელო ქურთუკებს, ჯინსებს, რომლებსაც მოდაში შემოსული "პადტიაჟკებიც" დაემატა. საღამოობით კი "უხეშების" მსგავსად მკაცრ შავ შარვალ-კოსტიუმებში იმოსებდნენ.

სკინჰედებს ხშირად ჰქონდათ უსიამოვნება პოლიციასთან, ასევე, სხვა სუბკულტურების წარმომადგენლებთან. განსაკუთრებით კი ჰიპები აღიზიანებდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი საშუალო კლასის უმაღლესი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ჰიპის - ერთი შეხედვით, დაუვარცხნელსა და მოუვლელ ახალგაზრდას, ყოველ წუთს შეეძლო შეძლებული "მამიკოსა" და "დედიკოს" კალთას ამოფარებოდა. სკინჰედი კი "დაუცველი" მუშათა კლასიდან იყო, რომელიც უფუნდობის გამო უმაღლეს განათლებას ვერასდროს მიიღებდა...

1972 წლისთვის სკინჰედების მოძრაობა შენელდა, ბევრმა თმაც გაიზარდა და მუშური "ბათინკები" სხვენში გადაინახა. 70-იანების ბოლოს კი პანკროკის ბუმმა ახალი მუსიკა - "ოი" მოიტანა. ეს იგივე პანკ-როკი იყო, მაგრამ სიმღერების ტექსტები არა მხოლოდ სასმელსა და გოგონებს ეხებოდა, არამედ მშრომელთა კლასს, მექრთამე პოლიტიკოსებსა და ქვეყნისადმი სიყვარულს. გამოცოცხლებული სკინჰედების დევიზი გახდა - "მიყვარს ჩემი ქვეყანა, ვერ ვიტან მთავრობას". ინგლისური ოი-ჯგუფები მღეროდნენ რეალურ ახალგაზრდულ პრობლემებზე: უმუშევრობაზე, არაჯანსაღ სწრაფვაზე ხელისუფლებაში, პატიმრებზე.

სკინჰედების პოპულარობა გასცდა მუშურ უბნებს. მათ უამრავი სტუდენტი და პანკი მიემხრო, რასაც 5-8 წლის წინ ვერავინ იფიქრებდა. სახელი კი ამ მოძრაობას მას შემდეგ გაუტყდა, რაც სკინჰედების ნაწილი ნაციონალურ ფრონტს (აღმავლობის პერიოდში მყოფ ნაცისტურ პოლიტიკურ პარტიას) შეეხიზნა. გამოჩნდნენ რასისტული და ნეოფაშისტური იდეების გამზიარებელები. ისინი უმუშევრობაში შავკანიან ემიგრანტებს ადანაშაულებდნენ, დევნიდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ. სხვათა შორის, ნაცისტი-სკინჰედების მომრავლებაში სერიოზული როლი მიუძღვის მასმედიას, რომელსაც ნაკლებად აინტერესებდა ანტიფაშისტი-სკინჰედების განცხადებები.

80-იან წლებში შეიქმნა ახალი ძლიერი დაჯგუფება SHARP (სკინჰედები რასისტული ცრურწმენის წინააღმდეგ), რომელიც კარგა ხანი ცდილობდა სკინჰედების ძველი ტრადიციების რეაბილიტაციას. ანტიფაშისტი-სკინჰედები საზოგადოების ყურადღების მიქცევას რასისტი "ძმების" წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლებით ცდილობდნენ - ყველა გაზეთსა და ტელეარხს ინტერვიუებს აძლევდნენ, მართავდნენ ხალხმრავალ მიტინგებსა და კონცერტებს. დღეს SARP-ი ძალზე ცნობილი დაჯგუფებაა ევროპაში, თავად სკინჰედებში კი "უტვინოთავიანებითაა" ცნობილი.

სკინჰედები არა მხოლოდ მემარჯვენე პარტიების "ფანები" იყვნენ. ისინი კომუნისტებს, სოციალისტებსა და ანარქისტებსაც უთანაგრძნობდნენ. ასეთ სკინებს "რედსკინს", ანუ წითელ სკინჰედებს უწოდებდნენ. "რედსკინების" სამიზნე ფერადკანიანი ადამიანი როდია, მათ სიმდიდრე არ მოსწონთ - ძვირადღირებული მაღაზიების ვიტრინები, ფეშენებელური მანქანები, აგარაკები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ანტიგლობალურ აქციებში, ტანსაცმელზე კი ლენინის, ნელსონ მანდელასა და სხვათა ამსახველ სამკერდე ნიშნებს ატარებენ.

"ყველა ჭეშმარიტ სკინჰედს თავისი იდეალი აქვს. ჩვენ დაბალი კლასის წარმომადგენლები ვართ. გვჯერა ერთობის, გვიყვარს მუსიკა, ცეკვა, ლუდი და ჩხუბი. ვერ ვიტანთ რასიზმს, სექსიზმსა და ჰომოფობიას. ასევე, გამოვდივართ მასობრივი უმუშევრობისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ. ბევრი ჩვენგანი ანარქისტი, სოციალისტი და ანტიფაშისტია," - აღნიშნავენ თანამედროვე სკინები. დღეისათვის მათი მოძრაობა კვლავაც შენელებულია, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც ის დანაშაულებრივ დაჯგუფებებშია გადაზრდილი. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში - ტაჯიკეთში, უზბეკეთში, უკრაინაში სკინების აქტივობამ პიკს 2000-2002 წლებში მიაღწია. "აქტივობა" კავკასიური გარეგნობის მქონე ადამიანების დაუნდობელ დევნაში გამოიხატებოდა. გასაკვირი არც არის - სპეციალისტების განცხადებით, სკინჰედების უმეტესობას დიდი ხანია მავიწყებული აქვს საკუთარი ისტორია.

ნინია კაკაბაძის სვეტი

ამხედრებული „ავტორიტეტები"

მას შემდეგ, რაც კახა ლომაია განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დანიშნეს, სხვათა შორის, სხვა მინისტრებისგან განხვავებით, გამუდმებით ყურადღების ცენტრშია. ამ ფაქტს ყველა თავისებურად აფასებს. ლომაიას ბევრი ოპონენტი ჰყავს და რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს - ცოტა დამცველი. მის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი საკმაოდ ჭრელია, აქ არიან ზვიადისტებიც, ანტიზვიადისტებიც, შევარდნაძისტებიც, მართლმადიდებლებიც, "პატრიოტებიც" და ა.შ. ფაქტები, რის გამოც მინისტრს აკრიტიკებენ, საკმაოდ მრავალგვარია, რომელთა ჩამოთვლას მათი სრულიად სულელური შინაარსის გამო აღარ დავიწყებ.

არ ვიცი, რამდენად საინტერესო იქნება მკითხველისათვის ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქის აზრი, მაგრამ მგონია, რომ რამდენიმე თანამოაზრე მეც მეყოლება – პირადად ჩემთვის, ყველაზე მისაღები და დასაფასებელი კახა ლომაიას ერთი თვისებაა – მისი უკომპრომისობა, რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის ყველა მინისტრს და თავად პრეზიდენტსაც კი აკლია. სიჯიუტე, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, უკომპრომისობა და კატეგორიულობა. ჩემში ეს პატივისცემას და ნდობას იწვევს. და ისიც დასაფასებელია, რომ მისთვის კომუნისტურ ეპოქას გადმოყოლილი "სახელებიც" არ წარმოადგენენ ავტორიტეტებს. და რას მოვაყოლე ყველაფერი ეს: ამასწინათ, როდესაც განათლების სფეროში რეფორმის ზოგიერთი პუნქტი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე მათგანმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ერთ-ერთი ასაკობრივი ცენზის შესახებ იყო. ვიდრე ეს ინფორმაცია ჩემამდე სრულყოფილად მოაღწევდა, ბუნებრივია, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გადაეწყვიტე, რომ 65 წელს გადაცილებულ ლექტორებს უმაღლეს თუ სხვა სასწავლებლებში სწავლების უფლება ერთმეოდათ. რამდენიმე დეტალის გათვალისწინებით, არც ეს უკანასკნელი იწვევდა ჩემში ასეთ აღშფოთებას, მაგრამ ამ საკითხზე ბევრი ფიქრი არ მომიხდა, ვინაიდან ძალიან მალე შევიტყვე, რომ კანონი ასაკობრივი ცენზის შესახებ, მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში და მხოლოდ თანამდებობის პირებს ეხებოდათ და არა რიგით ლექტორებს, რომელთა შორის ძალიან ბევრი პენსიაზეა გასასტუმრებელი და ძალიან ბევრს, პირიქით, დატვირთვაც და ხელფასიც გასაზრდელი აქვს. მაგრამ ეს სულ სხვა თემაა, და ამაზე, თუკი საქმე აქამდე მივიდა, მაშინ გავაგრძელებ საუბარს. ახლა რაც შეეხება 65 წელს გადაცილებულ, თანამდებობაზე მყოფ პროფესორებს, დოქტორებს თუ კანდიდატებს. მათი აღშფოთება სრულიად გაუგებარია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არასდროს მინდა გავიგო, რა ხიბლია დიდ და თუ გნებავთ, პატარა თანამდებობაში. რა ინტერესი უნდა ჰქონდეს უკვე ასაკში მყოფ და მითუმეტეს, განათლებულ ადამიანს, თანამდებობაზე ყოფნის და საორგანიზაციო საქმეების კეთებისა? როგორც ჩემთვის ცნობილია, ფინანსური ანაზღაურების მხრივ განსხვავება არ იქნება, მათ ის ხელფასი შერჩებათ, რომელსაც დღეს იღებენ. მაშინ რა ინტერესი აქვთ? არ მინდა, ყოველი მათგანი იმაში დავადანაშაულო, რომ გამოცდების დროს, პრორექტორები, დეკანები თუ რექტორები საკმაოდ შთამბეჭდავ ფინანსურ მაქინაციებში ებმებიან, ასეთებიც მრავლად არიან, მაგრამ რამდენიმე ისეთიც არის, რომელიც ამგვარ "მოლაპარაკებებში" არ მონაწილეობს. არ ვიცი, სხვისთვის რომელი პოზიცია უფრო გასაგებია, იმისი, ვინც მარტივად რომ ვთქვათ, ქრთამს იღებს და ფულადი დაინტერესება აქვს, თუ იმისი, ვინც არ იღებს, მაშინ იმას რად უნდა თანამდებობა? ალბათ, ასაკში მყოფ "პროფესორებს" ამ პოსტის დაკარგვასთან ერთად საკუთარი თავის დაკარგვის შიში აქვთ, და ფიქრობენ, რომ მათი სამეცნიერო მოღვაწეობა ამით სრულდება და ისინი ფუნქციას კარგავენ. ეს გარკვეულწილად, ალბათ, იმ ეგოს დაკმაყოფილებაა, რომელიც მათ აქამდე მოდუნების საშუალებას არ აძლევს. მაგრამ ეს არ არის სწორი, ყველაზე ფასეული, რაც ჭეშმარიტად განათლებულმა და ჭკვიანმა ადამიანმა შეიძლება გააკეთოს, მომავალი თაობისთვის საკუთარი გამოცდილების და ცოდნის გაზიარება - გადაცემაა. ადმინისტრაციული საკითხები და განათლების ახალი მიმართულებები კი ნამდვილად ჯობია, რომ ახალგაზრდების ხელში მოვაქციოთ, იმისათვის, რომ განათლების სისტემა არა მხოლოდ სათავეში (სამინისტროში), არამედ ქვედა ინსტანციებშიც შეიცვალოს. სხვაგვარად არაფერი გამოვა, ვინაიდან კიდევ მრავალი წელი ქართველი მშობელი გადაიხდის ფულს საკუთარი შვილის უვიცობაში.

ასე, რომ ჩემი პირადი აზრით, როდესაც ვისმენ უკმაყოფილო პედაგოგების მოსაზრებებს კონკრეტულად ასაკობრივი ცენზის შესახებ: ოდნავ სამარცხვინოდ გამოიყურებიან, და აქედან გამომდინარე, უხერხულობის განცდა მიპყრობს, რომლის აშკარა დეფიციტს განიცდიან უნივერისტეტის დღევანდელი საბჭოს წევრები. მეორე საკითხი, რომელიც, ასევე, აღშფოთების საბაბი გახდა.

მისაღები გამოცდების უნივერსიტეტის გარეთ გატანა. ამაზე ბევრს არ ვისაუბრებ და მხოლოდ ერთს ვიტყვი: ეს კიდევ უფრო სამარცხვინოა, ვინაიდან აქ არა პატივმოყვარეობის საკითხი დგას ეჭვქვეშ, არამედ პატიოსნების. აბა, სხვა რა ინტერესი უნდა ჰქონდეს გამოცდების მათ დაქვემდებარებაში ყოფნას. ამ შემთხვევაში, ალბათ, არც მეგობრობა-მეზობლობის ინსტიტუტი იმუშავებს და არც მექრთამეობის.

დაბოლოს. სვეტის დასაწყისში იმის შესახებ მოგახსენეთ, რომ განათლების მინისტრის თვისებათა შორის, ყველაზე მეტად მის უკომპრომისობას ვაფასებ, და ისიც მოგახსენეთ, რომ ეს ჩემთვის სამაგალითო კატეგორიულობა სწორედ უნივერსიტეტთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა არ გამოავლინა. არ გამოავლინა მაშინ, როდესაც როინ მეტრეველი თანამდებობას ტოვებდა და არ დაატოვებინა, თუმცა, ალბათ, ამას ჩემთვის მიუღებელი, მაგრამ იმ დროს გასამართლებელი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. შემდეგ საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ მეტრეველის თანამდებობაზე ახალგაზრდა, გამოცდილი, ჭკვიანი ადამიანი უნდა მოსულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ მის მოსვლასთან უნივერსიტეტში ბევრი ცვლილება იქნებოდა დაკავშირებული, ამ ნაბიჯის გადადგმა პრეზიდენტმა ისევ ვერ გაბედა ან ვერ გაუბედა ისევ საბჭოს თუ მის წევრებს. საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც ბევრი საპატივცემულო და ბევრიც, მოდით, ასე ვთქვათ, ნაკლებად საპატივცემულო ადამიანია შესული, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს და რამდენიც არ უნდა იყოს, ვფიქრობ, მათ გამო კომპრომისზე წასვლა ნამდვილად არ ღირს, და განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიც არის ზოგადად განათლების სისტემა, და კონკრეტულად უნივერსიტეტის რეორგანიზაცია თუ მისი, როგორც კორუფციის ბუდის მოშლა. ამ შემთხვევაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, პრეზიდენტმა სისუსტე გამოავლინა და მინდა მჯეროდეს, რომ ამ დღეებში ამტყდარი აჟიოტაჟი იგივე შედეგს არ გამოიღებს და საბჭოს წევრებთან ერთად ამხდრებულ ფიქრია ჩიხრაძის მოსაზრებებს არ გაიზიარებს.

ასეთი ავტორიტეტების შევარდნაძეს ეშინოდა და ანგარიშს უწევდა, ამან არაფერი სიკეთე არ მოგვიტანა, და მოდით, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე მაინც გავითვალისწინოთ. ყველაზე აუცილებელი დღეს პრინციპულობა და კატეგორიულობაა, რომელიც ყველა საკითხში და, მათ შორის, "ავტორიტეტებთან" დაკავშირებით უნდა გამოვიჩინოთ.

ფეხბურთი

"რეალმა" გაიღვიძა

გუშინ ჩემპიონთა ლიგაში გოლების წვიმა მოდიოდა

ჯგუფი A

მონაკო - დეპორტივო	2:0
ოლიმპიაკოსი - ლივერპული	1:0

ჯგუფი B

რეალი - რომა	4:2
დინამო - ლევერკუზენი	4:2

ჯგუფი C

ბაიერნი - აიაქსი	4:0
იუვენტუსი - მაკაბი	1:0

ჯგუფი D

მანჩესტერი - ფენერბახჩე	6:2
სპარტა - ლიონი	1:2

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელმა საღამომ უდიდესი სიამოვნება მიანიჭა გულშემატკივარს. რვა მატჩში 31 გოლი გავიდა, ასეთი რამ ყოველთვის ნამდვილად არ ხდება! განსაკუთრებით უხვგოლიანი კი B ჯგუფი აღმოჩნდა, რომლის ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით 4:2 დასრულდა.

"რეალი"-"რომა", ამ მატჩისადმი ინტერესს მხოლოდ მისი მონაწილე გუნდების სახელების გაგონებაც კი იწვევდა. თუმცა, ამ კლუბების სიდიადის გარდა, გუშინდელ მატჩს უამრავი სხვა ფაქტორიც ჰმატებდა ინტრიგას. წლევანდელ სეზონში "რეალიც" და "რომაც" მძიმე პრობლემებს განიცდიან. ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩებში ორივე ეს გუნდი დამარცხდა და მას შემდეგ ორივე მათგანს ახალი მწვრთნელები ჩაუდგნენ სათავეში. საინტერესო იყო, რომელ მწვრთნელს გამოუვიდოდა უფრო კარგად თავისი "ჩაძინებული" გუნდის გამოღვიძება. მატჩის პირველივე წუთებში ნათლად გამოჩნდა, რომ ეს "რომაელთა" ახალმა დამრიგებელმა, ეზიო სელამ მოახერხა. სტუმრებმა მატჩის მე-3 წუთზე შეძლეს ანგარიშის გახსნა, 22-ე წუთზე კი დე როსის მიერ გატანილ პირველ გოლს ანტონიო კასანომ კიდევ ერთიც დაუმატა - 0:2. მატჩის ასეთი სცენარით განვითარება "რეალის" განადგურებას მოასწავებდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში, ეზიო სელამ არა საკუთარი ფეხბურთელების, არამედ "რეალის" გამოღვიძება შეძლო. გაშვებული გოლების შემდეგ მადრიდელებმა თანდათან უმატეს შეტევებს და ტაიმის მიწურულს, 39-ე წუთზე ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს. მართალია, რეკოშეტი იყო, მაგრამ რაულმა მაინც არაჩვეულებრივად ლამაზი გოლი გაიტანა - 1:2.

"რეალი" ისევ "რეალია".

მეორე ტაიმში კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა ფეხბურთს. გუშინ ჩვენ ისევ ის "რეალი" ვიხილეთ, როგორსაც შევეჩვიეთ უკანასკნელ წლებში. მადრიდელები გამუდმებით უტევდნენ, თუმცა ანგარიში თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრეს. რუსი მსაჯი ივანოვის გადაწყვეტილებამ "რომაელთა" დიდი შეშფოთება კი გამოიწვია, მაგრამ პენალტი ნამდვილად იყო. პანუჩიმ აშკარად უბიძგა "რომაელთა" საჯარიმო მოედანზე ჩასაფრებულ რაულს. პენალტი ფიგუმ დაარტყა და გაიტანა - 2:2.

"რეალის" შეტევები გრძელდებოდა, ბურთის ფლობაშიც უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ, მესამე გოლი უკვე დროის ამბავი იყო. ასეც მოხდა, მასპინძლებმა მესამე გოლის გატანაც შეძლეს და კიდევ მეოთხეც შეაგდეს. ჯერ რაულმა, შემდეგ კი რობერტო კარლოსმა ანგარიში ოთხამდე გაზარდეს.

ეს იყო და ეს. "რომას" კრიზისი კვლავაც გრძელდება, ხოლო ის, ვინც ამტკიცებდა, რომ "რეალის" მილიონერ ვარსკვლავებს ფეხბურთის თამაში მობეზრდათ, დარწმუნდა, რომ ამ მილიონერებს ჯერ კიდევ შეძლებიათ ლამაზი საფეხბურთო სპექტაკლების დადგმა.

მიუხედავად გუშინდელი გამარჯვებისა, "რეალმა" მაინც ვერ შეძლო B ჯგუფის ლიდერად ქცევა, ლიდერი კიევის "დინამოა". უკრაინელები გუშინ ლევერკუზენის "ბაიერს" მასპინძლობდნენ, იმ "ბაიერს", რომელმაც პირველ მატჩში "რეალი" გაანადგურა (3:0). თუმცა, უფორმობას წელს არც კიევის "დინამო" უჩივის. მართალია, თავიანთ პირველ მატჩში მათ ტექნიკური გამარჯვება ჩაუთვალეს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ იოჟეფ საბოს ბიჭები ისედაც უგებდნენ "რომას", თანაც მისსავე ოლიმპიურ სტადიონზე. გუშინდელ მატჩში "დინამომ" 4:2 გაიმარჯვა და ამ გამარჯვებას უკრაინელები სავსებით იმსახურებდნენ. ლევერკუზენის დაცვის ხაზი მეტისმეტად სუსტი იყო იმისათვის, რომ კიეველთა სწრაფი თავდამსხმელების, ვერპაკოვსკის და რინკონის შეჩერება მოეხერხებინა.

იურგენ კლინსმანი: "მსოფლიო ჩემპიონობა რეალურია"

იურგენ კლინსმანის ხელმძღვანელობით გერმანიის ნაკრებმა უკვე ორი საერთაშორისო მატჩი გამართა, მოუგო ავსტრიელებს და ფრედ ითამაშა ბრაზილიის ნაკრებთან. ამ შედეგებს გერმანელები დიდ წარმატებად მიიჩნევენ, კლინსმანი კი დარწმუნებულია, რომ მის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის მოგების რეალური შანსიც აქვს.

- ადრე განაცხადეთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების მთავარი ნაკლი არადამაკმაყოფილებელი ტემპი იყო. ახლა როგორ არის საქმე?

- ევროპის ჩემპიონატზე, მართლაც, გამოჩნდა, რომ ჩვენი ნაკრების რიტმი აშკარად ჩამორჩებოდა სხვა გუნდებისას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო რიტმის პოვნა ჩვენ საერთოდ არ შეგვიძლია. ეს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც კარგად გამოჩნდა და უკანასკნელად გამართულ ამხანაგურ მატჩებში ავსტრიისა და ბრაზილიის ნაკრებების წინააღმდეგ. ჩვენ უაღრესად დიდი პოტენციალი და შესაძლებლობა გვაქვს იმისა, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შორს წავიდეთ. მიზანი, რომ მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ, აბსოლუტურად რეალურია.

- თქვენი ფეხბურთელების თამაშის ტემპის ფორსირება კლუბების მწვრთნელების დახმარების გარეშეც შესაძლებელია?

- ბუნდესლიგასთან თანამშრომლობა დიდი ხნის წინათ დაიწყო. არავის საქმეში არ ვერევით და კლუბების აზრს პატივს ვცემთ. ჩვენ მხოლოდ ღია ურთიერთობები გვინდა.

- თქვენს აქტიურ კრიტიკოსებთან რუდი ასაუერთან და პეტერ ნოირურერთან ჯერ არ გილაპარაკიათ?

- რუდისთან საუბრის საშუალება ჯერ არ მქონია, პეტერს კი აუცილებლად შევხვდები, როდესაც სამისო დრო იქნება.

- რამდენად სერიოზულია პრობლემა, რომ ეროვნულ ნაკრებს არც ერთი ტიპური ცაცია ფეხბურთელი არ ჰყავს?

- ჩვენ, მართლაც, არ გვყავს ნამდვილი ცაცია, თუმცა, ფილიპ ლამისა და ბერნდ შნაიდერის სახით კარგი ალტერნატივები გამოგვიჩნდა.

- როგორ მოგწონთ რაუ და კელი, რომლებიც ნატურალური ცაციები არიან?

- ჩვენ რეგულარულად ვაკვირდებით 30-35 ფეხბურთელს. რაუ და კელიც მათ რიცხვში არიან.

- ჰიცლშპრეგერიც?

- ცხადია.

- რობერტ ჰუტს "ჩელსის" დუბლშემადგენლობაშიც კი არ ათამაშებენ. ამაზე რას იტყვით?

- მთავარი იყო, რომ ამ ფეხბურთელის პოტენციალი გვენახა. ეს პოტენციალი მას საკმარისზე მეტი აქვს. ჩვენ გვეზრდება ფეხბურთელი, რომელიც მომავალში დიდ სიხარულს მოგვიტანს. ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა, ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ყოფილიყო, მაგრამ ამისგან პრობლემას ნუ შევქმნით.

- ნუთუ მას სათამაშო პრაქტიკა არ სჭირდება?

- უკეთესი იქნებოდა, რობერტს რეგულარულად ეთამაშა, მაგრამ რას ვიზამთ. ჯობს, უბრალოდ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

- სებასტიან დაისლერთან დაკავშირებით როგორ ხართ განწყობილი, ოპტიმისტურად და სკეპტიკურად?

- ოპტიმისტურად. წარმატება ზოგთან ადრე მოდის, ზოგთან ცოტა გვიან. მთავარია, სებასტიანმა იცოდეს, როგორი მნიშვნელოვანია

იურგენ კლინსმანი: "მიზანი, რომ მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ, აბსოლუტურად რეალურია.

ის ნაკრებისთვის.

- ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც მიხაელ ბალაკი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია აქვს?

- სებასტიანი ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელების რიცხვს მიეკუთვნება. მას უდიდესი ტალანტი აქვს და ჩვენი ნდობით სარგებლობს.

- ბრაზილიის წინააღმდეგ მატჩში გუნდი ახლოს იყო თქვენს იდეალთან?

- გუნდმა აჩვენა, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან პაექრობა შეუძლია. ძალიან შთამბეჭდავი იყო, თუ როგორი თავდაჯერებულობითა და აგრესიულობით აგებდა გუნდი თავის კომბინაციებს. გამოდის, რომ შეგვიძლია.

- ვინ იდგება კარში ნოემბერში, კამერუნის წინააღმდეგ მატჩში?

- ჯერ არ გადამიწყვეტია.

- როგორ დგას ახლა მეკარეების საკითხი - ორივე კონკურენტი თანაბარი ძალისაა, თუ ლემანი უშანსოდაა?

- კანი პირველი ნომერია, ლემანი კი - მეორე. ის გამომწვევია და თავის შანსს აუცილებლად მიიღებს. ორივე შესანიშნავი მეკარეა.

- ფრინგსი ახალი ჰამანია?

- ტორსტენ ფრინგსმა საყრდენ ნახევარდაცვაში თავისი ადგილი დაიმსახურა და იქ პირველი ნომერია. ის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია ჩვენთვის. მისი თამაშის მანერა ძალიან მოგვწონს.

- მომავალშიც შემტევი ტაქტიკით, მხოლოდ ერთი საყრდენი ნახევარმცველით აპირებთ თამაშს?

- არა. გვინდა, რომ მრავალფეროვნები ვიყოთ და სხვადასხვა სახის სქემები დავამუშაოთ. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ფრანკ ბაუმანიც მიიღებს თავის შანსს და ფაბიან ერნსტიც.

- გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის თანაპრეზიდენტმა ცვანციგერმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდს ნაკრები ლევერკუზენში გაივლის. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა?

- გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ამ თემაზე მომავალ წელს ვიფიქრებთ.

- არა მგონია, რომ ამდენ ხანს მოიცადოთ.

- მაშინაც კი, როდესაც მე ფედერაციისა და ლევერკუზენის "ბაიერის" პოზიცია მესმის, გადაწყვეტილებას მხოლოდ მწვრთნელთა შტაბი იღებს და ასე იქნება ამჯერადაც. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული შედეგებისთვის ჩვენ ვიქნებით ერთადერთი პასუხისმგებლები. მომავალი თვეების განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდზე ბევრს ვიმსჯელებთ. ამოსავალი წერტილი კი ის იქნება, თუ რა არის უკეთესი ფეხბურთელებისთვის.

- რა ხანგრძლივობის მოსამზადებელი პერიოდი გექნებათ?

- მზადება უკვე დაწყებულია. ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებთ, მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისია.

ᲙᲠᲘᲖᲘ

კლიჩკოებმა ხელში კალამი აიღეს და...

მსოფლიოს ყველაზე ცნობილმა ძმებმა, მოკრივეებმა ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებმა გადაწყვიტეს, საწერ მაგიდას მისხდომოდნენ და მემუარები დაეწერათ. მოსაყოლი კი, მართლაც, ბევრი აქვთ. საქმე მარტო რინგსა და იქ გამართულ ორთაბრძოლებს არ ეხება. უკრაინელი ძმები იხსენებენ ტკბილ სასიყვარულო თავგადასავლებს, იმას, თუ როგორ ეფერებოდა ჯულია რობერტსი ვლადიმირის ტაკუნებს. ერთი სიტყვით, ძმები კლიჩკოები სხვადასხვა კუთხით.

ვლადიმირი საკუთარ მემუარებში ჯულია რობერტზეც მოგვითხრობს.

მომავალ კვირას გერმანიაში გაიმართება ძმები კლიჩკოების ბიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია. წიგნს ჰქვია "ძმურად". ამბობენ, რომ წიგნი მოგვითხრობს ძმების მიერ ჯარში გატარებულ წლებზე, სასიყვარულო ისტორიებსა და ჩერნობილის კატასტროფაზეც კი. გერმანული ტაბლოიდის Bild-ის ცნობით, მკითხველი დეტალურად შეიტყობს ვლადიმირისა და ჯულია რობერტსის ურთიერთობის პიკანტურ წვრილმანებს, რომელიც თან ახლდა ფილმის "ოუშენის თერთმეტი მეგობრის" გადაღებებს.

"ჯულია ძალზე თბილი იყო. ამასთან, მხოლოდ ერთი მცველი ჰყავდა, - წინდაწინვე აკმაყოფილებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას ვლადიმირ კლიჩკო. – მართალია, მაკიაჟის გარეშე ისეთი მომხიბვლელი არ იყო, როგორც ეკრანზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯულია მაინც ძალიან მომხიბვლელია. თანაც, არცთუ უკარებას შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობთან ფიზიკური კონტაქტის შიში არ გამჩენია...

ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღებისას ვიგრძენი, როგორ დამადო ხელი საჯდომზე. შემიძლია დავიფიცო, რომ მეფერებოდა..."

მოგვიანებით, როგორც კლიჩკო ჰყვება, ჯულიამ გადაღებების დამთავრების აღსანიშნავად წვეულება მოაწყო: "ჩვენ კარგა ხანს ჩახუტებულები ვცეკვავდით. დღემდე ვგრძნობ მის ხელებს..." თუ როგორ განვითარდა შემდგომ მოვლენები, ამის თაობაზე ვლადიმირმა დუმილი ამჯობინა: დე, ყველამ თავად გამოიტანოს დასკვნა, როგორ დასრულდა საღამოო.

...ვლადიმირის პირველ სიყვარულს ოლია რქმევია. 13 წლისა კლასის ყველაზე ლამაზი გოგოსთვის ყველაფერს აკეთებდა: "ოლგას ჭკუიდან გადავყავდი. მისი გულის მოგებას ცდილობდა სტეფანიც, რომელთანაც არაერთხელ მომიხდა მუშტებით ურთიერთობის გარკვევა. ამ დროს ის არც ერთს არ გვაქცევდა ყურადღებას. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მან სხვა აირჩია".

...20 წლის ვლადიმირი კიევში ალექსანდრასთან შეუღლდა. "ის ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო, - იხსენებს ვლადიმირი. – ჰყავდა ბავშვი. ერთად მშვენივრად ვატარებდით დროს, მაგრამ წელიწადნახევარში მაინც დავშორდით ერთმანეთს".

ალექსანდრასთან დაშორების შემდეგ უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელის დიანა კოვალჩუკის ჯერი დადგა.

"დიანა ოცნების ქალია. ის ჭკვიანია, გამოცდილი და ფანტასტიკურად მომხიბლავი. მე მასთან ნიუ იორკში დავფრინავდი. ვსეირნობდით ცენტრალურ პარკში, ნავებზე. ყველაფერი ისეთი რომანტიკული იყო, როგორც ერთ ძველ სასიყვარულო ფილმში. საღამოობით დავდიოდით კინოში ან ბროდვეიზე, თეატრალური წარმოდგენების სანახავად. ერთხელ კი ნამდვილად გავაოცე, როდესაც შვეულმფრენით ექსკურსიაზე წავიყვანე. ეს იყო მსუბუქი და რომანტიკული ცხოვრების პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. შესაძლოა, ჩემთვის ყველაზე მშვენიერი დროც. თუმცა, ცუდად არ დავშორებივართ ერთმანეთს. ჩვენ ახლაც ვმეგობრობთ".

და მაინც, წიგნის რამდენი ფურცელი მოგვითხრობს თავად მოკრივეზე, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა, ზოგიერთი რამ ძმების ავტობიოგრაფიული წიგნის გარეშეც ცნობილია. მაგალითად, ორშაბათს ცნობილი გახდა თარიღი და ადგილი მომავალი ორთაბრძოლისა, რომელიც კრივის მსოფლიოს საბჭოს (WBC) უმთავრესი ტიტულისთვის უნდა შედგეს. საბჭოს საჩემპიონო ქამრისთვის იბრძოლებენ მისი ახლანდელი მფლობელი ვიტალი კლიჩკო და ბრიტანელი დენი უილიამსი. ბრძოლა 11 დეკემბერს ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე შედგება და იგი უილიამსის მენეჯერმა ფრენკ უორენმა გაახმოვანა.

უილიამსის მენეჯერმა განცხადებას მუქარის ტონიც შეურია: დენის შეუძლია, კიდევ ერთი ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვოსო.

"ფავორიტად ყველას კლიჩკო მიაჩნია. რაც უფრო მეტი ხალხი არ აფასებს ჯეროვნად უილიამსს, მით მეტი შანსი აქვს ჩემს შეგირდს. შინ WBC ქამრით დაბრუნება კიდევ ერთი საბუთი იქნება იმისა, რომ ბრიტანული კრივი მაღალი დონისაა".

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ჰოლიფილდი დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა კრივში სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ევანდერ ჰოლიფილდმა, რომელმაც ტაისონის გამო ყურის ნაწილი დაკარგა, დიდ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა და ხელი მოაწერა კონტრაქტს ორ მატჩზე. ამ ბრძოლებიდან ერთ-ერთი 13 ნოემბერს ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება. ჰოლიფილდის მეტოქე იქნება ხანგრძლივი შესვენებიდან პროფესიულ რინგზე ახლახან დაბრუნებული ამერიკელი ლარი დონალდი, რომელმაც ვიქტორ კლიჩკოსთან მარცხის შემდეგ ცოტა ხნით შესვენება გადაწყვიტა. 42 წლის ვეტერანი მოკრივე დონალდთან გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უფლებას მიიღებს.

ტრავმის გამო ჯეიმს ტონის ხანგრძლივი შესვენება მოუწევს

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში WBC-ის რეიტინგის სათავეში მოქცეულმა ჯეიმს ტონიმ რაიდელ ბუკერთან ბრძოლის დროს მხრის ტრავმა მიიღო, რის გამოც, სულ ცოტა, ექვსი თვე მაინც ვერ გამოვა რინგზე.

ტონიმ მხრის ტკივილის გამო ჯერ კიდევ პირველსა და მეორე რაუნდს შორის შესვენების დროს დაიჩივლა, მაგრამ მხოლოდ ქირურგთან ვიზიტის შემდეგ დადგინდა, რომ ტრავმა სერიოზული იყო. ბუკერთან მისი ბრძოლა პირველი იყო მას შემდეგ, რაც ის მყესის ტრავმის გამო ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ რინგზე დაბრუნდა.

სანტინი მსაჯის საქციელით აღშფოთებულია

"ტოტენჰენის" მთავარმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ უკმაყოფილება გამოთქვა "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის არბიტრის პიტერ ვალტონის გამო.

"ჩვენს შეხვედრაზე მსაჯი სტივ ბენეტი უნდა ყოფილიყო. ჩემთვის გაუგებარია, რატომ შეცვალეს მატჩამდე სამი-ოთხი დღით ადრე გამოცდილი მსაჯი "დამწყებით", - განაცხადა საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში.

გარდა ამისა, სანტინიმ იმის გამოც გამოთქვა უკმაყოფილება, რომ შესვენების დროს მატჩის მთავარი მსაჯი "მანჩესტერ იუნაიტედის" გასახდელში შევიდა.

"ჩვენ ყველანი შეგვაძრწუნა ჩვენი მეტოქის გასახდელში მსაჯის შესვლის ფაქტმა. არ ვიცი, რაზე საუბრობდნენ ისინი ოთახში, მაგრამ მსაჯი კმაყოფილი სახით გამოვიდა გასახდელიდან, ფეხბურთელები კი ხუმრობდნენ და ხალისობდნენ. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ ყურადღება მიაქციოთ ერთ ფაქტს: შესვენების დროს რატომღაც მსაჯი ჩვენთან არ შემოვიდა," - თქვა მწვრთნელმა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

შავი ღრუბელი სამეფო რბოლების თავზე

შესაძლოა, გაისად ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საჯინიბოთა რიცხვი ათიდან რვამდე შემცირდეს. სამეფო რბოლებისთვის არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ ხუთშაბათს ჩინეთის ისტორიაში პირველი "დიდი პრიზის" გახსნის საზეიმო ცერემონიალზე "დიდი პრიზების" ფაქტობრივმა მეპატრონემ ბერნი ეკლსტოუნმა განაცხადა.

ეკელსთოუნი და ჯორდანი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე აპირებენ ბრძოლას.

საუბარია "ჯორდანისა" და "მინარდის" საჯინიბოებზე. გარდა ამისა, გასაყიდადაა გამოტანილი ძრავებით მომმარაგებელი კომპანია "ქოსვორტი" და "იაგუარის" გუნდი, რომელსაც დღემდე ვერ მოუძებნია მყიდველი. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, 2005 წლის ჩემპიონატზე არათუ რვა, არამედ შვიდი გუნდი ვიხილოთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: "დიდი პრიზებისთვის" დაკარგულ მონაწილეთა რაოდენობის კომპენსირება მოწინავე საჯინიბოთა ხარჯზე მოხდება, ანუ "ფერარი", "მაკლარენი" და "უილიამსი" ჩემპიონატზე ორის ნაცვლად სამ-სამი ბოლიდით წარდგებიან.

მოსალოდნელი სცენარი სულაც არ ჰგავს არარეალურს, მით უფრო, რომ საუბარი ეხება "ჯორდანისა" და "მინარდის" საჯინიბოებს, რომლებიც, სხვა ვეშაპებისგან განსხვავებით, პატარა თევზების რიგს განეკუთვნებიან (ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით). არც ერთი არ იბრძვის პილოტთა თუ კონსტრუქტორთა ჩათვლაში გამარჯვებისთვის. ისიც ფაქტია, რომ დღემდე ეს "პატარები" ეკლსტოუნისა და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის (ფია) მაქს მოსლის ფინანსური ინექციებით სარგებლობდნენ. მაგალითად, 2003 წლის სეზონზე ფორმულა 1-ის მხცოვანმა იმპრესარიომ გადაწყვიტა, რობინ ჰუდივით მოქცეულიყო: მდიდარი საჯინიბოებისთვის ფული გამოერთმია და ღარიბებისთვის დაერიგებინა. ეკლსტოუნისგან განსხვავებით, მოსლიმ ბევრად განსხვავებული იდეა წამოაყენა: ხელმოკლე გუნდებისთვის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის შესატანი თანხა გაუქმებულიყო.

ასეთი საქციელი ადრეულმა გამოცდილებამ განაპირობა. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნით ადრე არსებობა შეწყვიტა ერთბაშად ორმა გუნდმა - "პროსტმა" და "ეროუზმა". იმის გამო, რომ ამ პროცესს ზავის თუ მორევის ეფექტი არ გამოეწვია, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეკლსტოუნი "მინარდის" აქციონერთა შემადგენლობაში შევიდა და მასში სამ მილიონამდე დოლარი დააბანდა. ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ გუნდს "დიდ პრიზებზე" გაეგრძელებინა ასპარეზობა და, იმავდროულად, იტალიური საჯინიბოს საინვესტიციო გარემო მიმზიდველი გამხდარიყო.

აშკარაა, რომ მას შემდეგ სიტუაცია ბევრად შეიცვალა. ახლა ეკლსტოუნი სხვა აზრზეა: "მიმაჩნია, რომ მათ ("მინარდისა" და "ჯორდანს") ძალზე გაუჭირდებათ არსებობა. დღეს ორივე გუნდი არაჯანსაღად გამოიყურება".

საგულისხმოა, რომ ფორმულა 1-ში ბოლო წლებში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა, რომლის მიხედვითაც საეჭვოდ მოჩანს გუნდებისთვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიხაელ შუმახერისა და "ფერარის" უდავო ჰეგემონიამ ერთგვარად ჩაკლა სპორტული სული პილოტთა და საჯინიბოთა შორის. ამასთან, მიმდინარე სეზონში აშკარად გამოიკვეთა სხვაობა ნამდვილ ორთაბრძოლებსა და იმ შოუს შორის, რომელიც ფორმულა 1-ის გულშემატკივარმა იხილა. გარდა ამისა, უსაფრთხოების საკითხები, "დიდი ცირკის" ღირებულების შემცირება და სიჩქარის შეზღუდვა იმაზეც მიუთითებს, რომ სანახაობის დონე დაეცემა და მაყურებლის ინტერესი იკლებს.

ასეთ სიტუაციაში იმ გუნდებს, რომლებსაც უჭირთ სპონსორთა მოძიება, ორმაგად გაუჭირდებათ. ეტყობა, ეკლსტოუნმა იყნოსა მომავალი სირთულეები და ამიტომაც გადაწყვიტა, დროულად გათავისუფლებულიყო "ბალასტისგან".

ბუნებრივია, ყველაფერ ამას არ დაეთანხმნენ იტალიური "მინარდი" და ირლანდიური "ჯორდანი". იტალიური საჯინიბოს მეთაური პოლ სტოდარტი ირწმუნება, რომ გაისად მისი გუნდი აუცილებლად გავა სტარტზე. ედი ჯორდანი კი საკუთარ პროგნოზებში უფრო თავშეკავებული ჩანდა.

სტოდარტი მიიჩნევს, რომ ფორმულა 1-ის მეპატრონეს უფლება არ ჰქონდა, ასე ელაპარაკა: "ბოლო განცხადებამ "ქოსვორტის" გაყიდვის თაობაზე საქმე გაართულა. მაგრამ, გარწმუნებთ, 2005 წელს "მინარდის" ბოლიდები მელბურნის ("ავსტრალიის დიდი პრიზი") სასტარტო მოედანზე გავლენ, მაშინაც კი, თუ საკუთარი ძრავებით მოგვიწევს ასპარეზობა ".

იტალიელებს ამის გამოცდილება უკვე აქვთ. 2001 წელს "მინარდის", მართლაც, მოუხდა საკუთარი წარმოების ძრავებით რბოლა.

რაც შეეხება "ჯორდანს", ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. კითხვაზე, შეძლებენ თუ არა გაისად სტარტზე გასვლას, ედი ჯორდანმა ერთმნიშვნელოვნად ვერ უპასუხა: "სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ "ავსტრალიის დიდ პრიზზე" აღმოვჩნდე. მაგრამ როგორ უნდა შევძლო რაიმე გარანტიის მოცემა? ახლა ამ საკითხზე მსჯელობისთვის მზად არ ვარ, მაგრამ შემიძლია ერთი რამ ვთქვა: ბოლომდე ვიბრძოლებთ".

მოგეხსენებათ, 2001 წელს "ჯორდანმა" არაერთი მნიშვნელოვანი ფიგურა დაკარგა, მათ შორის, ტექნიკური დირექტორი მაიკ გასკოინი. იტალიელმა იარნო ტრულიმ, რომელიც მაშინ "ჯორდანის" ღირსებას იცავდა, განაცხადა, უბედურების დაბალი მიზეზი მმართველი კადრების დაბალი კვალიფიკაციაა. მიუხედავად ამისა, "ჯორდანმა" მაინც მოახერხა ზედაპირზე დარჩენა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ახლაც იგივე გამეორდეს, თუ, რა თქმა უნდა, სპონსორის რანგში კვლავაც დაბრუნდება გზავნილების კომპანია Deutsche Post-ი. საქმე ისაა, რომ 2002 წელს "ფოსტალიონებმა" უარი თქვეს "ჯორდანთან" თანამშრომლობაზე. მეტიც, მაშინ Deutsche Post-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარ მოეხედა სამეფო რბოლებისკენ. თუმცა, ჯერჯერობით, გზავნილებათა კომპანია ტიმო გლოკთან - "ჯორდანის" მესამე პილოტთან კონტრაქტის უზრუნველყოფითაა დაკავებული. კონტრაქტისთვის 10 მილიონი დოლარი იხარჯება და, გავრცელებული ხმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, Deutsche Post-ი მზადაა, თანხა გაზარდოს, თუ, რა თქმა უნდა, გლოკთან საპრიზო პილოტის კონტრაქტი გაფორმდება.

ალბათობა იმისა, რომ ეს მოხდება, ძალზე დიდია. რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ირლანდიელებმა ჯორჯო პანტანოსთან ხელშეკრულება შეწყვიტეს. პანტანო, რომლის დებიუტიც წლეულს შედგა, "ჩინეთის დიდ პრიზზე" გლოკმა შეცვალა. ეტყობა, ედი ჯორდანმა ფული იშოვა. ახლა ისაა გასარკვევი, ეკლსტოუნი შეეწინააღმდეგება თუ არა "პატარების" "დიდ პრიზებზე" გამოჩენას.

"რომას" წინააღმდეგ მატჩი გამოტოვოს

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა შეიძლება თავისი კლუბის – მადრიდის "რეალის" "რომას" წინააღმდეგ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღოს. ბიბისის ცნობით, ბექჰემი კვირას ვარჯიშზე ვერ მივიდა ვირუსული ინფექციის გამო.

შაბათის მატჩში "ატლეტიკოს" წინააღმდეგ ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც გუნდის სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდა, მე-60 წუთზე შეცვალეს. "რეალის" მთავარი მწვრთნელის გარსია რემონის თქმით, იგი იძულებული გახდა, ბექჰემი შეეცვალა, რადგან ის დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა.

კვირას ვარჯიშში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ფრანგმა ზინედინ ზიდანმა და ინგლისელმა მაიკლ ოუენმა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ხუთშაბათი. 28 სექტემბერი

НТВ+ФУТБОЛ
06:00 NBA TV – ყველაფერი NBA-ს შესახებ
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1988. ყველა ვარსკვლავთა მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" – "ბაიერი"
14:10 ჩემპიონთა ლიგა. "რეალი" – "რომა"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:05 ჩემპიონთა ლიგა. "მონაკო" – "დეპორტივო"
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ჩემპიონთა ლიგა. "ცსკა – პსჟ. პირდაპირი ტრანსლაცია
22:25 "ON-LINE ჩემპიონთა ლიგა". ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები პირდაპირ ეთერში
00:35 ჩემპიონთა ლიგა "ბარსელონა" – "შახტიორი"
02:30 02:30-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – დღიური
03:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. პირველი წრე. მე-3 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა

НТВ+СПОРТ
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი – პ. ლეკო
11:15 ველოსპორტ-შოსე. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. ქალები. ელიტა
13:40 "ჰოკეი-პლუს"
14:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:30 "ბილიარდის მეუფენი"
16:15 ჩოგბურთი. დევისის თასი. ნახევარფინალი. გადამწყვეტი მატჩი
19:15 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. საერთაშორისო ასპარეზობა "ბროლის უნაგირი"
20:15 როდეოს ფესტივალი კალგარიში. პირველი ნაწილი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "ჰოკეი-პლუს"
21:40 ვეიკბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში
22:05 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" – "სელტიკი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ვერდერი" – "ვალენსია"
02:45 02:45-დან 03:25-მდე შესვენება
03:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" – "სან კეტანო". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი. ევროგოლები
12:00 მულტისპორტი
12:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
14:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
14:30 ფეხბურთი. ევროგოლები
15:15 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
16:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. ახალბედა
19:30 კრივი
20:15 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
20:45 მოტოსპორტი. "ტესტ დრაივი". ტელეჟურნალი
21:30 ცხენოსნობა. საერთაშორისო ასპარეზობა საფრანგეთში
22:30 ცხენოსნობა. საერთაშორისო ასპარეზობა დიდ ბრიტანეთში
00:00 გოლფი. ევროპული ტურნირი. სპეციალური მიმოხილვა
00:30 აფროსნობა
01:00 ოლიმპიური თამაშები. კულტურული პროგრამა
01:15 ცხენოსნობა. Show Jumping პორტუგალიაში
01:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
02:00 ახალი ამბები
02:15 კრივი
03:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი

"გოლფი" დიდი ტურიზმისთვის

დიდი ტურიზმი სპორტული ავტომობილების კლასია და მის შესაფერის ავტომობილებს "ფოლკსვაგენი" 1976 წლიდან აწარმოებს, როცა პირველად გამოუშვა თავისი ყველაზე პოპულარული მოდელის, "გოლფის" ვერსია ცნობილი ინდექსით GTI.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მსოფლიოში ყველაზე დიდტირაჟიანმა მოდელმა, სახელად "გოლფი", ოთხი თაობა გამოიცვალა, მაგრამ დიდი ტურიზმის კლასის ავტომობილები მის სამოდელო გამაში მაინც რჩებიან. და აი, მეხუთე თაობის "გოლფის" შესაფერისი GTI-ს ჯერიც დადგა - პარიზში ვოლფსბურგელებმა წარმოადგინეს ტურბომოტორით აღჭურვილი "გრან ტურიზმო", რომლის მთავარი თვისება ისაა, რომ მას მკერდში (კაპოტქვეშ) ტურბოკომპრესორიანი გული (ძრავი) უცემს.

ორიგინალის მსგავსად, ახალი "გოლფ GTI"-ც სამ და ხუთკარიანი ძარებით დამზადდება. სამაგიეროდ, მას ექნება ხისტი დაკიდება, უფრო კომფორტული ინტერიერი და რაც მთავარია, მძლავრი ძრავი, რომლის სიმძლავრეც 147 კილოვატია (კვტ), რაც 200 ცხენის ძალის ტოლფასია.

ძრავი ორლიტრიანია და იგი აღჭურვილია საწვავი ნარევის უშუალოდ ცილინდრებში შეფრქვევის სისტემით, რომლის მუშაობასაც ელექტრონიკა აკონტროლებს. მისი მაქსიმალური მაბრუნი მომენტია 280 ნმ და იგი ძრავის მუხლა ლილვის ბრუნთა ფართო დიაპაზონში (1800-5000 ბრ/წთ) მიიღწევა.

სტანდარტულ, 6-საფეხურიან გადაცემათა კოლოფთან შეწყვილებული ეს ძრავი ავტომობილს ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარემდე 7.2 წამში აჩქარებს, 6-დან 100 კმ/სთ-მდე აჩქარებას კი 7.5 წამი სჭირდება. სამაგიეროდ, შედარებით დაბალია მაქსიმალური სიჩქარე, რომლის ჭერიც სულ რაღაც 235 კმ/სთ-ია. თუმცა, ამის კომპენსირება ხდება ძრავის ელასტიურობისა (რასაც განაპირობებს მაბრუნი მომენტის მაქსიმალური მაჩვენებლის ბრუნთა რიცხვის დიდ დიაპაზონში შენარჩუნება) და გადაცემათა კოლოფის "მოკლე საფეხურების" ხარჯზე, რისი წყალობითაც, მანევრირებისას ძრავი დაუყოვნებლივ ასრულებს მძღოლის ბრძანებებს. სტანდარტული კოლოფის გარდა, შესაძლებელია შეკვეთით ძრავთან DSG ტრანსმისიის აგრეგატირება, რომლის მეშვეობითაც, ავტომობილს ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე ასაჩქარებლად 7 წამზე ნაკლები დასჭირდება.

რაც მთავარია, GTI-ს ძრავი სრულად აკმაყოფილებს ევრო-4-ის სტანდარტებს, ყოველ ას კილომეტრზე კი მხოლოდ 8 ლიტრ ბენზინს მოიხმარს, რაც არცთუ დიდი რიცხვია სპორტული ავტომობილისთვის.

გარეგნობით "გოლფ GTI" ძლიერ განსხვავდება სხვა გოლფებისგან. პირველ რიგში, თვალში საცემია მისი კაპოტის ისრისმაგვარი ფორმის კონტური, რომელიც თანაბრად გადადის რადიატორის ჰაერამღებში და პრაქტიკულად შერწყმულია მასთან. ეს უკანასკნელი ერთი შეხედვით, ფარს მოგვაგონებს, მის ქვემოთ მდებარე ბამპერში კი სამი ფართო ჰაერამღებია განთავსებული, რომელთაგან ერთი რადიატორისთვის "აგროვებს" ჰაერს, დანარჩენი ორი კი მუხრუჭებისა და სიჩქარის შეზღუდვის სისტემებისთვის. ასევე ფართოა ბამპერის ქვედა ნაწილიც, რომელიც ორი ოვალური ფორმის ჰაერმიმღებით და ორი ნისლსაწინააღმდეგო ფარით არის აღჭურვილი. ბამპერის ქვედა ნაწილის ფერადი ჩასმა ალუმინის ფერია, ხოლო ბამპერის ზედა ნაწილი ფერადია. ასეთივე ფერადია ბამპერის ქვედა ნაწილის ჩასმა, რომელიც ალუმინის ფერია.

გარდა ამისა, ახალი GTI-ს განმასხვავებელი სხვა ნიშნებია: რადიატორის შავი მესერი, რომელსაც შემოვლებული აქვს წითელი ფერის არშია, სპოილერებიანი უკანა ანტიფრთა, ფართო, მონიკელებული ტყუპი გამოსაბოლქვი მილები, 17-დუიმიანი თვლები მათზე ჩაცმული ფართო საბურავებით, სპორტული ავტომობილისთვის შესაფერისი, დიდრონი ბამპერები და ლურჯ ფერში ტონირებული მაშუქები.

არანაკლები ცვლილება განიცადა ავტომობილის ინტერიერმაც, რომელშიც ფართოდ გამოიყენება ტექნიკისა და სადიზაინერო ხელოვნების მიღწევები. პირველ რიგში, აქ ყურადღებას იქცევს სპორტული სავარძლები, რომლებსაც უფრო განვითარებული გვერდითი საყრდენები და მაღალი საზურგე გააჩნია. მას აქვს რეგულირებადი საკისრეები, რომლებზეც ამოტვიფრულია ლოგოტიპი GTI. სალონის გაფორმებაში ფართოდ გამოიყენება ალუმინის ნადები, რომელიც ამშვენებს როგორც სატერფულებს, ასევე გადაცემათა კოლოფის ბერკეტს და სხვა დეტალებს. რაც მთავარია, ალუმინი ინტერიერს კიდევ უფრო სპორტულს ხდის. მეხუთე თაობის GTI-ს აქვს ხელსაწყო-მაჩვენებლების სრულიად ახალი დაფა, რომელზეც განთავსებულია მრავალფუნქციური დისპლეი.

ამ ახალ ავტომობილზე "ფოლკსვაგენის" დილერები შეკვეთების მიღებას პარიზის ავტოსალონზევე დაიწყებენ, მათი დაკმაყოფილება კი რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყება.

"სიტროენის" ფლაგმანის ახალი სახე

პარიზის ავტოსალონზე ფრანგული კომპანია "სიტროენის" ორი, წარმოებისთვის გამზადებული მოდელის მსოფლიო დებიუტი შედგა. ამ ორი მოდელიდან ერთის, "სიტროენ C4"-ის გაცნობის საშუალება ჩვენი რუბრიკის მკითხველს უკვე ჰქონდა - კომპანიამ პარიზულ რანდევუმდე თვენახევრით ადრე გააცნო იგი მედიას. მის გარდა, გამოფენაზე კომპანიის პავილიონის მეორე მთავარი პერსონაჟი იქნება განახლებული ფლაგმანი "სიტროენ C5".

წინამორბედთან შედარებით, ახალ C5-ს საგრძნობლად შეეცვალა გარეგნობა. პირველ რიგში, ცვლილება იგრძობა მისი წინა ნაწილის გაფორმებაში - აქ ახალია როგორც კაპოტი და რადიატორის ჰაერამღები, ასევე ერთგვარი ბუმერანგის ფორმის მქონე სათავო მაშუქები და ბამპერიც. უფრო დიდი ზომის გახდა და მკვეთრი შტრიხებით გამოისახება "სიტროენის" სავაჭრო ნიშანი - ორმაგი შევრონი, რომლის ზოლები ამიერიდან კაპოტის წინა ნაწილს მთელ სიგანეზე გაჰყვება. ცვლილებებია ავტომობილის უკანა ნაწილის გაფორმებაშიც. პირველ რიგში, ეს ეხება მაშუქებს, რომლებმაც სიმრგვალე წარსულს დაუტოვეს და ავტომობილის სილუეტის ფორმებს მიესადაგენ. ყველაფერთან ერთად, C5-ის კუდი სიგრძეში გაიზარდა, რასაც მოჰყვა საბარგულის მოცულობის დაახლოებით 15 ლიტრით გაფართოება.

გარეგნობის გარდა, C5-მა არანაკლებ სერიოზული ტექნიკური ცვლილებები განიცადა. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სრულიად ახალი, ჰიდრავლიკური საკიდარი, რომელსაც პარამეტრები მოძრაობის დროსაც კი შეიძლება შეეცვალოს იმის მიხედვით, თუ რა პირობებში უხდება გადაადგილება. პასიური უსაფრთხოების გაზრდისა და ხმოვანი იზოლაციის გასაუმჯობესებლად, C5-ში გამოყენებული ყვედა შუშა სამფენოვანია. გაუარესებული მხედველობის პირობებში კარგად იმუშავებენ ბიქსენონური სტოპ-მაშუქები და მოხვევის მიმანიშნებლები. გარდა ამისა, მძღოლსა და მის მგზავრებს დაიცავს უსაფრთხოების შვიდი პნევმო-ბალიში, რომელთაგან ერთის დანიშნულებას მძღოლის მუხლების დაცვა ევალება. ყველა ბალიშის მოქმედებას ელექტრონიკა აკონტროლებს.

გარდა ამისა, მძღოლს დამხმარედ ეყოლება "საშტატო" აღჭურვილობაში შემავალი კრუიზ-კონტროლის სისტემა უკარნახებს. მისი მოქმედების გამო, მძღოლს არ დასჭირდება მუდმივად სპიდომეტრზე ცქერა, რათა არ გადააჭარბოს ქალაქში მოძრაობის დასაშვებ მაქსიმუმს. სამაგიეროდ, როცა საჭიროა, მაგალითად გასწრების დროს, მოქმედებას იწყებს კიდევ ერთი სისტემა სახელად "კიკ დაუნ", რომელიც მკვეთრად გაზრდის სიჩქარეს და გასწრების მანევრის დასრულებისთანავე, აქსელერატორს კვლავ კრუიზ-კონტროლისა და სიჩქარის შემზღუდველს "ჩააბარებს".

რაც შეეხება ძრავებს, C5-ისთვის გათვალისწინებულია სამი ბენზინზე მომუშავე და ამდენივე დიზელზე მომუშავე აგრეგატი. ბენზინის ძრავებიდან ორი ოთხცილინდრიანია - 1.8-ლიტრიანი, 117 ცხენის ძალით და ორლიტრიანი - 143 ცხენის ძალით. მესამეა V კონფიგურაციის 6-ცილინდრიანი, რომლის მუშა მოცულობაა 3 ლიტრი. ამ აგრეგატს 24 სარქველი და გაზის განაწილების ფაზების მუდმივი ცვლის სისტემა აქვს, მისი სიმძლავრე კი 210 ცხენის ძალას აღწევს. მასთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი.

რაც შეეხება დიზელის აგრეგატებს, ასეთი სამია და ყველა ტურბოკომპრესორითაა აღჭურვილი. მათი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ საწვავის მიწოდება კუმშვის პროცესში, ბარბაცას სვლის შუა ნაწილში ხდება, რისი წყალობითაც უმჯობესდება ცილინდრის საწვავით თანაბრად შევსება და ამას კი წვის პროცესის ოპტიმიზაცია მოსდევს. შედეგად, იზრდება ძრავის მარგი ქმედების კოეფიციენტი, მცირდება გამონაბოლქვის ტოქსიკურობა და უმჯობესდება აგრეგატის ეკონომიურობა. დიზელის ძრავებთან აგრეგატირებულია 6-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი.

C5 და C4 მოდელების მსოფლიო პრემიერა პარიზის ავტოსალონზე შედგება, რამდენიმე კვირაში კი მათი გაყიდვებიც დაიწყება.

"რენო მეგან ტროფი" - ავტომობილი მხოლოდ რბოლებისთვის

თავისი პროდუქციის უკეთ წარმოსაჩენად და ფართო რეკლამისთვის, ფრანგული კომპანია "რენო" ევროპის წამყვან საავტომობილო ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ბრიტანეთი) რეგულარულად ატარებს საავტომობილო რბოლებში მონოსერიულ ჩემპიონატებს, რომლებშიც მხოლოდ მისი წარმოების ავტომობილები მონაწილეობენ.

დღემდე ასეთი ჩემპიონატებისთვის გამოიყენებოდა მხოლოდ კომპაქტური ჰეჩბეკი "რენო კლიო", ახლო მომავლიდან კი ამ ავტომობილს სარბოლ ტრასებზე "რენო მეგანის" სპორტული ვარიანტი, სახელად "ტროფი" დაემატება. "მეგან ტროფი" მხოლოდ რბოლებისთვისაა განკუთვნილი და ამდენად, რადიკალურად განსხვავდება საბაზო "მეგანისგან".

რადიკალური განსხვავება აისახება არამხოლოდ ავტომობილის გარეგნობაში, არამედ მის ტექნიკურ აღჭურვაშიც და ეს ბუნებრივიცაა - რბოლებში ხომ ამოსავალი წერტილი ავტომობილის სიჩქარეა და შესაბამისად, სარბოლ ავტომობილებში ყველაფერი სიჩქარის გაზრდას, მანევრულობისა და მართვადობის გაუმჯობესებას ემსახურება.

"მეგან ტროფის" საფუძვლად აღებულია სამოქალაქო "მეგანის" ჰეჩბეკი, რომელიც აეროდინამიკური პანელების ხარჯზე სიგრძესა და სიგანეში 15 სანტიმეტრით გაიზარდა. ეს პანელები მხოლოდ წრიული რბოლებისთვისაა განკუთვნილი (ჯერჯერობით, "რენოს" სპორტულ პროგრამაში არ შედის რალისთვის განკუთვნილი "მეგანის" წარმოება), ასეთ ავტომობილებს კი მინიმალური კლირენსი (ავტომობილის ძირის გზის საფარისგან დაშორება), მაქსიმალურად დაბლა განლაგებული ბამპერები და თვლების გაგანიერებული თაღები აქვთ.

რა თქმა უნდა, "რენო მეგან ტროფის" მთავარი და ყველაზე საინტერესო ნაწილი მისი აგრეგატები, კერძოდ კი, ძრავია. ეს არის ბაზაში, მძღოლის სავარძლის უკან განთავსებული 3.5-ლიტრიანი V6, რომელიც აქამდე მხოლოდ მაღალი კლასის მოდელ "ველ სატისზე" გამოიყენებოდა. მისი მაქსიმალური სიმძლავრეა 320 ცხენის ძალა, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი 390 ნმ-ს აღწევს.

ძრავთან შეწყვილებულია ნახევრად ავტომატური სეკვენტალური გადაცემათა კოლოფი, რომლის საფეხურების ცვლაც ხდება საჭის რგოლზე განთავსებული ბერკეტებით. ტრანსმისიის მუშაობა ნახევრად ავტომატურია და ამის გამო, ავტომობილს არ აქვს გადაბმულობის სატერფული.

ძრავისა და კოლოფის ბაზაში მდებარეობის წყალობით, წინა და უკანა თვლებს შორის ოპტიმალურად ნაწილდება ავტომობილის წონა. ასევე დაბლაა დაწეული ავტომობილის სიმძიმის ცენტრი. ყველაფერი ერთად აღებული კი, "მეგან ტროფის" მანევრულობისა და მართვადობის გაუმჯობესებას ემსახურება. სპორტული ავტომობილებისთვის საჭირო მახასიათებლების მისაღწევად ავტომობილს აქვს დაკიდების ხისტი სისტემა, რისი წყალობითაც, მინიმუმზეა დაყვანილი მოსახვევის გავლისას ავტომობილის დახრის კუთხე მისი გრძივი ღერძის მიმართ. ეს კი, ისევდაისევ, მანევრულობას აუმჯობესებს.

რბოლებისთვის გამზადებული ავტომობილები ევროპულ ტრასებზე უკვე მომავალი წლის დასაწყისიდან გაივლიან ტესტირებას. "რენო მეგან ტროფი" ბაზრისთვის არაა განკუთვნილი და მისი ღირებულება 90 ათასი ევრო იქნება. ამასთან, რბოლებში მონაწილეობის მიღებისთვის აუცილებელი ჰომოლოგაციის მისაღებად, საჭირო იქნება მისი სამოქალაქო ვარიანტის გარკვეული ტირაჟით გამოშვება, ოღონდ ასეთი ავტომობილის მახასიათებლები ოდნავ განსხვავებული იქნება.

იაპონური "გრიგალი" პარიზში

იაპონურმა კომპანია "სუძუკიმ" პარიზის ავტოსალონზე, როგორც საწარმოო მოდელი, წარადგინა კომპაქტური ავტომობილი "სუძუკი სვიფტი", რომელიც გარეგნულად ძლიერ ჰგავს ჯერ კიდევ ორი წლის წინ, კომპანიის მიერ პარიზშივე წარმოდგენილ კონცეპტუალურ "სუძუკი კონცეპტ S"-ს. ჰგავს კი არა, "სვიფტი" სწორედ იმ კონცეპციის განვითარების შედეგად დადგება კონვეიერზე, მისი ოფიციალური დებიუტი კი სწორედ პარიზულ ავტორანდევუზე შედგება.

ავტომობილი საკმაოდ კომპაქტური გამოვიდა. მისი გაბარიტებია: სიგრძე - 3.7 მეტრი, სიგანე - 1.69, სიმაღლე კი - 1.5 მეტრი. თავისი ზომებით ის შეეფერება "ტოიოტას" ყველაზე პოპულარულ ავტომობილ "იარისს".

"სუძუკი სვიფტი" (სვიფტი გრიგალს ნიშნავს) საკმაოდ სიმპატიური გარეგნობით გამოირჩევა და მასში "სუძუკი კონცეპტ S"-ზე ნაკლები აგრესია იგრძნობა, თუმცა მისგან დიზაინის ბევრი ელემენტი აქვს აღებული. მაგალითად, ვერტიკალური მაშუქები, თითქმის ვერტიკალური უკანა საყრდენი და საკმაოდ დიდი ფართობის შემინულობა. სპორტული დიზაინით გამოირჩევა ავტომობილის ინტერიერი, რომელიც, მისი კომპაქტური ზომების მიუხედავად, საკმაოდ ფართეა და კომფორტული.

ავტომობილისთვის პირველ ხანებში სულ სამი ძრავია განკუთვნილი - ორი ბენზინისა და ერთიც დიზელის. ბენზინის აგრეგატების მუშა მოცულობებია 1.3 და 1.5 ლიტრი და ისინი შესაბამისად, 91 და 102 ცხენის ძალას "ფლობენ". დიზელის აგრეგატის მოცულობა 1.3 ლიტრია და მისი სიმძლავრე სულ რაღაც 70 ცხენის ძალაა. სამაგიეროდ, მაბრუნი მომენტი 170 ნმ-ს აღწევს, როცა ძრავის მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვი წუთში 2000-ია.

ამ ძრავებთან შეწყვილდება ან 5-საფეხურიანი მექანიკური (ხელით გადართვის რეჟიმი) გადაცემათა კოლოფი, ან 4 და 5-საფეხურიანი ავტომატური კოლოფები. ამ კოლოფებით კომპლექტაცია "სვიფტის" მოდიფიკაციაზე იქნება დამოკიდებული.

ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილი "სუძუკი სვიფტის" წარმოება უნგრეთში, "მადიარ სუძუკის" ქარხანაშია დაგეგმილი, გაყიდვები კი მომავალი წლის გაზაფხულიდან დაიწყება. ევროპაში ამ ავტომობილის ღირებულება 10.5-11 ათასი ევრო იქნება.

„ეს ენა მაბრად უნდა შავინახოთ"

თამარ სუხიშვილი

საოცრად გულისამაჩუყებელი და ამაღელვებელი იყო ეს შეხვედრა. არა, უფრო მეტი, აი, ისეთი, რომ გაგბურძგლავს – მარტყოფის შესასვლელთან ისტორიულ მინაწყალზე სტუმრად ჩამოსულ ფერეიდნელ ქართველებს მარტყოფელი ბავშვები შეეგებნენ, ტაშით და ყვავილებით. თუმცა, სტუმარიცა და მასპინძელიც აქ პირობითი ცნებაა, სტუმრებს კი არა, 400 წლის წინ აქედან ძალით გადენილ თავიანთ სისხლსა და ხორცს შეხვდნენ. ფერეიდნელთა ავტობუსის მეორე გაჩერება მარტყოფის სკოლასთან იყო. იქაც მოსწავლეები დახვდნენ სტუმრებს, ყვავილებს ესროდნენ, შეჰხაროდნენ. გზაზე ხალხი იყო გამოფენილი, ხელს უქნევდნენ, თბილად ესალმებოდნენ, ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდნენ, უღიმოდნენ. შემდეგი გაჩერება უკვე მარტყოფის ცენტრში, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიასთან იყო. აქ ფერეიდნელებს მთელი სოფელი გამოეგება, დიდიან-პატარიანად. ჩვენი სტუმრები სათითაოდ ჩამოდიოდნენ ავტობუსიდან, ესალმებოდნენ დამხვდურებს და – საქართველოს გაუმარჯოსო! - დასძახებდნენ. გაუმარჯოსო – უპასუხებდნენ მასპინძლებიც და მერე ერთმანეთს ეხვეოდნენ. იყო ერთი სალამი და მოკითხვები, გამოკითხვა-გაცნობა – რა გვარისა ხარო, ამა და ამ გვარისები თუ არიან თქვენკენო, როგორ ცხოვრობთო, აქაურობა როგორ მოგეწონათო... სიხარულიც ბევრი იყო და ცრემლიც. ასეთ დიალოგსაც მოისმენდით:

- წვიმა არის თქვენკენ?

- წიმა-თოვლი? კი, წიმა-თოვლი მოდის.

- ყურძენი თუ გაქ?

- ყურძენი მე არ მაქ. ისე არი. მე ატამი მაქ და გულაბი. მე ქარაჯში ვცხოვრობ, თეირანთან ახლო. ფერეიდანში ჩემი ძმა ცხოვრობს და იქ ჩავდივარ ხოლმე.

- ცოლი ქართველია?

- არა, ცოლი სპარსელია.

- შვილმა თუ იცის ქართული?

- არ იცის. ენა დედისაგან ივაწლება... მამული რა არი?

ფერეიდნელმა ქართველებმა, როგორც იქნა, ნახეს ის მიწა, რომლის ხატებასაც მთელი ოთხი საუკუნე სათუთად ინახავდნენ.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

- მამული? მამული სამშობლოა.

- შენი მამული სად არი?

- ჩემი აქ არი.

- და ჩემი მამული სად არი?

- შენი? შენიც აი აქ არი.

- მამცემ?

- მოგცემ, აბა რა. აქ იმდენი მიწაა, ორივეს გვეყოფა. ჩამოდით და იცხოვრეთ.

- არა (იცინის), არ იქნების. ჩვენ ჩამოვალთ, ვნახავთ და წავალთ. ჩვენ მამა-პაპას იქ უცხოვრია, იმ სახლ-კარს ვერ მივატოვებთ. ენა გვაქ. ეს ენა მაგრად უნდა შავინახოთ...

1614-1617 წლებში შაჰ-აბას I-მა 200 ათასი ქართველი ირანში გადაასახლა, ბახთიარის მთებში, ფერეიდანის, იგივე ფერეიდუნ შაჰრის პროვინციაში, ისპაჰანიდან ასიოდე კილომეტრის მოშორებით. შაჰ-აბასს ორი მიზანი ამოძრავებდა, ორი კურდღლის დაჭერა სურდა – კახეთს დააცარიელებდა ქართველებისგან და დაიმორჩილებდა, ხოლო ფერეიდანში მეომარი ქართველების ჩასახლებით ისპაჰანს მომთაბარეთა შემოსევებისგან დაიცავდა. ასე შეიქმნა ფერეიდანში ქართული სოფლები: ზემო და ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი (ჩოღიურეთი), აფუსი (რუისპირი), სიბაქი (ვაშლოვანი) და სხვა.

38 წლის შემდეგ, 1654 წელს 165 მძევალმა სამშობლოში დაბრუნება სცადა. ფეხით წამოვიდნენ საქართველოსაკენ, მაგრამ გზაში სპარსელები დაეწივნენ და სათითაოდ ამოჟლიტეს. ეს მოხდა ყუმის უდაბნოსთან. დაღუპულ ფერეიდნელებს ზემო მარტყოფში ძეგლი აუგეს ასეთი წარწერით: "1654 წელსა 17 აპრილისა თვესა ფერეიდნიდან მომავალი ქართველები, სამშობლოსკენ. 165 ქართველმა შუღლი გავუწიეთ ირანელებს. ყველა დავიღუპეთ. შენდობა გვითხარით, უფალო, იხსენ ქრისტიანნი."

მას შემდეგ ლამის 400 წელი გავიდა...

ცოტა ხნის წინ საქართველოს ფერეიდნელი ქართველების 35-კაციანი ჯგუფი ეწვია: ხუციშვილები, ყაფლანიშვილები, გოგიჩაშვილები, დარჩიაშვილები... დაათვალიერეს ბათუმი, რაჭა... შემდეგ კი ოფიციალური მასპინძლის, საზოგადოება "ფერეიდანის" თავმჯდომარის, ვახტანგ ონიკაშვილის და კულტურის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტის ინიციატივით თავიანთი ისტორიული საცხოვრისი – მარტყოფი მოინახულეს.

"მე აქ ჩამოვედი, რომ ჩემი ძველები მენახა, რომ ჩემი დები, ჩემი ძმები მენახა. მე ქართველი ვარ, ჩემ გულია, ჩემ თვალია ქართველიო," – გვითხრა ერთმა მხცოვანმა სტუმარმა. მარტყოფის მონასტრის ეზოში გაშლილ სუფრაზე კი ფერეიდნელმა ახალგაზრდებმა "სულიკოსა" და სხვა ქართულ სიმღერებთან ერთად ერთი ასეთი სიმღერაც დაამღერეს: "400 წელია გაყრილი ვართ, მაგრამ გულით შაყრილი ვართო".

ფერეიდნელმა ქართველებმა, როგორც იქნა, ნახეს ის მიწა, რომლის ხატებასაც მთელი ოთხი საუკუნე სათუთად ინახავდნენ, რომლის სილამაზეზეც ზღაპარივით უყვებოდნენ ერთმანეთს, რომლის ნახვის წყურვილითაც გულისფანცქალით ელოდებოდნენ პატარები წვიმას, რომ ცაზე ცისარტყელა გამოჩენილიყო, რადგან თუ ცისარტყელას ქვეშ გაძვრებოდნენ, აუცილებლად ჩავიდოდნენ საქართველოში.

ფერეიდნელი დედები დღესაც ამ ნატვრის ასრულების სურვილით ზრდიან შვილებს:

"მზეო, მზეო, ამოდიო,
წავალ საქართველოჩიო,
ოქრო დანას მოგიტანო,
გაირჭი წელშიო..."

ეს ლექსი ჰაიდარ დარჩიაშვილმა წაგვიკითხა. ისიც გვითხრა, ის ცის კიდე მართლა გამოჩნდა, წითელ ხიდზე საზღვარი რომ გადმოვლახეთო; აქ რომ ჩამოვედი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დედის კალთაჩი მედოს თავიო; ისიც გვითხრა, ქართულ პურს რომ ვუყურებ, რა ვქნა, სულ მეტირებაო. ხოლო იქ (ფერეიდანში) ცეცხლს რომ დავანთებ, იმას ვფიქრობ, ნეტა ეს კვამლი საქართველომდე თუ ჩააღწევსო.

ეს კაცი საქართველოში რომ დაბრუნდება, ღამეები არ დაეძინება, სულ აქაურობაზე იფიქრებს და იტირებსო – გვითხრა ბატონ ჰაიდარზე მისმა მოწაფემ მალხაზ გოგიჩაშვილმა. მერე გვთხოვა, ჩემი სალამი გადაეცით ყველასო, და ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა: ღმერთს ებარებოდეო.

ბატონი ჰაიდარიც, ბატონი მალხაზიც და სხვებიც ისევ ფერეიდანის გზას დაადგნენ...

რა გამოცდა მოგვიწყო ისტორიამ ამ ოთხასიოდე წლის წინათ და რა გაგრძელება ექნება ამ დრამას, ეს ისევ ისტორიამ იცის. "პატარა საქართველომ" (ასე ეძახიან, "დიდი საქართველოს" კვალობაზე, ფერეიდანის 14 ქართულ სოფელს) ეს გამოცდა ჩააბარა. რას იზამს "დიდი საქართველო"?! ისე კი, ქართული ისტორიოგრაფია 200 ათასი ქართველის გასახლების ამბის გაშუქებისას ისკანდერ მუნშის წყაროებს ეყრდნობა. "ქართლის ცხოვრება" ამ ფაქტის შესახებ თითქმის არაფერს გვეუბნება.

რეკლამა წარსულიდან

თეონა ჯაფარიძე

გალერეათა უმეტესობა ძველ თბილისში, სიონის უბანშია თავმოყრილი. გალერეა "ვერნისაჟმა" ადგილი იცვალა და რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშეთიდან აღმაშენებლის გამზირზე დაიდო ბინა. ფაქტიურად "ვერნისაჟი" ჯერ-ჯერობით ერთადერთი გალერეაა, რომელმაც მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიაშურა. ის ვორონცოვის მოედანთან სულ ახლოს მდებარეობს და აღმაშენებლის, ძველებურად რომ ვთქვათ, პლეხანოვის ვიწრო ქუჩას უკვე გარკვეული აურით ავსებს.

თუ სიძველეზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუშინ "ვერნისაჟმა" თავისი ოფიციალური არსებობა მეტად უნიკალური და მართლაც ძველი ექსპონატების დემონსტრირებით დაიწყო: გალერეაში დავით სარაჯიშვილის ცნობილი ღვინოებისა და სასმელების ეტიკეტები გამოიფინა. ექსპონატები ცნობილი კოლექციონერის – დამიანე ალანიას კუთვნილებაა. "უდავოდ ნიჭიერი ადამიანი და კოლექციონერის ალღოთი და ჟინით დაჯილდოებულია. მის კოლექციაში რას არ ნახავთ: - უძველეს წიგნებსა თუ ავანგარდულ ხელოვნებას" – მიამბობს მის შესახებ გალერისტი და ასევე კოლექციონერი ბატონი არჩილ დარჩია. თავად ამ უნიკალური ექსპონატების მეპატრონე გამოფენის გახსნას არ დასწრებია. მის მაგივრად გიდობას "ვერნისაჟის" გალერისტი ქალბატონი ზაირა ბერელიძე გვიწევდა: "კოლექციას რუკაც თან ერთვის, რომელიც გვიჩვენებს თუ რა ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარაჯიშვილის ცნობილი ღვინოები, და არა მარტო ღვინოები: ეტიკეტები სარაჯიშვილის ლიქიორებს, არყებსა და კონიაკებს გვაცნობს. მათი გავრცელების არეალი კი რუსეთს, კავკასიასა და ამოსავლეთ ევროპას მოიცავს," – გვიხსნის ქალბატონი ზაირა.

გალერეაში დავით სარაჯიშვილის ცნობილი ღვინოებსა და სასმელების ეტიკეტები გამოიფინა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თავად ეტიკეტები უამრავ ისტორიულ ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად "კავკასიური ნატურალური კონიაკის" ეტიკეტზე ვკითხულობთ, რომ მისი შეძენა მიხაილოვის ხიდთან, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ შეგვიძლია.

ეტიკეტების დიზაინი განსხვავებული ხელწერითაა შესრულებული. ზოგზე კლასიკური საგერბო ნიშნებია გამოსახული, ზოგიერთ სასმელს რეკლამირებას მარტორქის გამოსახულება უწევს, სარაჯიშვილისეული რომის ერთ-ერთ ეტიკეტზე ინდიელიც კი გვეპატიჟება. სამაგიეროდ, თითქმის ყოველი ეტიკეტის ბოლოს მოთავსებული ინიციალები გვატყობინებს, რომ ლითოგრაფია მესხიევს ეკუთვნის. როგორც ჩანს, ლითოგრაფიაში მონოპოლია მესხიევს ჰქონდა ხელში ჩაგდებული. რაც შეეხება დიზაინს, ანუ რეკლამის ხელოვნებას, ეტყობა მე-19-ე საუკუნის ბოლოს ამ საქმით საკმაოდ ბევრი, მაგრამ პროფესიონალი ყოფილა დაკავებული. როგორც ჩანს, სარაჯიშვილი მხოლოდ პროფესიონალებთან იჭერდა საქმეს.

TV პროგრამა

29 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.30** კურიერი **12.20** სერიალი "ბევრლი ჰილზი" **13.30** მხ. ფილმი "ტუვალუ" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "რეალი"-"რომა" **17.05** სერიალი "მაშვლები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევრლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი"-"პორტო" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

JLSI

08.00 "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "მოლანდება" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "კარიბის გული" **13.00** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** "სალამოს საუბრები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "ეძიე ქალი"- ი. კობერიძე **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** "ძველი აფიშა" - "დონ ჟუანი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "კარიბის გული" **22.00** "მოამბეთ თქვენზე" - რ. ჭეიშვილი **00.00** მხ. ფილმი "ცეცხლთან თამაში" (გ) 1-ლი ს.

ქართული მუსიკა

13.00 ქართული მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ჯალათები" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "შურისგების მუშტი" (გ) **22.30, 00.30** ქართული მუსიკა

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეფურნალი "მოდა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მარლენ დიტრიხი" (15) (კატია ფლინგი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** ლერერის შოუ **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" (გ)

იმედი

07.00 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 02.45** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20** თამაში "პოლიციის აკადემია" **12.40, 16.25, 02.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ვინ წავა ტრუსოვეცში" (გ) (მ. ტერეხოვა) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** "პირველი ნახევარი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** "უცნობი საქართველო" **23.20** მხ. ფილმი "სომერსბი" (15) (ჯ. ფოსტერი) **01.10** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.05** ქრონიკა

ОРТ

06.00 **"Доброе утро"** 09.00, 12.00, 15.00, 18.00 **Новости** 09.10 **Николай Мерзликин в детективе** "СУРОВЫЕ КИЛОМЕТРЫ" 10.30 **Сериал** "КЛОН". 11.30 **Дисней-клуб: "Алладин"**. 12.10 **Комедия** "НЕВЕРОЯТНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ИТАЛЬЯНЦЕВ В РОССИИ". 14.10 **Сериал** "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 **Сериал** "СЫЩИКИ". 16.30 **"Фабрика звезд"**. 17.00 **"Пять вечеров". Понедельник**. 18.20 **"Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко**. 19.00 **Сериал** "КЛОН". 20.00 **Жди меня**. 21.00 **Время**. 21.30 **Сергей Безруков в народном детективе** "УЧАСТОК". 22.40 **Спецрасследование. "Книжная мафия"**. 23.30 **Ночное "Время"**. 23.50 **"Формула власти". Президент Республики Корея**. 00.20 **"Фабрика звезд"**. 00.50 **Док. фильм "Розы для сеньоры Раисы"**. 01.30 **Силлиен Мерфи в фильме** "НА КРАЮ". 02.50 **Джейк Гилленхаал в комедии** "ПАРЕНЬ ИЗ ПУЗЫРЯ". 04.10 **Пейдж Турко в триллере** "УСКОЛЬЗАЮЩИЙ ВИРУС".

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00,13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "модерн": гангстеры с Выборгской. **10.50** "Женский взгляд". Олег Басилашвили. **11.20** Андрей Бильжо в программе "Растительная жизнь". **11.55 Сериал "ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.35 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: КЛИНОК". 14.30 Остросюжетный сериал "КОДЕКС ЧЕСТИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25 Премьера. Сериал "ФАБРИКА ГРЕЗ". 10-я с. 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40 Премьера. Детектив на НТВ. "ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 3-я с. 20.50 Остросюжетный сериал "КОДЕКС ЧЕСТИ". 3-я с. 22.00** "Страна и мир" **22.40 Премьера. Сериал "СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ" 23.20** Совершенно секретно: Миша. **00.15 Эрик Робертс в боевике "СВОБОДНОЕ ПАДЕНИЕ" 02.30 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ"**

იაპონური ხატვა

სკანვორდი



1. ფრანგი საესტრადო მომღერალი ქალი; 2. ოფიცრის წოდებულება; 3. რბილი, ცალ მხარეს ხაოიანი, დამუშავებული ტყავი; 4. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში; 5. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი; 6. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი; 7. წარმომადგენლობითი ორგანოების პერიოდული სხდომები; 8. ძველსკანდინავიური მითოლოგიური ღვთაება; 9. ბირთვული დანადგარი; 10. თეატრისა დაკინოს რუსი მსახიობი; 11. გეოლოგიური ეპოქა; 12. სპორტის სახეობა; 13. ფულადი უზრუნველყოფა წელთა დამსახურებისათვის; 14. ხურდა ფული დიდ ბრიტანეთში; 15. მეზღვაურის თანაშემწე; 16. მართლმსაჯულება; 17. მე-15 საუკუნის უზბეკი პოეტი დამოაზროვნე; 18. ქალაქი და პრეფექტურა იაპონიაში; 19. ტერიტორია პირენეს ნახევარკუნძულის სამხრეთში; 20. მე-16 საუკუნის ინგლისელი ზღვაოსანი; 21. რუსეთის ეროვნული სატელევიზიო პრემია; 22. "ვალენსიას" მწვრთნელი; 23. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა ჭადრაკში; 24. არარსებული, მოჩვენებითი რამ; 25. ყველაზე წვრილი ინგლისური ხურდა ფული; 26. ინგლისური მსუბუქი ავტომობილების მარკა; 27. პროფესიონალი მეგზური; 28. ჯარის ნაწილი; 29. ირლანდიის ეროვნული სახელწოდება; 30. მე-17 საუკუნის ჰოლანდიელი ფერმწერი; 31. ისლანდიის დედაქალაქი; 32. თევზის წვნიანი კერძი; 33. ცხვრის ჯიში; 34. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 35. ძველებური, ფრანგული, ოქროს მონეტა.

დაბადების დღე აუქციონზე

სანამ საფრანგეთის უსაყვარლესი ქალი ბრიჯიტ ბარდო თავის 70-ე იუბილეს მშვიდ გარემოში, პრესისგან დაფარულად აღნიშნავდა, პარიზში მისი ნაქონი ნივთებისა და ფოტოების აუქციონი გაიმართა. ბარდოს თაყვანისმცემლების გამო ტევა აღარ იყო დრუს აუქციონის სახლში, სადაც იყიდებოდა ფილმის "და ღმერთმა შექმნა ქალი" პლაკატები, ბრიჯიტ ბარდოს გამოსახულებით გაფორმებული კეპები, საათები, მარკები. ამ კოლექციას გაყიდვამდე ჰოლანდიელი კოლექციონერი კიის სტორმი ფლობდა. ბარდოს თემის გარშემო ნივთებისა და ფოტოების შეგროვება მან 15 წლის ასაკში დაიწყო და აი, 40 წლის შემდეგ გადაწყვიტა, ყველაფერი გაეყიდა, 300-ივე ექსპონატი, ის პატარა იახტაც კი, რომელსაც ერთ დროს ბარდო ფლობდა და შემდეგ სტორმს ჩაუვარდა ხელში. "61 წლის ვარ და მგონი, დამშვიდობებისთვის კარგი დროა. ის 70 წლის გახდა. მშვენიერი შანსია, ყველაფერი, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთში დავაბრუნო", - აცხადებს სტორმი.

"ბრიჯიტი მთელი საფრანგეთის და ზოგადად, ყველაფერი ფრანგულის სიმბოლოა", - განაცხადა რიკარდ ბრუნომ, რომელმაც ბარდოს ფოტოებით გაფორმებული საჭადრაკო დაფა და იმ ჟურნალების მთელი დასტა შეიძინა, რომელთა გარეკანზეც ბრიჯიტ ბარდოა გამოსახული.

როგორც უკვე მოგახსენეთ, იუბილარი ქალბატონი აუქციონს არ დასწრებია. სამაგიეროდ მთელი პრესა ციტირებდა ჟურნალ OHLA!-ში რამდენიმე ხნის წინ დაბეჭდილი ინტერვიუდან ნაწყვეტს. ბრიჯიტ ბარდო საიუბილეო გეგმების შესახებ წერდა: "დავლევ შამპანურს ერთი-ორ მეგობართან ერთად, ეგ იქნება და ეგ. 70 წლის ვხდები, მადლობა ღმერთს, რომ ამ ასაკამდე მომაღწევინა, თუმცა, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, 30 წლის იუბილეს ვზეიმობდე".

ჰოლანდიელი კოლექციონერი კი იმედოვნებს, რომ აუქციონიდან 50 ათასი ევრო მაინც დაუგროვდება. ის ამ თანხის ნაწილის გადარიცხვას ბარდოს ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის ფონდში აპირებს.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელ"-ი (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში, უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის
- **საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**

A-Level 1-2-წლიანი. 15, 16 წლიდან.
Foundation 1-წლიანი. 17 წლიდან.
Pre-MBA, MBA 21 წლიდან.
სწავლის დაწყება იანვრიდან.

ინგლისური ენა:
ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CEA) 2-12 თვე.
Work Experience ინგლისური ენა და სტაჟირება ინგლისურ კომპანიაში.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 74, მე-15 სართული.
E-mail:n_makatsaria@Yahoo.com
ტელ: 22 59 57, 29 91 78, 899 50 40 12

სასაოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთაველი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასაოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 სექტემბრიდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული,
ტელ.:93-50-84, (899) 55-15-84

მოსწავლეთა საშუალებით!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- ცხრილებთან,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„ყაზბეგი" შაბათს კუს ტბაზე გეპატიჟებათ

კომპანია "ყაზბეგი" ლუდის დღესასწაულზე შაბათს, 2 ოქტომბერს , 18 საათზე კუს ტბაზე გეპატიჟებათ. ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით გრანდიოზულ კონცერტთან ერთად **ლუდის სმაში საქართველოს ჩემპიონატის ფინალიც გაიმართება.**

მას, ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ლუდი და "ყაზბეგის" ერთგულ მომხმარებელია, რეალური შანსი აქვს ჩემპიონის ტიტული და ახალთახალი ავტომანქანა მოიგოს. მთელი ზაფხულის განმავლობაში კომპანია "ყაზბეგი" საქართველოს რეგიონებში ღია ცის ქვეშ ტრადიციულ უფასო კონცერტებს და ლუდის სმაში საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენად შესარჩევ ტურებს მართავდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე გაირკვა, ვინ არის ლუდის სმაში უძლეველი , შაბათს კი მათ შორის ყველაზე ძლიერი, ვინც ყველაზე მეტ საუკეთესო ქართულ ლუდს- ლუდ "ყაზბეგს" დალევს, **"ყაზბეგის" საიუბილეო საჩუქრის "ჰიუნდაის" ავტომობილის და ლუდის სმაში საქართველოს ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი გახდება.**

ეს კომპანიის საიუბილეო საჩუქარია, წელს კომპანია "ყაზბეგს" დაარსებიდან **10 წელი უსრულდება.**

ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით გრანდიოზულ კონცერტს ულამაზესი ფეიერვერკები დაასრულებს. "ყაზბეგი" სიურპრიზებს, უამრავ საინტერესო სანახაობასა და შეჯიბრს გპირდებათ.

შაბათს საღამოს კომპანია "ყაზბეგი" ყველა ერთგულ მომხმარებელს ეპატიჟება ლუდის შემოდგომის დღესასწაულზე.

"ყაზბეგი" საუკეთესო ლუდით უფასოდ გიმასპინძლდებათ!